

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

გულ მუქერემ ოზთურქი

ორჰან ქემალის ქართული თარგმანები

(უბედური შემთხვევა, ქალბატონის მამული, უცხო ქალი)

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

(ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)

სპეციალობა: ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ასოცირებული პროფესორი, ელგუჯა მაკარაძე

ასოცირებული პროფესორი, ლილე თანდილავა

ბათუმი

2016

## სარჩევი

შესავალი .....	1
<b>თავი I. ქართულ-თურქულ ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან.....</b>	<b>7</b>
1.1. ჟურნალები-„ჩვენებური“, „ფიროსმანი“- და მათი წვლილი ქართულ-თურქულ ლიტერატურულ-კულტურულ ურთიერთობაში.....	7
1.2. ქართული მწერლობა თურქულ ენციკლოპედიებში.....	18
1.3. ქართული ლიტერატურის თურქი მთარგმნელები და მკვლევრები.....	26
1.4. თურქული ლიტერატურის ქართული თარგმანები.....	33
<b>თავი II. ორჰან ქემალის ცხოვრება და შემოქმედება.....</b>	<b>35</b>
2.1. ბიოგრაფიული ესკიზი.....	35
2.2. ლიტერატურული პორტრეტი.....	44
2.3. ორჰან ქემალის შეხედულებები ხელოვნებასა და ლიტერატურაზე.....	53
<b>თავი III. ორჰან ქემალის რომანების სტილის ზოგადი თავისებურებები და მათი ასახვა ქართულ თარგმანებში.....</b>	<b>59</b>
3.1. რომანების თხრობის სტილი.....	60
3.2. დიალოგი რომანში.....	62
3.3. რომანში გამოყენებული კილო/აქცენტი.....	71
<b>თავი IV. ორჰან ქემალის რომანების ქართული თარგმანების ენა.....</b>	<b>73</b>
4.1. სპეციფიკური ლექსიკა.....	77
4.2. ვულგარიზმები და ჟარგონები.....	79
4.3. შერქმეულები სახელები.....	86
4.4. ანდაზები.....	89
4.5. ფრაზეოლოგიზმები.....	112
4.6. ლოცვის, წყევლის, ფიცის ფორმულები.....	139
<b>დასკვნა.....</b>	<b>163</b>
<b>ბიბლიოგრაფია.....</b>	<b>166</b>
<b>გამოყენებული ლიტერატურა.....</b>	<b>179</b>

## შესავალი

ცნობილი თურქი მწერალი და პოეტი ფაქირ ბაიქურთი ფრიდონ ხალვაშის ლექსების თარგმანის წინასიტყვაობაში აღნიშნავს: „აღარაფერს ვამბობ თანამედროვე პოეტებსა და მწერლებზე, ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებებიც კი არ არის ნათარგმნი თურქულ ენაზე. არა და, ვინ იცის, რამდენი თვითმყოფადი პოეტია საქართველოში? არც ერთს არ ვიცნობთ. რა სამწუხაროა! საქართველოში თურქი მწერლების ანთოლოგიებს გამოსცემენ, თურქ შემოქმედთა წიგნებს თარგმნიან. ჩვენ კი ვერაფერს ვერ ვაკეთებთ. ეს მათი დანაკარგი არ არის, ჩვენი დანაკარგია“ (10,10) ეს სიტყვები ფაქირ ბაიქურთმა 1987 წელს დაწერა და კარგად ასახავს ქართულ-თურქული ლიტერატურული ურთიერთობის საერთო სურათს: საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა საუკუნეებს ითვლის, ლიტერატურული კონტაქტები კი ამ ორ ქვეყანას შორის ახლო წარსულში დაიწყო. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ცნობილ თურქ მწერალს. იმაშიც, რომ, მართლაც, თურქული ლიტერატურა ქართველმა მკითხველმა შედარებით ადრე გაიცნო. ქართული ლიტერატურა კი უფრო გვიან გახდა ხელმისაწვდომი თურქი საზოგადოებრიობისათვის. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ ვერცერთი მთარგმნელი ვერ ბედავდა შესჭიდებოდა ქართული ლიტერატურის ნიმუშების თარგმნას თურქულ ენაზე.

თურქ მწერალთა შორის, ვინც ქართველ მთარგმნელთა ინტერესის სფეროში მოექცა, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ორჰან ქემალი, რომელიც თურქული ლიტერატურის კლასიკოსად არის აღიარებული. ამას, ცხადია, თავისი მიზეზი ჰქონდა: ჯერ ერთი, ორჰან ქემალის ტექსტები, თავისი ლიტერატურულ-ისტორიული, მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულებით მართლაც გამოირჩევა მე-20 საუკუნის თურქულ ლიტერატურაში., მეორეც, ორჰან ქემალის რომანების თემატიკა, სოციალური ხასიათის პრობლემატიკა, მათი მწერლისული გააზრება, მარქსისტულ იდეოლოგიასთან არა მარტო სიახლოვე, არამედ მისი გაზიარება, ცნობილ თურქ მწერალს აქტუალობას სძენდა ე.წ. საბჭოთა მკითხველის თვალში.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ გასულ საუკუნეში თურქული ლიტერატურის თარგმნის საქმეში თვალსაჩინო წვლილი შეჰქონდათ აჭარაში მოღვაწე მწერლებსა და მთარგმნელებს. სწორედ მათ თარგმნეს ორჰან ქემალის რომანები: ნანა გვარიშვილმა თარგმნა და 1974 წელს გამოსცა „უბედური შემთხვევა“. იბრაიმ გორაძემ 1978 წელს „ქალბატონის მამული“, იბრაიმ გორაძემ ნ. ბარამიდესთან ერთად 1990 წელს „უცხო ქალი“. სამივე თარგმანის გამოცემა განხორციელდა გამომცემლობა „საბჭოთა აჭარაში“.

საზოგადოდ, მხატვრული თარგმანი შემოქმედების ფორმაა, რომელშიც დედანი ასრულებს იმავე როლს, რასაც ორიგინალური შემოქმედებისთვის ცოცხალი სინამდვილე. ამასთან, თარგმანში აუცილებელი არ არის „ორიგინალის ხატოვან თქმებს ან სხვა გამომსახველობით ხერხებს ყოველთვის მოვნახოთ წმინდა ქართული შესატყვისი. აქ უნდა გავარჩიოთ ავტორისეული და ტრადიციული მხატვრული საშუალებანი. ავტორისეული გამომსახველობითი ხერხების ხშირად შესაფერისი ფორმით ზუსტად გადმოტანა ამდიდრებს მშობლიურ ენას და, გარდა ამისა, ანიჭებს თარგმნილ ნაწარმოებს იმ უცხო ელფერს, რაც, ჩვენი აზრით, თარგმანს უეჭველად უნდა ახლდეს თან“ (ფანჯიკიძე, 1988, 19). ამის გარეშე, განსხვავებულ ენობრივ და კულტურულ სისტემაში მოხვედრილი ორიგინალური ნაწარმოები სახეს იცვლის. ამდენად, ორიგინალისა და თარგმანის იდენტობის საკითხი ყოველთვის სადავოა, მაგრამ მხოლოდ თარგმანია ორიგინალისაკენ მიმავალი ერთადერთი გზა. ცხადია, ზემოთმოყვანილი მოსაზრება ჩვენთვის ამოსავალი დებულებაა, როცა ორჰან ქემალის რომანების ქართული თარგმანების შეფასების ამოცანას ვისახავთ მიზნად.

**თემის აქტუალობას** განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ დღესდღეობით აქტიურად ვითარდება ქართველ და თურქ ხალხს შორის მეგობრული ურთიერთობა, რაც, პირველ რიგში, ლიტერატურულ-კულტურულ თანამშრომლობაში უნდა გამოიხატოს. აუცილებლად მიგვაჩნია მთარგმნელობითი საქმიანობის ფართოდ გაშლა. ამისათვის კი აუცილებელია თარგმანის სფეროში წარსული გამოცდილების გათვალისწინება. ვიზიარებთ თვალსაზრისს, რომ „თარგმანის ფენომენის საიდუმლო ენისა და აზროვნების ურთიერთობაშია საძიებელი. რომ არ

არსებობდეს ენისა და თარგმანის დიალექტიკური ერთიანობა, ენას რომ არ გააჩნდეს უნარი გარდასახოს ყოველი აზრი, თარგმანი ვერ იარსებებდა“ (ფანჯიკიძე, 1988). შესაბამისად, უკვე არსებული თარგმანის კრიტიკული შეფასება ყოველთვის აქტუალურია, რადგან, ერთი მხრივ, ვაფასებთ კონკრეტული თარგმანის ავკარგიანობას, მის ძლიერ და სუსტ მხარეებს, მეორე მხრივ, მოცემული კონკრეტული ენიდან, ჩვენ შემთხვევაში თურქულიდან, თარგმნის დროს წამოჭრილ სირთულეებსა და თავისებურებებს მომავალში სხვა მთარგმნელი გაითვალისწინებს.

**ნაშრომის მიზანია** ორჯან ქემალის ზემოთ აღნიშნული რომანების ქართული თარგმანის კრიტიკული ანალიზი, ორიგინალი ტექსტისა და თარგმანის შეპირისპირების გზით თარგმანითა ადეკვატურობის ხარისხის განსაზღვრა, საკუთრივ მთარგმნელების, ერთი მხრივ, ნანა გვარიშვილის, მეორე მხრივ, იბრაიმ გორამის მთარგმნელობითი კომპეტენციის, სტილისა და მანერის დადგენა. ნაშრომში ასევე მიზნად ვისახავთ, ფართო საილუსტრაციო მასალაზე დაყრდნობით, განვსაზღვროთ ის თავისებურებები, სპეციფიკური სირთულეები, რომლებიც თურქული ენიდან ქართულად თარგმნის პროცესს თან ახლავს. ასევე ვეცადეთ ქართველი მკითხველისათვის წარმოგვეჩინა ქართულ-თურქული ლიტერატურული ურთიერთობის ზოგადი სურათი, ორჯან ქემალის ცხოვრების გზა და ლიტერატურული პორტრეტი.

**ნაშრომის სიახლეს** განაპირობებს ის ფაქტი, რომ მასში პირველად არის მოცემული თურქული ლიტერატურული ტექსტის, კერძოდ, ორჯან ქემალის სამი რომანის, ქართული თარგმანების კრიტიკული ანალიზი. სიახლეს წარმოადგენს არა მარტო ის, რომ მსგავსი სამუშაო დღემდე არ ჩატარებულა, არამედ ისიც, რომ ჩვენ შევეცადეთ, სპეციფიკური სტილური და ენობრივი ფორმების ანალიზის ფონზე, წარმოგვეჩინა ის თავისებურებები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია თურქულენოვანი ნაწარმოებების ქართულად თარგმნის დროს.

ნაშრომის თეორიულ ბაზას წარმოადგენს თარგმანის თეორიის ზოგადი პრინციპები, აგრეთვე, ქართულ და თურქულ მთარგმნელობით პრაქტიკაში შემუშავებული თეორიული პრინციპები.

**კვლევისას გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:** ემპირიული, შედარებითი, შეპირისპირებითი, ისტორიულ-შედარებითი, დესკრიფციული, სიტყვის კომპეტენტური ანალიზი.

**ემპირიული მასალა აღებულია:** ორჰან ქემალის ორიგინალი ტექსტებიდან, მათი ქართული თარგმანიდან, თურქულ და ქართულენოვანი ლექსიკონებიდან, ენციკლოპედიებიდან.

**ნაშრომის თეორიულ და პრაქტიკული ღირებულებას:** წარმოადგენს ის, რომ კვლევის შედეგად მიღებული ზოგიერთი დებულება ამდიდრებს თარგმანის თეორიულ ბაზას. ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია თურქული ლიტერატურული ტექსტების ქართულ ენაზე თარგმნის პროცესში წამოჭრილი სირთულეების გადაჭრის თეორიული წანამძღვრები.

ნაშრომი პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს სტუდენტებს, თურქულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობით დაინტერესებულ სპეციალისტებს.

**ნაშრომის სტრუქტურა** დასახული მიზნებსა და ამოცანებს პასუხობს. კერძოდ, ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავის, დასკვნის და ბიბლიოგრაფიისაგან. მოიცავს ? ნაბეჭდ გვერდს.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი პრობლემის აქტუალობა, ჩამოყალიბებულია კვლევის მიზანი, საუბარია ნაშრომის მეცნიერულ სიახლეზე, თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობაზე.

#### **I თავი. ქართულ-თურქულ ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან:**

წარმოადგენს ქართულ-თურქული ლიტერატურული ურთიერთობის რეტროსპექტულ გადმოცემას. ყურადღება გამახვილებულია ჟურნალების „ჩვენებურისა“ და „ფიროსმანის“ როლზე ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეში თურქულ ლიტერატურულ-კულტურულ სივრცეში,

ქართული ლიტერატურის თურქ მთარგმნელებსა და მკვლევრებზე, საქართველოსა და მისი კულტურის, ლიტერატურის ასახვაზე თურქულ ენციკლპედიებსა და ლექსიკონებში, აგრეთვე, საუბარია თურქული ლიტერატურის ქართულ თარგმანებზე.

### **თავი II ორჰან ქემალის ცხოვრება და შემოქმედება:**

II თავში საუბარია ორჰან ქემალის ცხოვრებასა და შემოქმედების ძირითად ტენდენციებზე. გატარებულია თვალსაზრისი, რომ მწერლის მძიმე ცხოვრებამ დიდწილად განსაზღვრა მისი შემოქმედების საერთო ხასიათი. თურქულ სალიტერატურო კრიტიკაში დამკვიდრებული თვალსაზრისის შესაბამისად, გამოყოფილი და დახასიათებულია მწერლის შემოქმედების ძირითადი ეტაპები, აგრეთვე, ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებანი.

### **თავი III ორჰან ქემალის რომანების სტილის ზოგადი თავისებურებები და მათი ასახვა ქართულ თარგმანებში**

III თავში განხილულია ორჰან ქემალის საანალიზო რომანების სტილური თავისებურებისა და მისი თარგმანში ასახვის საკითხი. კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია სამ ასპექტზე: თხრობის ტექნიკაზე, დიალოგის როლზე რომანში, რომანების კილოსა და აქცენტზე. გაკეთებული დასკვნა, რომ მთარგმნელები შეძლებისგვარად ითვალისწინებენ ორიგინალი ტექსტების სტილის აღნიშნულ თავისებურებებს.

### **თავი IV ორჰან ქემალის რომანების ქართული თარგმანების ენა:**

IV თავი ნაშრომის ძირითად ნაწილს წარმოადგენს. მასში მიმოხილულია ორჰან ქემალის რომანებისა და მათი ქართული თარგმანის ენობრივი შესაბამისობის საკითხები. გამოყოფილი და გაანალიზებულია ისეთი ენობრივი ფორმები, რომელთა თარგმნას, ჩვეულებრივ, თან ახლავს მთელი რიგი ფილოლოგიური დაბრკოლებები, კერძოდ: სპეციფიკური ლექსიკა (რელიგიური ლექსიკა, ვულგარიზმი, ჟარგონი, შერქმეული სახელები), ანდაზები, ფრაზეოლოგიზმები, ლოცვის, წყევლის, ფიცის ფორმულები. მსჯელობა ემყარება უხვ საილუსტრაციო მასალას. გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

## თავი I. ქართულ-თურქულ ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან

ნაშრომის შესავალში აღვნიშნეთ, რომ თურქული ლიტერატურის, საერთოდ, კულტურის, გაცნობის საშუალება ქართველ მკითხველს მე-20 საუკუნის დასაწყისიდან აქვს და ამ მხრივ საკმაოდ მდიდარი ტრადიციაც ჩამოყალიბდა. რაღაც შეეხება ქართული ლიტერატურის თურქულ ენაზე თარგმნას, ის შედარებით გვიან დაიწყო და დღემდე არ აქვს სისტემური, მიზანმიმართული ხასიათი. 1940 წელს ნიაზ აჰმეთ ბანოღლუ დაინტერესდა ქართული ლიტერატურით, მაგრამ მის ინიციატივას ყურადღება არავინ მიაქცია. ქართული ლიტერატურით სერიოზული დაინტერესება თურქეთში მხოლოდ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება. 1969 წელს გერმანულიდან თურქულ თურქულ ენაზე ითარგმნა ნოდარ დუმბაძის „მე მხედავ მზეს“, რამაც თურქი მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია.

რასაკვირველია, ის, რომ თურქი მკითხველი არ იცნობდა ქართულ ლიტერატურას, იყო ძალიან დიდი დანაკლისი. ეს კარგად ესმოდათ აჰმედ ოზგანი მელაშვილს, იბრაიმ გორაძეს, ჰაირი ჰაირიოღლუს. სწორედ მათ მოჰკიდეს ხელი ქართული ლიტერატურის თურქული საზოგადოებრიობისათვის გაცნობის რთულ საქმეს. აჰმედ მელაშვილმა 1968 წელს გამოსცა წიგნი „საქართველო“ (5,15). წიგნი თურქ მკითხველს აცნობდა საქართველოს და ქართული ლიტერატურის შესახებაც იყო მცირე ინფორმაცია. მანვე თარგმნა ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯა“ (1973) და გამოაქვეყნა (9,30). ჟურნალ „ჩვენებურში“ კი დაბეჭდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მისეული თარგმანის რამდენიმე თავი. ქართული ენის, ლიტერატურისა და კულტურის თურქეთში პოპულარიზაციის საქმეში ახალი ეტაპი დაიწყო ჟურნალ „ჩვენებურის“ დაფუძნების შემდეგ.



## 1.1. ჟურნალები-„ჩვენებური“, „ფიროსმანი“- და მათი წვლილი ქართულ-თურქულ ლიტერატურულ-კულტურულ ურთიერთობაში

ქართულ-თურქული კულტურული ურთიერთობების პროპაგანდას აქტიურად ეწეოდა ჟურნალი „ჩვენებური“. ჟურნალი კულტურის დარგის კრებული იყო, რომელიც გამოდიოდა თურქეთის რესპუბლიკაში და გათვალისწინებული იყო თურქეთში მცხოვრები ქართველებისათვის თუ საქართველოში დაინტერესებული თურქებისთვის. კრებული გამოდიოდა ორ თვეში ერთხელ.

„ჩვენებურის“ პირველი ნომერი გამოსცა შვედეთის ქართულმა კულტურულმა კავშირმა შანვერ აკინის ინიციატივით სტოკჰოლმში 1977 წელს. ამავე წელს გამოვიდა კრებულის მეორე და მესამე, მომდევნო წელს მეოთხე და მეხუთე ნომრები. სტამბოლში დაიბეჭდა „ჩვენებურის“ მეექვსე და მეშვიდე ნომერი 1979 წელს აჰმედ მელაშვილის მიერ.

აჰმედ მელაშვილი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პროფესიით არქიტექტორი. მისი წინაპრები 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს გადასახლდნენ საქართველოდან თურქეთში. აჰმედმა ქართული ენა ჯერ დამოუკიდებლად, ხოლო შემდეგ ქართული კათოლიკურ ეკლესიაში შეისწავლა. ის იყო საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურის, ხელოვნების, ფოლკლორის შესანიშნავი მცოდნე. აჰმედ მელაშვილი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მხოლოდ ქართველებს შორის, მას პატივს სცემდნენ და მაგალითად სახავდა თურქეთის აფხაზურ-ჩრდილოკავკასიური დიასპორა. წიგნ „საქართველოს“ გამო აჰმედ მელაშვილს ბრალი დასდეს ისლამის დაგმობაში. 1980 წლის 5 ივნისს აჰმედ მელაშვილი მოკლეს. აჰმედის მთელი ცხოვრება იყო სიყვარულის გამოხატულება საქართველოსა და ქართველებისადმი. მისი მკვლელობის შემდეგ „ჩვენებურის“ გამოცემა შეწყდა.

2005 წლის 28 ივლისს მუსტაფა იაქუთმა გაზეთში „ბირგუნ“ აჰმედ მელაშვილის გარდაცვალების 25 წლის თავთან დაკავშირებით გამოაქვეყნა სტატია, რომლითაც პატივი მიაგო აჰმედ მელაშვილის ხსოვნას (3,4). სტატიაში

მუსტაფა იაქუთი წერს: „1974 წელი ჩემს სამწერლო მოღვაწეობაში შემოზრუნების წერტილი იყო. ამ წელს მელაშვილი გავიცანი. მისი გაცნობის შემდეგ მივხვდი, თუ რა დიდი ნაკლი მქონდა მშობლიური ენის, კულტურის ცოდნის, ქვეყნის, სათვისტომოს ცოდნისა და ადამიანური თვისებების თვალსაზრისით. მხოლოდ მაშინ დავიწყე იმის გააზრება, რომ ერი მხოლოდ ენისა და კულტურის საშუალებით გადარჩება.“ შემდეგ მუსტაფა იაქუთი ერთმანეთს ადარებს აჰმედ მელაშვილისა და ილია ჭავჭავაძის მკვლევობას: „1980 წლის ხუთ ივლისს ბურსაში მოხდა ფაშისტური მკვლევობა. ქართველი ხალხის ლიდერი ილია ჭავჭავაძე მეფის რუსეთის ჟანდარმებმა მოკლეს. რა კავშირია ამ ყველაფერს შორის? უპირველეს ყოვლისა, ეს ორი მოვლენა სხვადასხვა დროს მოხდა. გაუხსნელი დანაშაულია ორივე. ქალბატონი ლია ჩლაიძე აჰმედ მელაშვილს მის სიცოცხლეში ასე ეუბნებოდა: შენ ქართველების ილია ჭავჭავაძე ხარო. ახლა კი ასე ამბობს, რა სამწუხაროა, რომ აჰმედიც ილიასავით მოკლესო.“

აჰმედ მელაშვილის საფლავზე ასეთი წარწერაა: „მე ჩემი ხალხისთვის ვიცხოვრე და არა უკვდავებისთვის!“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჟურნალ „ჩვენებურის“ გამოცემა შეწყდა აჰმედ მელაშვილის გარდაცვალების მიზეზით. მხოლოდ ცამეტი წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი ჟურნალის გამოცემის აღდგენა. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქ. სტამბოლში რედაქციას სათავეში ედგა ფაჰრეთინ ჩილოღლუ, ხოლო შემდეგ წლებში ჟურნალს ხელმძღვანელობდა ოსმან ნური მერჯანი (იმედაშვილი).

„ჩვენებურის“ კარი ღია იყო ყველა იმ მწერლისთვის, პოეტისთვის, მთარგმნრლისთვის, რომელსაც რაიმე შეხების წერტილი ჰქონდა საქართველოსთან.

ორიოდ სიტყვა ჟურნალის სათაურის გამო. მეთექვსმეტე საუკუნეში საქართველოს სამხრეთში ოსმალთა ბატონობის დამყარების შედეგად ქართველთა ერთმა ნაწილმა გამუსლიმანება დაიწყო. ისინი ქრისტიანი ქართველებისგან რელიგიური, კულტურული და ცხოვრების წესის თვალსაზრისით, ხოლო ოსმალთაგან ეთნიკური თვალსაზრისით განსხვავდებოდნენ. ასეთი ქართველები

თავიანთ „ჩვენებურებს?“ უწოდებდნენ. მუსლიმან ქართველებს ნაცვლად „ქართველი ხარ?“ ეკითხებოდნენ „ჩვენებური ხარ?“ შეიძლება ამის მიზეზი ისიც იყო, რომ მუსლიმი ქართველები ამით მალავდნენ თავიანთ წარმომავლობას. ცნობილია, რომ თურქეთში 90-იან წლებამდე არცერთს არ ჰქონდა თვით გამორკვევის უფლება. „ჩვენებური“ ამ მნიშვნელობით დღესაც იხმარება. აქედან მომდინარეობს კრებულის სათაური.

მას შემდეგ, რაც განვითარდა თურქეთ-საქართველოს უკვე დამოუკიდებელი ურთიერთობები, ჟურნალი „ჩვენებური“ შემაერთებელი ხიდი გახდა ქრისტიანი და მუსლიმანი ქართველებისა. კრებული თურქეთში მცხოვრები ქართველებისთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა. მათ თუ რამე იციან საქართველოზე, მის ისტორიაზე, კულტურაზე, ეს „ჩვენებურის“ დამსახურებაა. ჟურნალის გადაფურცვლისთანავე იგრძნობა საოცარი სითბო და სიყვარული ყოველივე ქართულისადმი. კრებულის მიზანი იყო თურქეთ-საქართველოს ურთიერთობების გამყარება. თურქეთისთვის საქართველო არა მხოლოდ ჩრდილოელი მეზობელია, არამედ შუა აზიის თურქულ სახელმწიფოებთან დამაკავშირებელი ხიდიცაა. წინაპართა სამშობლოსთან მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნების ერთ-ერთი გზაა ქართული კულტურის და ისტორიის გაცნობა, რასაც ემსახურებოდა „ჩვენებური“. ჟურნალს საქართველოშიც დიდი ინტერესით კითხულობდნენ.

კრებული მეტად მრავალფეროვანი იყო. აქ მკითხველი ეცნობოდა ქართული ლიტერატურას, ფოლკლორს, ხელოვნებას, კულტურას, საქართველოს ისტორიას, ეთნოგრაფიას, სოციალურსა და ეკონომიკურ მდგომარეობას; ინტერვიუსა და პორტრეტის განყოფილებაში მას საინტერესო პიროვნებებთან უწევდა შეხვედრა. ჟურნალი არც ბავშვებს ტოვებდა გულგრილს. აქ ისინი ხვდებოდნენ ქართული ხალხური ზღაპრების გმირებს, ეცნობოდნენ ქართველი საბავშვო მწერალთა და პოეტთა ლექსებსა და მოთხრობებს.

„ჩვენებურში“ ძირითადად იბეჭდებოდა ფაჰრეტინ ჩილოღლუს (ჭილაშვილი), ჰასან თაჰსინ საიგილის (ბეჟანიძე), ჰაირი ჰაირიოღლუს (მალაკმაძე), იბერია ოზგანის (აჰმედ მელაშვილის შვილი), ისმაილ იაზიჯის

(დავლადე) სტატიები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჟურნალის მესვეურნი, რომლებიც მოწყვეტილნი არიან ისტორიულ სამშობლოს შესანიშნავად ფლობენ ქართულ ენას, იცნობენ ქართულ კულტურას და ნათელი წარმოდგენა აქვთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრების შესახებ. კიდევ უფრო ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ჟურნალის გამომცემელთა შორის არაქართველებიც იყვნენ, რომლებიც არანაკლებ იყვნენ დაინტერესებულნი საქართველოთი.

მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული კრებული მაღალპროფესიონალურად წარმოაჩენდა მკითხველის წინაშე ქართულ სინამდვილეს.

კრებულის უპირველესი დანიშნულება იყო ქართული კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაცია, მისი გაცნობა თურქეთში მცხოვრები ქართველებისთვის და რა მართო ქართველებისათვის. ამ ფუნქციას იგი შესანიშნავად ასრულებდა. ჟურნალში ქართული კულტურის მიღწევები ფართო სპექტრით იყო წარმოდგენილი. ჟურნალს მიზნად დაუსახავს საქართველოს ისტორიის გაცნობა მკითხველისათვის.

კრებულის ხელოვნებისა და ლიტერატურის განყოფილებაში დაბეჭდილია ქართული ლიტერატურის ისტორია მეხუთე საუკუნიდან დღემდე (ავტორი ფაჰრეთინ ჩილოღლუ), სვანური თქმულება ბეთქილზე (მთარგმნელი აჰმედ მელაშვილი), რომელიც დასურათებულია ქართველი მხატვარ-გრაფიკოსის და მოქანდაკის, ვახტანგ ონიანის მიერ. ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გვერდები დათმობილი აქვს აკაკი წერეთლის (მთარგმნელი იბერია ოზგანი), ნიკოლოზ ბარათაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, ანა კალანდაძის, ოთარ ჭილაძის, თამაზ ჭილაძის, ბადათერ არაბულის ლექსებს (მთარგმნელი ჰასან ჩელიქი).

ჟურნალს ბავშვებიც დიდი ინტერესით კითხულობდნენ. აქ მათთვის სპეციალური გვერდია გამოყოფილი, სადაც დაბეჭდილია ქართული ხალხური ზღაპრების, ქართველი საბავშვო მწერალთა და პოეტთა მოთხრობების და

ლექსების თარგმანები. პატარა მკითხველი გაეცნობა ქართული ხალხურ ზღაპრებს „ნაცარქექია“ (მთარგმნელი ჰასან ჩელიქი), „კატა და ლომი“ (მთარგმნელი მურათ ათასერთი (ცეცხლაძე), იროდიონ ევდოშვილის გიორგი შატბერაშვილის, მოთხრობებს, რომელთა მთარგმნელია ჰაირი ჰაირიოღლუ. მკითხველს გულგრილს არ დატოვებს პატარა-პატარა საბავშვო მოთხრობები, რომლებიც დედაენიდან არის ამოღებული.

ამრიგად, ჟურნალი „ჩვენებური“ ქართული კულტურის, საქართველოს ისტორიის და თანამედროვე სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობის ყველა მნიშვნელოვან პრობლემას სწორი მეცნიერული პოზიციით და მოქალაქეობრივი კეთილსინდისიერებით აღწერდა და პოპულარიზაციას უწევდა თურქულენოვან სამყაროში. სამწუხაროდ, ჟურნალის გამოცემა შეწყდა.

ქართულ-თურქულენოვანი ჟურნალი „ფიროსმანი“ თურქეთის ქართული დიასპორის გამაერთიანებელია. 2007 წლიდან გამოვიდა ჟურნალის ექვსი ნომერი. გამოცემა გამოირჩევა მაღალი ხარისხით, როგორც ფორმით, ისე შინაარსითაც. ჟურნალის რედაქტორია ფაჰრეთინ ჩილოღლუ (ჩილაშვილი); რედკოლეგიაში შედიან ქართული წარმოშობის ცნობილი თურქი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: ქევსერ რუჰი (ხანთაძე), მუსტაფა იაქუთი (ხიმშიაშვილი), ჰასან ჩელიქი, იასინ ონჯუ (მსხალაძე), შენოლ თაბანი და სხვ. რედკოლეგიაში შედიან ქართული წარმოშობის ცნობილი თურქი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: ქევსერ რუჰი (ხანთაძე), მუსტაფა იაქუთი (ხიმშიაშვილი), ჰასან ჩელიქი, იასინ ონჯუ(მსხალაძე), შენოლ თაბანი და სხვ. „ფიროსმანს“ უდიდესი წვლილი შეაქვს თურქეთში საქართველოს ისტორიისა და კულტურის, ქართული ენის, ლიტერატურისა და ფოლკლორის პოპულარიზაცია. ემსახურება ადგილობრივ ქართველებში ეროვნული თვითშეგნების დაცვისა და გაღრმავების უმნიშვნელოვანეს საქმეს. ჟურნალში სისტემატურად ქვეყნდება საინტერესო სტატიები თურქეთის სხვადასხვა რეგიონში არსებული ქართული სოფლების, ქართული ძეგლების, ადგილობრივი ქართველების, მათი კულტურისა და ტრადიციების, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების შესახებ. ცალკე ადგილი ეთმობა ინფორმაციებს საქართველოში მიმდინარე პროცესების თაობაზე.

რედაქციის წევრებს აქტიური ურთიერთობები აქვთ თურქეთის ქართულ საზოგადოებებთან, აშუქებენ მათ მოღვაწეობასა და ქართული დიასპორის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს. აღსანიშნავია ფაქრეთინ ჩილოღლუს-„ფისროსმანის“ რედაქტორის განსაკუთრებული ღვაწლი. იგი წლების განმავლობაში მოღვაწეობდა „მამულისა“ და „ჩვენებურის“ რედაქციებში. მანვე შეადგინა „დედაენა“, ბავშვებისათვის ქართული წერის მასწავლებელი „კალიგრაფიული რვეული“ და მოძრავი ანბანი. ფარეთინ ჩილოღლუს მიერ შედგენილი „დედაენა“ 64-გვერდიანია. მაღალი პოლიგრაფიული ზარისხითა და ფერადი სურათებით გამოცემული „დედა ენა“ მშობლიური ენის შესწავლის უპირველესი წყაროა თურქეთის ქართველობის ყველა ასაკის წარმომადგენლისათვის. „კალიგრაფიული რვეული“ 64-გვერდიანია და გამიზნულია თურქეთის ქართველობისთვის ქართული მართლწერის შესასწავლად მოძრავი ანბანი, მცირე ზომითა და ლამაზი გაფორმებით, უმაღლესი მიიპყრობს ბავშვების მიიპყრობს ბავშვების ყურადღებას. კარტის ფორმის ხარისხიან მუყაოზე წინა მხარე 33 ნიშნის გამოსახულებას, უკანა მხარე კი ლექსიკონს უკავია.

თურქეთის დიასპორის ეს მნიშვნელოვანი შენაძენი, ისევე როგორც ჟურნალი „ფისროსმანი“, შენოლ თაბანის ხელმძღვანელობით გამოიცა. შენოლ თაბანი წარმოშობით ართვინის ოლქის ბორჩხის რაიონიდანაა. იგი წლების განმავლობაში დაუცხრომლად იღწვის თურქეთის ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის.

აჰმედ მელაშვილის თანამედროვე იყო იბრაჰიმ გორაძე, რომელმაც ქართულიდან თურქულად თარგმნა იუსუფ ფაღავას „ჩაუმქრალი კერა“ (1977), მიხეილ ჯავახიშვილის „ემშაკის ქვა“ (1988), სიმონ კვარიანის „დიდი მოურავი-გიორგი სააკაძე“ (1980). ჰაირი ჰაირიოღლუმ კი ქართული ზღაპრები „ზარმაცი კაცი“ (1983) და „მზის ასული“ (1986) გამოსცა თურქულ ენაზე.

ჰაირი ჰაირიოღლუს მშობლები აჭარიდან თურქეთში გადასახლდნენ. იგი დაიბადა 1936 წელს ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეში. 1955 წელს ჩაირიცხა

ბურსის მამაკაცთა ხელოვნების ინსტიტუტში არქიტექტურის ფაკულტეტზე. ქართული სასაუბრო ენა მან ოჯახში შეისწავლა, შემდეგ კი ისწავლა ქართული ანბანი. ძალიან პატარა იყო, როდესაც ლექსების წერა დაიწყო. ბევრმა გამომცემლობამ, თურქეთსა თუ მის ფარგლებს გარეთ, გამოსცა მისი მოთხრობები, ლექსები, გამოკვლევები და სამეცნიერო სტატიები. 1978 წელს მოიწვიეს საქართველოში, სადაც მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა. 1982 წელს იგი პენსიაზე გავიდა და მთელ დროს ოთმობდა სამეცნიერო მუშაობას კავკასიოლოგიაში.

ჰაირი ჰაირიოღლუს მიერ თურქულად ნათარგმნია ქართული ზღაპრების კრებულის „ზარმაცი კაცის“ წინასიტყვაობაში შეიძლება ამოვიკითხოთ შემდეგი: მიუხედევად იმისა, რომ საქართველო ჩვენი მეზობელია, ქართული მწერლობის ძალიან ცოტა ნიმუში არის თარგმნილი თურქულ ენაზე. ქართველ ერს დიდი ისტორიული წარსული აქვს და როგორც ყველა დიდი წარსულის მქონე ერი, მდიდარია ზღაპრებითა და ეპიკური ნაწარმოებებით.

თურქეთის განათლების სამინისტრომ შეისწავლა აღნიშნული წიგნი და მიიჩნია, რომ მისი წაკითხვა რეკომენდებულია დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ჰაირი ჰაირიოღლუმ შეკრიბა და ქართულიდან თურქულად თარგმნა ზღაპრების კრებული „მზის ასული“. წიგნის წინასიტყვაობაში იგი თურქ მკითხველს აცნობს საქართველოსა და ქართულ კულტურას, საუბრობს ოქროს საწმისა და რუსთაველზე, თამარ მეფეზე; მოკლედ ეხება ჩვენი ქვეყნის ისტორიას და აღნიშნავს, რომ საქართველოს უცხოელები ყოველთვის „აღმოსავლეთის სამოთხეს“ უწოდებდნენ, რომ საქართველო ლეგენდებისა და ცისფერი მთების ქვეყანაა.

საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურისა და ლიტერატურის თურქი მკითხველისათვის გაცნობაში დიდია ფაჰრეთინ ჩილოღლუს (ფარნა ჩილაშვილის) წვლილი. იგი დაიბადა 1955 წლის 18 აპრილს უნიეში. სტამბოლში დაამთავრა ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, არის მწერალი და პოეტი. ფაჰრეთინ ჩილოღლუმ ქართულიდან თურქულ თარგმნა რამდენიმე ისტორიული წიგნი,

ქართველ პოეტთა ლექსები და პროზაული ნაწარმოებები. მან თურქ მკითხველს გააცნო ივანე ჯავახიშვილის „წერილები შავშეთიდან“. თარგმნისას მან ისარგებლა აღნიშნული წიგნის 1991 წლის თბილისური გამოცემით. მაგრამ შეცვალა სათაური და მას უწოდა „წერილები ბორჩხიდან“. თვითონ ამას ასე ხსნის: „რადგან წერილები ბორჩხიდან არის მოწერილი, ამიტომ უფრო შესაფერად ჩავთვალეთ, მისთვის გვეწოდებინა „წერილები ბორჩხიდან“.

ივანე ჯავახიშვილი დაიბადა 1862 წელს და გარდაიცვალა 1936 წელს. იგი 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს გაიგზავნა ჭოროხის ხეობაში მცხოვრებ მუსლიმ ქართველებთან. ხეობა აღნიშნული ამის შედეგად რუსეთის ხელში აღმოჩნდა. აქ სამსახურის დროს მან დაწერა წერილები რომლებიც გამოქვეყნდა თბილისში გაზეთ „დროებასა“ და „ივერიაში“. წერილებში გადმოცემულია ივანე ჯავახიშვილის ურთიერთობები ჭოროხის ხეობაში მცხოვრებ მუსლიმ ქართველებთან. წიგნი დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის იმ ქართველებზე, რომლებიც ომის შემდეგ ხეობაში დარჩნენ.

ისმეთხადე დოქტორი მეჰმედ არიფის ავტორობით გამომცემლობა „სინათლემ“ 2002 წელს გამოსცა წიგნი „ქართული სოფლები“. იგი ეხება ჭოროხის ხეობიდან წასულ და სამსუნის ილჩე ჩარშამბაში ჩასახლებულ ქართველებს. ორივე წიგნი გახლავთ მნიშვნელოვანი წყარო თურქეთში მცხოვრები ქართველების შესახებ.

ასევე ფაჰრეთინ ჩილოღლუმ თარგმნა თურქულად აბდულ მიქელადის „წერილები აჭარიდან“. წიგნში დაბეჭდილია ის წერილები, რომლებსაც აბდულ მიქელადე სწერდა საქართველოს სამხრეთიდან, საქართველოს იმ ნაწილიდან, სადაც მუსლიმი ქართველები ცხოვრობდნენ, გაზეთ „ივერია“ თბილისში.

ფაჰრეთინ ჩილოღლუმ თარგმნისას ისარგებლა რამაზ სურმანიძის მიერ გამომცემული წიგნით „წერილები აჭარიდან“ (1991, თბილისი). წიგნში შესული პირველი წერილი 1886 წელს არის დაწერილი, უკანასკნელი კი 1915 წელს. წერილები იწერებოდა სოფელ ქედაში. სოფელ ქედა და მისი შემოგარენი 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომამდე ოსმალეთის შემადგენლობაში შედიოდა.



აღნიშნული წიგნი ძალიან საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ასახავს მუსლიმი ქართველების ცხოვრებას. იმ მუსლიმი ქართველებისა, რომლებიც ომის შემდეგ გადასახლდნენ ოსმალეთში და იმ მუსლიმი ქართველებისაც, რომლებმაც ომის შემდეგ რუსეთის შემადგენლობაში დარჩენა არჩიეს. წიგნი ძალიან საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის სოფლის მეურნეობაზე, განათლებაზე, იმ სოციალურ პრობლემებზე, რომელსაც განიცდიდა ამ მხრის მოსახლეობა (შიმშილი, ინფექციური დაავადებები და სხვ.).

წერილების ავტორი აბდულ მიქელაძე ისეთივე საინტერესო პიროვნებაა, როგორც მისი წერილები. იგი თავის 44-ე წერილში წერს, რომ პირველად თბილისში 1880 წელს ჩავიდა. აღნიშნავს, რომ არ იცოდა წერა-კითხვა, რომ მხოლოდ ქართულ ასოებს სცნობდა. რამდენიმე წლის შემდეგ კი ის გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტი ხდება. აბდულ ეფენდი მიქელაძე 1853 წელს სოფელ ქედის მახლობლად, ქვემო აჭარაში დაიბადა. მისმა ოჯახმა კარგად იცოდა ხალხური მედიცინა, თუმცა მამამისი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. აბდულ ეფენდი ტრაპიზონში სწავლობდა მედრესეში (სასულიერო სასწავლებელში). აღნიშნული სასწავლებელი დაამთავრა, თუმცა სასულიერო საქმიანობა არ გაუგრძელებია და ისიც ხალხური მედიცინით დაინტერესდა.

ქართული წერა-კითხვის სწავლა 1870 წელს დაუწყო. 1882-1884 წლებში თბილისში გაიცნო ილია ჭავჭავაძე, პეტრე უმიკაშვილი და იმ ეპოქის სხვა შესაძლებელი მისი ცხოვრებისათვის თვალის მიდევნება მის წიგნში გამოქვეყნებული წერილების მიხედვით. ბოლო წერილი 1915 წელს არის დაწერილი, რომელშიც ის თავს ასე მოიხსენიებს „ძველი ივერიის“ დავიწყებული კორესპონდენტი აჭარელი მიქელაძე“. (46-ე წერილი).

ამ წიგნის დამატებითი თავის მეხუთე წერილში ზაქარია ჭიჭინაძე წერს, რომ ივანე ჯაიანი ბორჩხაში ქართულ ანბანს ასწავლის. აქ აღნიშნული ივანე ჯაიანი სხვა არავინაა, თუ არა ავტორი წიგნისა „წერილები შავშეთიდან“. „წერილები აჭარიდან“ და „წერილები შავშეთიდან“ არის ორი წიგნი, რომელიც ერთმანეთს ავსებს.

1987 წელს სტამბოლში გამოიცა ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონი“, რომელიც თურქულ ენაზე თარგმნა ალი ალთუნმა. წიგნის წინასიტყვაობაში მთარგმნელი ალი ალთუნი ზოგადად საუბრობს საქართველოსა და ქართულ კულტურაზე. აღნიშნავს, რომ თურქი მკითხველი რომანის წაკითხვის შემდეგ საოცარ სულიერ სიახლოვეს იგრძნობს ქართველ ხალხთან. იგი მიხვდება, რომ საქართველო მხოლოდ მეზობელი ქვეყანა არ არის. ქართველებიც ისეთივე ემოციურნი არიან, როგორც თურქები, ვერ ეგუებიან უკეთურობას. სიყვარულიც ერთნაირად ესმით.

ფრიდონ ხალვაშის ლექსების კრებული „რაც არ უნდა იყოს“ თურქულ ენაზე ითარგმნა 1987 წელს ფაქირ ბაიქურთისა და აბდურაჰმან ჩეთინქაიას მიერ. მაშინ სარფის სასაზღვრო კარი ჯერ არ იყო გახსნილი და მთარგმნელი ფაქირ ბაიქურთი, დიდ სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ მასთან სტუმრად მიმავალი ფრიდონ ხალვაში იძულებულია მოსკოვის გავლით ჩავიდეს თურქეთში. „აეროპორტში ვიცდი, მგზავრი, რომელსაც უნდა დავხვდე, პოეტი ფრიდონ ხალვაშია. ბათუმიდან მოსკოვში, მოსკოვიდან სტამბოლში, სტამბოლიდან ანკარაში ჩამოვა. დიდი გზა ელის. ბათუმსა და ხოფას შორის არსებული სარფის კარი რომ ღია იყოს, მოკლეზე გადმოვიდოდა.. ოთხი წლის წინ მეც ასევე წვალეებით ჩავედი ბათუმში. ამ ორი მეზობელი ქვეყნის საზღვრებზე ეკლიანი ბუჩქებია, რომლებიც მე და ფრიდონს არ დაგვირგავს. ერთ დღეს ხელიხელჩაკიდებულნი გავასუფთავებთ მათ. ეს არც ჩვენს ინტერესებში შედის, არც მათ ინტერესებში. ერთი საზღვრის ორივე მხარეს დედამიწის ორი საუკეთესო ხალხი ცხოვრობს. ქართველები მეგობრობასა და სტუმართმოყვარეობაში ტოლს ვერ დაგვიდებენ, მაგრამ ღვინის სმაში ნამდვილად გვჯობიან.“ შემდეგ ფაქირ ბაიქურთი საუბრობს საქართველოს კიდევ ერთ თავისებურებაზე. იგი აღნიშნავს, რომ მწერლები და პოეტები საქართველოში განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობენ. მათ ხელში დიდი ძალაა. ისინი თანამდებობის პირებთან ერთად მართავენ ქვეყანას. ფაქირ ბაიქურთი გოცებას ვერ მალავს იმის გამო, რომ საქართველოში კულტურული ცხოვრება დულს და გადმოდულს: “თეატრის კარებში იმდენი კაცი შედის და გამოდის, რომ ვერ დაითვლი. თქვენ გგონიათ

ოპერაში ბილეთს იშოვით? არ იკითხავთ, რამდენია რომანების, ლექსების, მოთხრობების ტირაჟები? გაიკითხეთ და ნახავთ. საჭირო ინფორმაციას რომ მოიპოვებთ, გაოცდებით. ფრიდონმა მაჩვენა თავისი ლექსები. დავხედე მისი ლექსების კრებულის სათაურებს: „წვიმიანი მზე“, „სახრჩობელას ცრემლი“, „ვარსკვლავის ნამსხვრევი“. რა სამწუხაროა, რომ არ ვიცი ქართული ენა და ამ ანბანს ვერ ვკითხულობ. ჩემში ნელ-ნელა იზრდებოდა ინტერესი, თუ რა ეწადა ფრიდონისა და სხვა ქართველი პოეტების ლექსებში. ამიტომ ჩმეს მეგობარს აბდურაჰმან ჩეთინქიას ვუთხარი: „დედ-მამა ქართველი გყავს. წერ, კითხულობ, საუბრობ ქართულად. პოეტი არ ხარ, მაგრამ სიტყვა-სიტყვით მითარგმნე ფრიდონის ლექსები. რას წერს, დაწერე. მე მასზე ვიმუშავებ. ერთობლივად წიგნი გამოვცეთ. შეიძლება წარმატებული აღმოჩნდეს ეს ნაბიჯი...“(10,11).

ფაქირ ბაიქურთი და აბდურაჰმან ჩეთინქია შეეცადნენ ერთმანეთი შეევესოთ. ჩეთინქიამ სუტყვასიტყვით თარგმნა ფრიდონ ხალვაშის ლექსები, ფაქირ ბაიქურთმა კი გალექსა. ლექსების თურქული თარგმანი დაიბეჭდა სტამბოლში 1988 წელს.

1991 წელს სამსუნში დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ თურქული თარგმანი. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ თურქულ ენაზე თარგმნის მცდელობა დაკავშირებულია სამსუნის უნივერსიტეტის პროფესორ ბილალ დინდარის სახელთან. იმის გამო, რომ მან არ იცის ქართული ენა, ისარგებლა „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული (სერგი წულაძის) და აზერბაიჯანული (აჰმედ ჯევადის) თარგმნით.

## 1.2. ქართული მწერლობა თურქულ ენციკლოპედიებში

თურქული ენციკლოპედიის რამდენიმე გამოცემაში გვხვდება მცირე ინფორმაცია ქართული ლიტერატურის შესახებ.

1970 წელს გამოცემულ თურქული ენციკლოპედიის XVIII ტომი მოკლედ არის საუბარი ქართული ლიტერატურის შესახებ. კერძოდ, აღნიშნულია, რომ ქართული ლიტერატურა სათავეს იღებს მეხუთე საუკუნეში. ამ დროს იქმნება სასულიერო, ისტორიული და ფილოსოფიური ნაწარმოებები. ქართული ლიტერატურის აღმავლობა ხდება თამარ მეფის ხანაში (1184-1212). ამ ეპოქის შედეგია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანო“, რომელიც სპარსული ლიტერატურის გავლენით არის შექმნილი. ეს არის სამიჯნურო და სარაინდო ეპოსი. ძალიან მწირი ცნობებია აგრეთვე მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ. ენციკლოპედია გვამცნობს, რომ “მეცხრამეტე საუკუნეში იწყება ქართული ლიტერატურის აღორძინება. ამ დროს მოღვაწეობდნენ პოეტი და მწერალი ილია ჭავჭავაძე, ეროვნული თეატრის დამაარსებელი გიორგი ერისთავი, პოეტი აკაკი წერეთელი, რომანისტი ალექსანდრე ყაზბეგი. საზღვარგარეთ მოღვაწეობდა მწერალი გრიგოლ რობაქიძე (1884-1964)” (2,128).

შედარებით დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქართული ლიტერატურის მიმოხილვას „დიდი ლექსიკონისა და ენციკლოპედიის“ მეხუთე ტომში, რომლის გამოცემის წელიც მითითებული არ არის. ენციკლოპედიაში ვკითხულობთ, რომ ქართული ლიტერატურის ისტორია, სომხეთის მსგავსად, იწყება მეოთხე საუკუნეში საქართველოს გაქრისტიანებასთან ერთად. ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად საჭირო გახდა წმინდა წიგნების ქართულ ენაზე თარგმნა და ანბანის შექმნა. ბიბლია მეხუთე საუკუნეში ითარგმნა ქართულ ენაზე სომხურიდან. მცირე ხნის შემდეგ ქართულად ითარგმნა წინასწარმეტყველთა საქმენი და ფსალმუნები. შემდეგ ქართულ ენაზე ითარგმნა წმინდა ბიზანტიელი მამების-გრიგოლ ნოსელის, გრიგოლ ნაზიანზელის, იოანე ქრიზოსტომოსის, ბასილ დიდის წიგნები. ორიგინალური ქართული ლიტერატურა წმინდანთა ცხოვრების აღწერით იწყება. უძველესი ნაწარმოები, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია

არის „შუმანიკის წამება“. ნაწარმოები დაწერილია, დაახლოებით, 480 წელს. უძველეს ტექსტებს შეიძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე „ქართლის მოაქცევა წმინდა ნინოს მიერ“ და ნაწარმოები, რომელშიც აღწერილია მეხუთე საუკუნის მეფის ვახტანგ გორგასალის ლეგენდარული თავგადასავალი. ამ თემების უმრავლესობა შემდეგ დამუშავდა ქართულ მატთანში „ქართულის ცხოვრებაში“. მეცხრე საუკუნეში არაბეთის გზით საქართველომდე მოაღწია ბუდას შესახებ ლეგენდამ „ვარლაამი და იოასაფის“ სახით. პირველი ერი, რომელმაც ამ ნაწარმოებს ქრისტიანული ელემენტები დაუმატა, იყო ქართველი ერი. საქართველოში პირველი ფილოსოფოსებისა მიქაელ ფსალოსისა და იოანე იტალოსისა. იოანე პეტრიწმა ქართულ მართლმადიდებლობას მეტი სიღრმე და მეტაფიზიკურუბა შესძინა.

ქართული სასულიერო ლიტერატურა განიცდიდა ბიზანტიურ-ბერძნული კულტურის გავლენას. შუა საუკუნეების ქართული სათავგადასავლო ლიტერატურა კი განიცდიდა სპარსული ლიტერატურის გავლენას, ასევე შეინიშნება კავკასიური ფოლკლორის გავლენაც. მეთორმეტე საუკუნეში დაიწერა სათავგადასავლო რომანი სარგის თმოგველის მიერ, რომელიც წარმოადგენს სპარსული სათავგადასავლო რომანის „ვისრამიანის“ ადაპტაციას. ასევე მოსე ხონელის მიერ დაწერილი „ამირანდარეჯანიანი“. ამ პერიოდში იქმნება არასასულიერო ლიტერატურაც. იოანე შავთელმა და ჩახრუხაძემ მეფე დავით II- ს (1089-1125) და თამარ მეფეს ლირიკული ლექსები მიუძღვნეს. ქართული ლიტერატურის მწვერვალს წარმოადგენს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ნაწარმოებები ხოტბა აქვს შესხმული იდეალურ მეგობრობას, რაინდულ სიყვარულსა და გმირობას. ყველაფერი ეს დიდი სიბრძნითაა გადმოცემული. ზუსტად არ არის ცნობილი რუსთაველი ცხოვრობდა თუ არა თამარ მეფის ეპოქაში. არსებობს მოსაზრება, რომ ეს არის ფსევდონიმი პოეტისა, რომელიც მომდევნო ეპოქაში ცხოვრობდა. ამ ეპოქაში ჩამოყალიბებული ლიტერატურული ტრადიციები მონღოლთა შემოსევის შედეგად განადგურდა, მაგრამ XVII საუკუნეში თეიმურაზ პირველისა და არჩილის შემოქმედებამ წარსულის ტრადიციები კვლავ გააცოცხლა. XVIII საუკუნეში ლექსიკოგრაფმა სულხან-საბა ორბელიანმა თავის იგრეკებს თავი

მოუყარა კრებულში „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“ და დაბეჭდა თბილისში ვახტანგ მეექვსის მიერ დაარსებულ სტამბაში. ამ ეპოქის მნიშვნელოვანი პოეტები არიან დავით გურამიშვილი და ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი). 1801 წელს საქართველო გახდა რუსეთის ქვეშევრდომი და ქართული ლიტერატურა მოექცა ევროპული ლიტერატურის გავლენის ქვეშ. ალექსანდრე ჭავჭავაძე წერდა რომანტიკულ ლექსებს. ასევე ძალიან ჰგავს ბაირონის წერის სტილს. ქართული თეატრის დამაარსებულის გიორგი ერისთავის ხელმძღვანელობით განვითარდა ქართული კომედია. ლავრენტი არდაზიანი და ჭავჭავაძე იყვნენ რეალისტები. ილია ჭავჭავაძე ასევე მოღვაწეობდა პუბლიცისტიკის სფეროში. ალექსანდრე ყაზბეგმა და ვაჟა-ფშაველამ თავიანთ ნაწარმოებებში ქართველ მთიელთა ცხოვრების წესი აღწერეს. ძალიან ცნობილი პოეტი და მწერალი იყო აკაკი წერეთელი (1840-1915). ივანე მაჩაბელმა (1854-1898) თარგმნა შექსპირის პიესები ქართულად.

ცარისტულ ეპოქაში ქართულ ლიტერატურას ძირითადად ეკავა პროპაგანდისტული და ზნეობრივი პოზიცია. დანიელ ჭონქაძის (1830-1860) მიერ დაწერილი მოთხრობა „სურამის ციხე“ არის კრიტიკა ამ ეპოქისთვის დამახასიათებელი ბატონყმობისა. საბჭოთა პერიოდის დიდი შემოქმედები პაოლო იაშვილი, ტიცთან ტაბიძე და მიხეილ ჯავახიშვილი 1937 წელს სტალინის ბრძანებით დახვრეტილ იქნენ. მიუხედავად ამისა, იოსებ გრიშაშვილმა, შალვა დადიანმა, კონსტანტინე გამსახურდიამ შეძლეს, რომ არ დაეკარგათ თვითმყოფადობა და დაგვიტოვეს ძალიან საინტერესო შემოქმედება (1,25-28).

კულტურული ენციკლოპედია „ანაბრიტანიჯას“ მე-14 ტომში უფრო დეტალურად არის მიმოხილული მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა. „მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში მცხოვრები და მოღვაწე ალექსანდრე ჭავჭავაძის (1786-1846) თავისუფლებისმოყვარე ლექსებში საქართველოს იმ პერიოდის მდგომარეობა იყო ასახული. გრიგოლ ორბელიანი (1804-83) და ნიკილოზ ბარათაშვილი (1817-45) ამავე პერიოდის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლები არიან. ბარათაშვილის ლექსი „საყურე“ (1839; კუპე), პოემა „ბედი ქართლისა“ (1839; გურჯისტანინ კადერი) და სხვა მსგავსი ნაწარმოებები პატრიოტული სულის გამომხატველი ქმნილებებია, სადაც პოეტმა მძიმე საზოგადოებრივი და

სოციალური მდგომარეობის პესიმისტური სურათი დაგვიხატა. მე-19 საუკუნის შუახანებში ფეოდალური ეკონომიკური ურთიერთობების რღვევამ და კაპიტალისტურ ურთიერთობებზე გადასვლის პროცესმა რეალისტური ასახვა ჰპოვა დანიელ ჭონქაძის (1830-60) და ლავრენტი არდაზიანის (1815-70) შემოქმედებაში. არდაზიანის ყველაზე ცნობილი რომანი „*სოლომონ ისაკიძე მეჯღანუაშვილი*“ (1861) ფეოდალიზმის ნგრევისა და კაპიტალიზმის შემოსვლის შედეგად განვითარებული სოციალური კონფლიქტის თემებს ეხება. ქართული ლიტერატურისა და თეატრის განვითარებისთვის განუზომლად დიდი ამაგის მქონე გიორგი ერისთავმა (1813-64) ქართულად თარგმნა ისეთი ცნობილი ავტორების ნაწარმოებები როგორებიც არიან: რასინი, მოლიერი, პეტრარკა და შილერი.

1860-იან წლებში ახალი საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოძრაობა „*თერგდალეულები*“ (ტერგენინ სუნდან იჩენ) აქტიურად გამოვიდა საზოგადოების წინაშე, რომელმაც თავადაზნაურულ იდეოლოგიას ფრონტი გაუხსნა. თერგდალეულები რუსეთში განათლებამიღებული ახალგაზრდა მწერლებისაგან და პატრიოტებისგან შედგებოდა. მათი იდეოლოგი და წინამძღოლი „პირველი დასის“ დამფუძნებელი ილია ჭავჭავაძე იყო (1837-1907). მან თავის ნაწარმოებებში: „მგზავრის წერილები“, „სარჩობელაზედ“, „განდეგილი“ და სხვა ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლა, თავისი ქვეყნის სიყვარული ასახა. ილია ჭავჭავაძეს გვერდში ედგა აკაკი წერეთელი (1840-1915), რომლის ლექსი „სულიკო“ სახალხო სიმღერად იქცა. სამშობლოს სიყვარულისა და მისი მძიმე ბედის გამო შეწუხებული პოეტის შემოქმედება სავსეა ამ თემატიკაზე შექმნილი ლექსებითა და მოთხრობებით. უამრავი პროზაული ნაწარმოებებისა და პიესის შექმნილის, აკაკი წერეთლის შემოქმედების ყველაზე ცნობილი პროზაული ნაწარმოებები „ჩემი თავგადასავალი“ (1894).

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში მთის ცხოვრება და იქ არსებული ტრადიციების შესახებაა მოთხრობილი. მის კალამს ეკუთვნის ისეთი ცნობილი პროზაული ნაწარმოებები როგორიცაა: „ელგუჯა“, „მამის მკვლელი“, „ელისოა“.

პოეტისა და მწერლის ვაჟა-ფშაველას (1861-1915) შემოქმედების თემატიკა („ალუდა ქეთელაური“, „გველისმჭამელი“) მთა, მთის ტრადიციები, ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობა და ჰუმანიზმია.

დავით კლდიაშვილი და ვასილ ბარნოვი (1857-1934) ორი ლიტერატურული ეპოქის შემკავშირებელი მწერლები არიან. მე-19 საუკუნის ლიტერატურული ეპოქასთან მჭიდროდ დაკავშირებული ამ მწერლების ქმნილებები მე-20 საუკუნის საზოგადოებისა და ამ ეპოქის ატმოსფეროთია გაჟღერებული. კლდიაშვილის შემოქმედების თემატიკა მე-19 საუკუნის მიჯნაზე ქართველ თავადაზნაურთა ყოფაა. საკუთარი მძიმე ბედის პირისპირ დარჩენილი თავადაზნაურობის ყოფას კლდიაშვილი ტრაგი-კომიკური ჟანრი გამოყენებით გადმოგვცემს. საკმაოდ ორიგინალური მხატვრული ფორმით გადმოგვცემს სათქმელს მწერალი ვასილ ბარნოვი რომანში „არმაზის მსხვერვა“. ნაწარმოებში მე-20 საუკუნის საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა რელიგიურ ატმოსფეროშია წარმოდგენილი (4, 243).

„სტამბოლის ენციკლოპედიის“ მესამე ტომში უფრო დეტალურად არის აღწერილი მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა. აღნიშნული ენციკლოპედიიდან ვიგებთ, რომ ამ ეპოქის ქართული ლიტერატურა რომანტიზმის თვისებებს იძენს. ქართველი მწერლები და პოეტები ევროპის ლიტერატურას კვალდაკვალ მიჰყვებიან. XIX საუკუნის პირველი ორი ათეული წელი რომანტიზმის განვითარებით ზასიათდება. ამ სკოლის წარმომადგენლებმა: ალ. ჭავჭავაძემ, გრ. ორბელიანმა, ნ. ბარათაშვილმა ლიტერატურაში ორიგინალური სტილი შექმნეს, პოეტური ფორმები და ჟანრი განაახლეს და ახალ საფეხურზე აიყვანეს.

1840-1850 წლებში ლიტერატურაში რეალიზმის გაბატონება დაიწყო. მის ფუძემდებლებლად გ. ერისთავი, ლ. არდაზიანი, დ. ჭონქაძე გვევლინებიან.

1860-იან წლებში რეალიზმი საკმაოდ განვითარდა და დომინანტ მომდინარეობად იქცა, რომლის ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლები ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი და სხვები არიან. ეს მწერლები *შინასი და ნამიკ ქემალის* (შინასი ვე ნამიკ ქემალ) მსგავსი მწერლები არიან. მათი



ლექსები და მოთხრობები თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლისკენ მოწოდებებით იყო აღსავსე. გარდა ამისა, სოციალურ პრობლემებსაც აქტიურად ასახავდნენ. ისინი თავიანთი შემოქმედებით გაუსაძლისი ეკონომიკური მდგომარეობით შეწუხებული ფენების და გაბატონებული კლასის ხელში მყოფი მკვნესარე, მიწებისა და სარჩოს გარეშე დარჩენილი მუშათა კლასის დაცვას ცდილობდნენ.

1870-1880 წლებში რეალიზმის წარმომადგენლები იყვნენ: ან. ფურცელაძე, ნ. ლომოური, გ. მგალობლიშვილი. მათ კვალდაკვალ მოჰყვებიან კრიტიკული რეალიზმის ისეთი წარმომადგენლები, როგორებიც არიან: ალ. ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა. მათ ნაწარმოებებში დომინანტი პროგრესიული რეალიზმია. გარდა ამისა, გმირობისა და რაინდობის თემები ვრცლადაა გაშლილი.

1890-1900 წლებში ე. ნინოშვილმა, შ. არაგვისპირელმა, დ. კლდიაშვილმა ლიტერატურაში რომანტიზმისგან განსხვავებული ნაწარმოებების დაწერით განსხვავებული ეპოქა შექმნეს. თავიანთ შემოქმედებაში სოფლისა და გლეხების რეალისტური ცხოვრების პარალელურად, მათ ცარიზმის რეჟიმის ზედა ფენების ცხოვრება და ამ ორ კლასს შორის არსებული კონტრასტი აღწერეს.

საბოლოოდ მწერლებისა და პოეტების შთაგონებამ ნაყოფი გამოიღო, მოხდა რევოლუცია. ცარიზმის რეჟიმი გადავარდა. 1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. სოციალურმა, ეკონომიკურმა და კულტურულმა დაწესებულებებმა თავისუფლება მოიპოვეს. ყველა სფეროში ახალი ჰორიზონტი გაიხსნა. თუმცა ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1921 წელს საბჭოებმა ქვეყანა დაიპყრეს.

ცარიზმის მკაცრი მმართველობის პერიოდში ქართული ლიტერატურა შევიწროებული იყო. საბჭოთა მმართველობისას ლიტერატურა მღელვარე ეკონომიკური ცხოვრების პარალელურად ვითარდებოდა. დამოუკიდებლობა დროსთან ერთად იზრდებოდა. ამის პარალელურად ლიტერატურა ახლებურად ვითარდებოდა და მდიდრდებოდა. გაიზარდა და განვითარდა სხვა ხალხებთან კულტურული ურთიერთობები, სხვადასხვა უცხო ენაზე ითარგმნა

მნიშვნელოვანი ნაწარმოებები. მაგალითად, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ („ქაპლან პოსტუ გიინმიშ კაჰრამანლარ“) 13 ენაზე ითარგმნა. ეპოქის მწერლები ისტორიიდან მაგალითის აღებით პატრიოტულ თემებზე ქმნიდნენ ნაწარმოებებს.

მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს:

მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“, რომელიც XIX საუკუნის პირველი ნახევრის ცხოვრებას ასახავს, ხალხის საყვარელ რომანად იქცა. ასეთივე პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობდა კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დავით აღმაშენებელი“ (დავიდ). მასში XI საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის დასაწყისის საქართველოს მმართველის დავით IV აღმაშენებლის ცხოვრებაა მოთხრობილი.

ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობს კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“.

ქვეყნის თეატრებში ისეთი კლასიკოსები იდგმება როგორებიცაა: შექსპირი, შილერი, გოგოლი. ამის პარალელურად ქართველი დრამატურგების მრავალი პიესაა წარმოდგენილი. ასე მაგალითად: ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“, პ. კაკაბაძე „ყვარყვარე თუთაბერი“, ლ. გოთუა „ქართველი მეფე ერეკლე II“.

ქართული ენა ლექსის წერისთვის საკმაოდ მოსახერხებელია. ხალხსაც პოეზია ძალიან უყვარს. ეს კი იმის მიზეზი გახდა, რომ ყოველ ეპოქაში მნიშვნელოვანი და ძვირფასი პოეტები იზადებოდნენ.

XX საუკუნე უძლიერესი პოეტებითაა გამორჩეული: ტიცინ ტაბიძე, გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, ირაკლი აბაშიძე (6, 443).

დაახლოებით ასე წარმოდგება თურქულ საცნობარო ლიტერატურაში-ენციკლოპედიებში საერთოდ ქართული მწერლობა და, კერძოდ, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა.

როგორც დავინახეთ, ცნობები ძალზედ ზოგადია, ძირითად ხაზებში სწორი და ობიექტური, ზოგჯერ კი გარკვეულად ტენდენციური. მაგალითად, ცნობა იმის

შესახებ, რომ ქართული ბიბლია მაინცდამაინც სომხურიდან არის ნათარგმნი, ან აზრი იმის შესახებ, რომ კლასიკური ხანის ქართული მწერლობა, მათ შორის, ქართული პოეზიის გვირგვინი „ვეფხისტყაოსანი“ სპარსული ლიტერატურის გავლენითაა შექმნილი. არც ნ. ბარათაშვილის ბრწყინვალე ლექსი „საყურე“ არაა პატრიოტული მოტივით განსაზღვრული ლექსი და ა.შ.

საერთოდ კი, თავისთავად მნიშვნელოვანია, რომ თურქულ ენციკლოპედიებში უკმარად, მაგრამ მაინც ადგილს პოულობს ცნობები ქართული ლიტერატურისა და, საერთოდ, კულტურის შესახებ.

### 1.3. ქართული ლიტერატურის თურქი მთარგმნელები და მკვლევრები

ჩვენი ნაშრომის მიზანს წარმოადგენს გარკვევა იმისა, თუ რამდენად იყო და არის დაინტერესებული თურქი საზოგადოებრიობა ქართული ლიტერატურის კვლევითა და თარგმნით მონაცემები ამ მხრივ ძალიან მწირია. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, პირველი ნაბიჯი ამ მხრივ გადადგა აჰმეთ მელაშვილმა და თურქულ ენაზე თარგმნა ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯა“, რომელსაც „ელგუჯა და მზალო“ უწოდა. თარგმანი დაიბეჭდა სტამბოლში 1973 წელს. ქართულ ენაზეა ნათარგმნი ილია ჭავჭავაძის ლექსები (მთარგმნელები ფაჰრეთინ ჩილოღლუ და ოსმან ნური მერჯანი, თაჰსინ სარაჯი, ჰასან ჩელიქი, ჰუსეინ უიგუნი), მოთხრობა „მგზავრის წერილები“ (მთარგმნელები ალი ალთუნი და ასმათ ჯაფარიძე), პოემა „განდეგილი“ (მთარგმნელი ალი ალთუნი). ლექსები გამოქვეყნებულია ჟურნალ „ჩვენებურში“. ასევე „ჩვენებურში“ გამოქვეყნდა აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელი“, ლექსები (მთარგმნელი ალი ალთუნი) და სტატია „ილიას მკვლევლობის შესახებ“ (მთარგმნელი ოსმან ნური მერჯანი). „ჩვენებურის“ დაეთმო ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებსაც, ჟურნალ „მამულში“ კი გამოქვეყნდა სტატია „ნიკოლოზ ბარათაშვილი - ქართული რომანტიზმის მწვერვალი“. სტატიის ავტორია ისმაილ იერგუზი. ბილკენტის უნივერსიტეტის პროფესორმა ლაურენტ მოიგნონმა თარგმნა ვაჟა-ფშაველას „არწივი“, რომელიც გამოაქვეყნა „ჩვენებურის“ 35-ე ნომერში 2000 წელს.

რაც შეეხება XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის კვლევას თურქეთში, ამ მხრივ, საინტერესოა ილიას უსთუნიერის წიგნი „სტატიები ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ“. ილიას უსთუნიერი ამჟამად ცხოვრობს საქართველოში, შავი ზღვის ქვეყნების საერთაშორისო უნივერსიტეტში ასწავლის თურქულ ენას, იცის ქართული ენა და დაინტერესებულია ქართული ლიტერატურით. ილიას უსთუნიერი ზემოაღნიშნულ წიგნში მოკლედ, ძირითადად საკითხის ცოდნით და სიყვარულით, მიმოიხილავს მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურას. იგი აღნიშნავს, რომ მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველოში წინა საუკუნესთან შედარებით გამოცოცხლდა ლიტერატურულ

ცხოვრება. ამაში დიდი როლი ითამაშა 1801 წელს საქართველოს რუსეთთან შეერთებამ.

მე-19 საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში მომხდარმა პოლიტიკურმა შეთქმულებამ (1832 წელი) ლიტერატურას ახალი ფორმა და შინაარსი შესძინა. მე-18 საუკუნის ბოლოს დაწყებულ კრიზისს დაემატა აღნიშნულ შეთქმულება და შეიქმნა შესანიშნავი პირობები იმისათვის, რომ საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში წარმოშობილიყო და განვითარებულიყო რომანტიზმი. შემდეგ მოკლედ მიმოიხილავს ქართველი რომანტიკოსების შემოქმედებას და აღნიშნავს. „მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ცდილობდნენ ძველი ქართული ლიტერატურული ტრადიციების კვლავ გაცოცხლებას. ამ პერიოდის მწერლები (ეს პერიოდი იწოდება გარდამავალ პერიოდად) ქართული კლასიკური ლიტერატურის თემატიკას ხელახლა ამუშავებენ, ოღონდ განსხვავებული სტილით. ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში ახალი თემები არ გვხვდება.“

უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ავტორის მიერ ვერ არის სათანადოდ შეფასებული ქართველ რომანტიკოსთა დამსახურება და მათი მემკვიდრეობის მნიშვნელობა ახალი ქართული ლიტერატურის განვითარების თვალსაზრისით. შეუძლებელია ქართველ რომანტიკოსთა ღვაწლი შეფასდეს, როგორც მხოლოდ ძველი ქართული ლიტერატურის ტრადიციების კვლავ გაცოცხლება, ძველი ქართული ლიტერატურის თემატიკის ხელახალი დამუშავება.

როგორც საყოველთაო და აღიარებული, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის და ქართული რომანტიზმის უდიდესი წარმომადგენლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, პოეზია ახალი საფეხურია ქართული ლიტერატურის განვითარების გრძელ გზაზე, მათი შემოქმედება გამოირჩა ახალი პრობლემატიკით, ახალი ხედვით, როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე ბრძანებს, ყველაზე მნიშვნელოვანი ამ დროის თვისის იყო, რომ ძველისა ქართული ლიტერატურის მიღწევების გადააზრებასთან ერთად იწყება ევროპეიზაცია ქართული მწერლობისა და რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი არის პირველი

ევროპეისტი პოეტი, სრულად განთავისუფლებული აღმოსავლური ტენდენციებისგან.

1850 წლიდან ქართულ ლიტერატურაში წინა პლანზე გამოდის კრიტიკული რეალიზმი. დრამატურგი გიორგი ერისთავი (1813-1864), ზ. ანტონოვი (1821-1854) არიან პოეტები, რომლებიც იდგნენ კრიტიკული რეალიზმის სამსახურში. ერისთავმა კომედიური ეპიზოდებით გაამდიდრა თავისი ნაწარმოებები. ანტონოვის კალამს ეკუთვნის „ქოროღლუს ეპოსი“, რომელიც მისი ყველაზე წარმატებული ნაწარმოებია.

1850 წლის შემდეგ იქმნება რეალისტური ნაწარმოებები. ლავრენტი არდაზიანმა (1815-1870) ნაწარმოებით „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ ასპარეზზე შემოიყვანა ახალი სოციალური ძალა. დანიელ ჭონქაძე (1830-1860) “სურამის ციხეში“ საუბრობს ბატონ-ყმობის პრობლემებზე და საზოგადოებაში ახალ ცნობიერებას ამკვიდრებს.

კრიტიკული რეალიზმი 1950 წლების ქართულ ლიტერატურაში ერთადერთი მიმდინარეობა არ არის. კრიტიკული რეალიზმის პარალელურად არსებობას განაგრძობს რომანტიზმი გიორგი რჩეულიშვილის (1821-1875) სახით. მაგრამ უდავო ჭეშმარიტებაა ის, რომ რომანტიზმი ამ პერიოდში უკვე კრიზისს განიცდის.

1860 წლიდან საქართველოში იწყება გამორჩეული ეპოქა, რომელიც მოიცავს არა მარტო ლიტერატურას, არამედ კულტურის ყველა სფეროს. ეს არის სამოციანელთა, ანუ თერგდალეულთა ეპოქა. სამოციანელებმა განათლება მიიღეს სანკტ-პეტერბურგში. მათზე დიდი გავლენა მოახდინა რუსულმა რევოლუციურ-დემოკრატიულმა იდეებმა და მათ განიზრახეს ფუნდამენტალური ცვლილებები მოეხდინათ ქართულ ლიტერატურასა და სოციალურ ცხოვრებაში.

სამოციან წლებში ლიტერატურულ ასპარეზზე გამოდიან ილია ჭავჭავაძე (1837-1907), აკაკი წერეთელი (1840-1915), ნიკო ნიკოლაძე (1843-1928), გიორგი წერეთელი (1842-1900). ესენი იყვნენ პოეტები, მთარგმნელები, მწერლები, აქტივისტები, სახელმწიფო მოღვაწეები, პოლიტიკოსები. ეს ოთხეული იყო

საქართველოში მე-20 და 21-ე საუკუნეებში გაშლილი ეროვნული მოძრაობის იდეოლოგიური შთამაგონებელი.

სამოციანელების მემკვიდრედ მიჩნეული ლიტერატურული მიმდინარეობა იყო „მთის სკოლა“. ამ სკოლის წარმომადგენლები არიან ალექსანდრე ყაზბეგი (1848-1893), პოეტი ლუკა რაზიკაშვილი, რომელიც ფშაველი იყო. იგი ცნობილია ვაჟა-ფშაველას სახელით (1860-1915). ვაჟა ფშაველა თავის ნაწარმოებებში ილაშქრებდა ტრადიციების წინააღმდეგო; ბაჩანა (1866-1927), თედო რაზიკაშვილი (1869-1922). აღნიშნულმა სკოლამ დიდი გავლენა მოახდინა ქართულ ლიტერატურაზე და ეროვნული პრობლემები ღირსეულად ასახა თავის შემოქმედებაში.

ვაჟა-ფშაველამ ქართული ლიტერატურა გაამდიდრა ახალი თემებითა და ახალი სტილით, შეიძლება ითქვას რომ მან შექმნა საკუთარი სკოლა. მისი უპირველესი მსმენელები იყვნენ ლირიკოსი პოეტი ნიკო (ბაჩანა, მისი ძმა) და მისი შვილი მწერალი თედო რაზიკაშვილი.

1890 წლიდან ქართული ლიტერატურის ასპარეზზე ჩნდება ახალი თაობა, რომელიც იწყებს რეალიზმის კიდევ უფრო განვითარებას.

მე-19 საუკუნის ბოლო ათწლეულში ქართულ ლიტერატურაში აქტიურად იწყება მარქსიზმის პროპაგანდა. მხატვრულ ნაწარმოებებსა და სხვა სახის ნაშრომებში მარქსიზმი მკითხველს მიეწოდებოდა როგორც სისტემა, რომელსაც შეუძლია სოციალური პრობლემების მოგვარება. ამ პერიოდში ქართულ ლიტერატურაში ჩნდება მარქსისტთა ჯგუფი, რომელიც მოვლენებს განსხვავებულად აფასებს.

ამ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი მწერალია ეგნატე ნინოშვილი (1859-1894). ეგნატე ნინოშვილმა კრიტიკული რეალიზმი ახალი ეპოქის პირობების შესაბამისად განავითარა და მოამზადა საფუძველი საქართველოში სოციალისტური რეალიზმის გავრცელებისათვის.

ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოებები („გოგია უიშვილი“, „სიმონა“, „ჩვენი ქვეყნის რაინდი“) აღგვიწერს ბატონყმობის გაუქმების შემდეგდროინდელ ქართული სოფლის ცხოვრებას. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები არიან დავით კლდიაშვილი, შიო არაგვისპირელი, ლალიონი (ა. მამულაშვილი), რომლებიც შეიძლება მივიჩნიოთ სოციალისტური რეალიზმის პირველ წარმომადგენლებად.

აქ უნდა გავაკეთოთ შემდეგი შენიშვნა. რა თქმა უნდა, სოციალისტური რეალიზმის წარმომადგენლებად შეუძლებელია მივიჩნიოთ დავით კლდიაშვილი, შიო არაგვისპირელი, ლალიონი და ა.შ. ისიც სათქმელია, რომ სოციალისტურ რეალიზმზე, როგორც რეალიზმის პირობით სახეობაზე, ახლა ადარავინ საუბრობს.

ილიას უსთუნიერი მიმოიხილავს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას და აი, რას წერს მის შესახებ: „არსებობენ ადამიანები, რომლებიც სახელმწიფოებრივ აზროვნებას აყალიბებენ, რომლებიც ხალხისთვის წირავენ თავს. მათ ხალხი, შეიძლება გვიან, მაგრამ მაინც მთელი გულით მიაგებს პატივს. ამ თვალსაზრისით, საქართველოს ისტორიაში არსებობს ბევრი ისტორიული პიროვნება, რომელთაც დიდი როლი ითამაშეს ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაში. მათ შორის არიან მეფე დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ვახტანგ გორგასალი და სხვა. თუმცა, მიხეილ სააკაშვილს თავის სამუშაო კაბინეტში არცერთი მათგანის სურათი არ უკიდია. მხოლოდ ილია ჭავჭავაძის სურათი ამშვენებს პრეზიდენტის კაბინეტს.“

შემდეგ ილიას უსთუნიერი დეტალურად საუბრობს ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიის შესახებ, რომელსაც შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: „ცარისტულ ეპოქაში საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი პირველად დღის წესრიგში ილია ჭავჭავაძემ დააყენა. ჭავჭავაძის შეხედულებებმა თავისუფლების შესახებ ძალიან შეაშფოთა ცარიზმის მომხრე სოციალ-დემოკრატიული პარტია. ეს პარტია საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყო და ტერორიზმის გზით ცდილობდა ქვეყანაში „თანასწორობის“ დამყარებას. პარტიამ ცენზურა დააწესა ილიას ნაწარმოებებზე. ილია ჭავჭავაძე 1907 წლის 30 აგვისტოს მოკლეს თბილის-“



საგურამოს გზაზე. ვაჟა-ფშაველა ასე წერდა ილიას მკვლევლების შესახებ: „ილიას მკვლევლებს რომ შეეძლებოდათ, საქართველოსაც მოკლავდნენ“. აკაკი წერეთელმა კი შემდეგი განაცხადა: „სანამ საქართველო ცოცხალია, ილიაც იცოცხლებს“. აკაკი ამ სიტყვებით თითქოს საქართველოს დღევანდელობას გულისხმობდა.“

ილიას უსთუნიერი თავის წიგნში ასევე ვრცლად საუბრობს აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფიასა და შემოქმედებაზე (7,48).

კიდევ ერთხელ უნდა გაიხაზოს, რომ მიუხედავად გარკვეული უზუსტობებისა, ილიას უსთუნიერის სტატიას ქართული ლიტერატურის შესახებ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რამდენადაც თურქულენოვან მკითხველს იგი შედარებით ვრცლად, მასალის ცოდნით, ობიექტურად წარუდგენდა XIX საუკუნის ქართულ მწერლობას, მის ცალკეულ დიდ წარმომადგენელს.

რა თქმა უნდა, ქართული მწერლობის თურქეთისთვის გაცნობა ამით არ დამთავრებულა. საქართველოში სხვადასხვა მიზნით იყვნენ ჩამოსულები თურქი მწერლები, რომელთაც თურქეთში დაბრუნებისას გამოაქვეყნდა ისეთი სტატიები, სადაც საუბარი იყო შთაბეჭდილებებზე საქართველოს შესახებ. მაგალითად, 1979 წლის ივლისში თურქმა მწერალმა ომერ ფარუქ თოფრაქმა გაზეთ „პოლიტიკაში“ გამოაქვეყნა მოგონებები საქართველოს შესახებ. ზეინაბ ორალმა ჟურნალ „ხელოვნებაში“, ხოლო რეფიკა ერდურანმა კი გაზეთ „მზეში„ გამოაქვეყნეს სტატიები ქართულ თეატრზე. ნეჯათი ჯუმალმა (წიგნში სახელად „რევიზიონისტი“), თარიქ დურსუნმა (გაზეთში „ენი ირთამ“) და ჰალდუნ თანერმა გამოაქვეყნეს მოგონებები ასევე საქართველოს შესახებ. ჰაიათი ასილიაზიჯიმ ჟურნალ „მაიას“ 1969 წლის იანვარ-აგვისტოს ნომრებში გამოაქვეყნა სტატიები ქართულ თეატრსა და მწერლობაზე.

ჰაიათი ასილიაზიჯი 1987 წელს ილია ჭავჭავაძის 159-ე წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეზე იყო მიწვეული საქართველოში. თურქეთში დაბრუნებისას ჟურნალ „ბროის“ 1987 დეკემბრის ნომერში, 1988 წლის იანვრისა და თებერვლის 26-ე და 28-ე ნომრებში გამოაქვეყნა „მოგზაურობის შთაბეჭდილებები“, რომელიც ძირითადად ქართულ თეატრს ეხებოდა.

ასევე ილია ჭავჭავაძის 150 წლისთვის იუბილეზე იყო მოწვეული საქართველოში აზიზ ჩალიშლარი, რომელმაც ზემოთ აღნიშნული ჟურნალის („ბრო“) იანვრის ნომერში გამოაქვეყნა სტატია ილია ჭავჭავაძის შესახებ.

ჟურნალის იმავე ნომერში ჰასან ჩელიქმა და თაჰსინ სარაჩმა გამოაქვეყნეს თავიანთი ერთობლივად ნათარგმნი ლექსები.

ერთ-ერთი თურქი მწერალი, რომელიც ილია ჭავჭავაძის იუბილეზე იყო მიწვეული, გახლდათ ფაქირ ბაიქურთი, რომელიც დასავლეთ გერმანიაში ცხოვრობს. მისი ინიციატივით, 1987 წლის 4 დეკემბერს დასავლეთ გერმანიაში გამომავალმა „თურქეთის ფოსტამ“ ქართველი მწერლები გააცნო გერმანელ მკითხველს. განსაკუთრებული ადგილი კი დაეთმო ილია ჭავჭავაძეს. ასევე დასავლეთ გერმანიაში გამომავალ ჟურნალ „მწერლობაში“ 1987 წლის დეკემბერის 28-ე ნომერში მკითხველი გაეცნო ილია ჭავჭავაძეს. 1988 წლის თებერვლის 29-ე ნომერში კი თანამედროვე ქართველი პოეტის ფრიდონ ხალვაშის რამდენიმე ლექსი.

#### 1.4. თურქული ლიტერატურის ქართული თარგმანები

თურქეთის ისტორიის, თურქული ენისა და ლიტერატურისადმი ინტერესი ყოველთვის იყო საქართველოში, რაც დღესაც არ მინელეზულა. უამრავი მონოგრაფია, დისერტაცია, სტატია, გამოკვლევა დაიწერა თურქული ენის თავისებურებების, ქართულ ენაში შემოსულ თურქულ სიტყვების ქართულ-თურქული ისტორიული თუ ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ.

ქართულ-თურქული ურთიერთობების კვლევა დაიწყო მას შემდეგ, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში შეიქმნა თურქოლოგიის კათედრა. ქართველი თურქოლოგები იკვლევდნენ როგორც თურქულ ენას ასევე ლიტერატურას. მათ შეისწავლეს თურქული გრამატიკის წესები, ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობები, ქართულში შემოსული თურქული სიტყვები, თურქულ ენაში და დიალექტებში შესული ქართული სიტყვები, საქართველოში მცხოვრები თურქულენოვანი მოსახლეობის მეტყველების თავისებურებანი, მცხოვრები თურქულენოვანი მოსახლეობის სასაუბრო ენა, თურქული საარქივო მასალები ენობრივი ურთიერთობები, ქართული და თურქული ენის ტიპოლოგიური პარალელები, ქართული და თურქული ფრაზეოლოგიზმების ტიპოლოგია, ქართულში შემოსული თურქული სიტყვები.

ქართველმა თურქოლოგებმა თბილისის სახელმწიფო არქივში დაცული ოსმალური დოკუმენტები შეისწავლეს ენობრივი თვალსაზრისით და გამოსცეს საინტერესო მონოგრაფიები. შეისწავლეს არქივში დაცული მე-18 საუკუნის თურქული ენის სახელმძღვანელო, ქართული ასოებით თურქულ ენაზე დაწერილი „ბიბლია“, „ქოროღლუს“ ქართული ვერსია და სხვა საარქივო მასალები; შეიქმნა ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონები, სასაუბროები, ამ მხრივ ძალიან საინტერესოა 2001 წელს გამოცემული თურქულ-ქართული ლექსიკონის ორტომეული და თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიზმები.

რაც შეეხება თურქულ ლიტერატურას, შესწავლილ იქნა „დედე ქორქეთის წიგნი“, „ქოროღლუს“ ეპოსი, თურქეთში მცხოვრები ქართველების

ზეპირსიტყვიერება ჯელალედინ რუმის, რუჰი ბალდადის, იუნუს ემრეს, მუჰამედ ფუზულის, ნეფის, ლამის, აჰმეთ ჰაშიმის, მიჰრი ჰათუნის, მეჰმეთ ემინის, იაქუფ ქადრის, საბაჰათინ ალის, თევფიქ ფიქრეთის, ჰაირულაჰ ეფენდის, ფაქირ ბაიქურთის, სუათ დერვიშის და სხვა. ცნობილი მწერლებისა თუ პოეტების შემოქმედება; შეისწავლეს თურქული პოეტიკა. ქართულ ენაზე ითარგმნა: თურქული ზღაპრები, ნასრედინ ჰოჯას ანეგდოტები, „დედე ქორქუთის“ წიგნი, ნაზიმ ჰიქმეთის ლექსები, საბაჰათინ ალის, ომერ სეიფეთინის, ორჰან ჰანჩერლიოღლუს, ჰალდუნ თანერის, აზიზ ნესინის, სუათ დერვიშის, ისა ნეჯათის, რეშად ნური გიუნთეჟინის, იაქუფ ქადრი ქარაოსმანოღლუს, აჰმეთ ჰაშიმის, ბექირ ილდიზის, ფაზილ ჰუსნე დაღლარჯას, ადალეთ ალაოღლუს, ოქთაი რიფათის, ორჰან ფამუქისა და სხვა ცნობილი მწერლობისა თუ პოეტების შემოქმედება.

ცხადია, ზემოთ წარმოდგენილი მიმოხილვა ვერ ამოწურავს ქართულ-თურქული ლიტერატურული ურთიერთობის მთელ შინაარსს, ამიტომ ნაშრომის ბოლოს დავურთავთ ბიბლიოგრაფიას, რომელიც უფრო სრულად წარმოაჩენს აღნიშნული ურთიერთობის სურათს.

## თავი II. ორჰან ქემალის ცხოვრება და შემოქმედება

წინამდებარე თავში მოკლედ შევხებით ორჰან ქემალის ცხოვრებასა და შემოქმედების თავისებურებას. ამის საჭიროებას გვკარნახობს ის, რომ თურქ მწერალს ნაკლებად იცნობს ქართული საზოგადოება. ამასთან ორჰან ქემალის შემოქმედების მრავალი თავისებურება მისი ცხოვრებისა და ლიტერატურული მოღვაწეობის მთლიანი კონტექსტის გათვალისწინებით იხსნება, რასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს მისი ქართული თარგმანების შეფასების დროსაც.

### 2.1. ბიოგრაფიული ესკიზი

ორჰან ქემალი 1914 წლის 15 სექტემბერს, ქალაქ ადანაში, ჯეიჰანის ილჩეში დაიბადა. მისი ნამდვილი სახელი მეჰმეთ რაშითია. ორჰან ქემალი პატრიარქალური დიდი ოჯახის პირველი შვილშვილი იყო. ორჰანის ბაბუას შვილისთვის ვაჟის დაბადება დეპეშით უხარებია, რომელიც ასეთი შინაარსის ყოფილა: „ამ ქვეყნად მეც ჩემი საკუთარი ჭაჰანის სატარებლად მოვედი“. ეს სიტყვები ორჰან ქემალის ოჯახის კულტურული ყოფის ერთ–ერთი შემადგენელი ნაწილთაგანია, რომელიც მას მთელი ცხოვრების მანძილზე, „თვით დამკვიდრების მცდელობის“ გზაზე, გაჰყვა.

ორჰან ქემალის მამა, აბდულქადირ ბეი, 1889 წელს ოსმალეთში დაიბადა. მან სტამბოლში დარულფუნის უმაღლეს სასწავლებელში იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. 1913 წელს აბდულქადირ ქემალს ადანაში, მამის მხრიდან ნთესავზე, აზიმე ჰანიმზე უქორწინია, რომელიც ბუნებით ოპტიმისტი, სასიამოვნოდ მოსაუბრე ქალბატონი ყოფილა ორჰანის დედა კარგი მახსოვრობითაც გამოირჩეოდა. მან ბევრი ამბავი იცოდა და უყვარდა სხვადასხვა ისტორიების მოყოლა. ის გონიერი და ენა მოსწრებულები გახლდათ. (გარეგნულად ორჰან ქემალი დედას ჰგავდა). აზიმე ჰანიმმა განათლება რუმთიეს უმაღლეს სასწავლებელში მიიღო. ორი წელი ადანას დაწყებით სკოლაში ასწავლიდა. (1961 წელს აზიმე ჰანიმი ადანაში გარდაიცვალა.)

უმაღლესში სწავლის პერიოდში აბდულ ქადირი ერთობისა და პროგრესის პარტიას დაუკავშირდა. ამ დროიდან მოყოლებულის აქტიურად მონაწილეობდა

იმდროინდელი თურქეთის მძაფრ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში: 1914 წელს სრულიად ახალგაზრდა ჩაეწერა არმიაში მოხალისედ, არტილერიის ლეიტენანტად. 1918 წელს შეუერთდა ნაციონალურ ძალებს საფრანგეთის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებმაც ქალაქ ადანას ოკუპაცია მოახდინეს. 1920-1923 წლებში ის პირველ დიდ მეჯლისში ქასთამონის მხარის დეპუტატი იყო. მცირე ხნით, 1920 -1921 წლებში მინისტრთა კაბინეტში იუსტიციის მინისტრის თანამდებობა ეკავა. თუმცა, გაზეთ „თოქსოზში“ გამოქვეყნებული სტატიის გამო აბდულქადირ ქემალი დამოუკიდებელმა სასამართლომ გაასამართლა და დააპატიმრა. 11 თვე იჯდა ციხეში. გამართლების შემდეგ გაათავისუფლეს. ის ადანაში დაბრუნდა და ადვოკატობა დაიწყო. თუმცა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისადმი ინტერესი არ დაუკარგავს. 1930 წელს ადანაში სახალხო რესპუბლიკური პარტია დაარსა. სტამბოლის პრესა ამ პარტიის საქმიანობას ძალიან ცოტა ადგილს უთმობდა, ამიტომაც აბდულქადირ ქემალმა სტამბა იყიდა და გაზეთ „სახალხო რესპუბლიკის“ გამოცემა დაიწყო, რითაც ცდილობდა, პარტია საზოგადოებისთვის გაეცნო და ამავდროულად მთავრობა ეკრიტიკებინა. ამის გამო მას მალე ქვეყნის დატოვება მოუხდა: ჯერ ბეირუთში, შემდეგ კი სირიაში გადაიხვეწა. იძულებით გადახვეწა საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდა-სამშობლოში მხოლოდ 8 წლის შემდეგ დაბრუნდა. აბდულქადირ ქემალი, რომელმაც გადასახლებაში ოჯახიც იხმო თავისთან, უცხოეთში მრავალ წინააღმდეგობას წააწყდა. მას უჭირდა ოჯახის რჩენა, ყოველდღიურად თავს ახსენებდა გადაჭრელი ეკონომიური პრობლემები, ცუდი საცხოვრებელი პირობები. ყველაფერმა ამაღ, ცხადია, გავლენა მოახდინა ჯერ კიდევ ყმაწვილ ორჰანზე, მისი ფსიქო ტიპის ჩამოყალიბებაზე და, ცხადია, შემოქმედების ზოგად მიმართულებაზე. ორჰან ქემალისთვის განსაკუთრებით მომაბეზრებელი გახდა გადასახლებაში, უცხო მხარეში, ენისა და მეგობრის გარეშე, ცხოვრება მას თავისუფლება და სამშობლო მოენატრა. 1932 წლის ივნისში ორჰან ქემალი ადანაში დაბრუნდა და ბებიასთან დასახლდა. შემდეგ სტამბოლში ჩავიდა მამიდასთან, რათა შუა გზაზე მიტოვებულის სწავლა-განათლება (მხოლოდ სამი კლასი ჰქონდა გავლილი) ბოლომდე მიეყვანა. სტამბოლში ყოფნისას ადანელი

მეგობრისგან წერილი მიიღო, სადაც მეგობარი წერდა, რომ მისი შეყვარებული სხვა ბიჭთან ერთად დადიოდა. ორჰანი უმაღლ ადანაში ჩავიდა, ბედრიე ნახა, იკამათეს და დაშორდნენ. ეს პერიოდი ორჰანი ისევ თავის გატაცებას – ფეხბურთს მიუბრუნდა. ძირითადად ფეხბურთს თამაშობდა და ყავახანებს სტუმრობდა. „იმ წლებში ფეხბურთით ვიყავი და ავადებული. აგვისტოს სულის შემხუთავ სიცხეში ფეხბურთის თამაში... ჩვენი უბნის ფეხბურთის კლუბი. ჩვენში დარჩეს და კარგი პენალტიც დავარტყი. კარგი ცენტრალური თავდამსხმელი ვარ რა. ერთი ორი გოლი თითქმის ყველა მატჩში გამქონდა.. მერე გირითლის ყავა.. სკოლა ფეხებზე მეკიდა“... –იხსენებს მწერალი.

ამ წლებში ორჰან ქემალ იყავით და ყავის კულტურით ძალიან იყო გატაცებული, რამაც ასახვა ჰპოვამის შემოქმედებაშიც. იმდენად იყო დამოკიდებული ამ კულტურაზე, რომ შემდგომში როგორც ყავა იკბალის მუდმივი კლიენტი სტამბოლში, ამის შესახებ „ყავა იკბალშიც“ იხსენებს:

“ოცი წლის ვიყავი. თავი ისეთ რამეებზე ფიქრით მქონდა გამოტენილი, რომელთა ამოხსნაც და გადაჭრაც არ შემეძლო. თითქოს დედამიწაზე არ დავაბიჯებდი, სიცარიელეში ვიყავი. მერე ერთ დღესაც ყავაზე გაცნობილი ისმაილ უსტა.. შემდგომ წიგნები.. უმრავლესობა ისმაილ უსტას ნაჩუქარი.. „უსახლო კარო“, პანაითისტრათი, „ქალი კამელიებით“, „მადამ ბოვარი“, „ჩემი უნივერსიტეტები“, ტოლსტოი, საყოველთაო ისტორია, საფრანგეთის რევოლუციის ისტორია..”

ორჰან ქემალი ყავის მომტანიდან დაწყებული, მომდუღებლით, მეპატრონით, კაფეში შემომსვლელი მუშებით დამთავრებული, ყველას ესაუბრებოდა და უმეგობრდებოდა.

მამის მეგობრის დახმარებით ტექსტილის ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა საქმის მწარმოებლად. აქ მუშაობისას ორჰან ქემალს ბოსნიელი გოგონა, ნურიე, შეუყვარდა, რომელიც ფაბრიკაში მუშაობდა. ის ხუთი წლის ასაკში დედით დაობლებული იყო, მამა კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთში იყო გადმოსახლებული. ორჰან ქემალ მასზე დაქორწინება გადაწყვიტა და ამისშესახებ მამას მისწერა იერუსალიმში. „ბებიაშენს თუ მოსწონს, იქორწინე“, – ასეთი იყო

აბდულქადირ ქემალის პასუხი. ორჰან ქემალი მამის პასუხმა ძალიან გაახარა. მართალია თვიური შემოსავალი ძალიან მცირე ჰქონდა და გაუჭირდებოდა ოჯახის შენახვა, მაგრამ მას ახლა ასეთ რამეებზე ფიქრის დრო არ ჰქონდა, რადგან ნურიეზე თვალი სხვა შეძლებულ მამაკაცებს ეჭირათ.

1937 წელს ორჰანმა და ნურიემ მართლაც იქორწინეს. ამ ქორწინებიდან ორჰან ქემალს ერთი ქალიშვილი(ილდიზი 1938) და სამი ვაჟი (ნაზიმი, 1946; ქემალი 1949, იმიქი 1957) შეეძინა(თუმცა ზოგიერთი წყაროს თანახმად, მას კიდევ ჰყავდა ორი ვაჟის ხვდასხვა ქალისგან) ქორწინებასთან და ნურიეს სიყვარულთან დაკავშირებული ავტობიოგრაფიული ამბები ორჰან ქემალმა თავის რომანებში გადაიტანა. ავტობიოგრაფიული ხასიათისაა მაგალითად მისი რომანები: „ჯემილე“ და „სამყაროს სახლი“.

1938 წელს, როცა ორჰან ქემალის ქალიშვილი ილდიზი 20 დღის დაბადებული იყო, მწერალი ჯარში გაიწვიეს. ჯარში სამსახურის დამთავრებას 40 დღე აკლდა, როცა დაპატიმრების შესახებ უწყება მიიღო. როგორც მწერალი იხსენებს, დაპატიმრების მიზეზი კომუნისტი მწერლების ნაწარმოებების კითხვა იყო, განსაკუთრებით ნაზიმ ჰიქმეთის და მაქსიმ გორკის, და ეს მაშინ, როცა ორჰან ქემალი კომუნიზმს არ იცნობდა. ორჰან ქემალი გაასამართლეს და 5 წელი მიუსაჯეს. განაჩენი გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. მწერალმა მეუღლეს წერილი მისწერა: „შენ ძალიან ახალგაზრდა ხარ. ისედაც ვერაფერი მოგეცი ცხოვრებაში. ახლა ეს ხუთი წელი გაეჩხირა ჩვენ შორის. თუ გინდა გამშორდი, ახალი ცხოვრება დაიწყე...“ ნურიეს მდგომარეობა ამ ამბავმა ძალიან შეარყია, მაგრამ მან მეუღლეს ასეთი შინაარსის წერილი მისწერა: „თანახმა ვარ ყველაფერი ავიტანო, რაც იყო და რაც იქნება..“

ორჰან ქემალმა კაისერის საპყრობილეში ყოფნისას რომანტიკული და სევდიანი ლექსების წერა დაიწყო, რომელიც ჟურნალ „შვიდ დღესა“ და „ახალ კრებულში“ გაგზავნა. 1939 წლის 25 აპრილს ჟურნალ „შვიდ დღეში“ ეს ლექსები პირველად დაიბეჭდა, რეშათ ქემალის სახელით.

საპყრობილეში ჰყოფნის პერიოდში ორჰან ქემალი ეცნობა სახელოვან თურქ მწერალს, ნაზიმ ჰიქმეთს. ორჰან ქემალი ნაზიმ ჰიქმეთის ლექსებს კარგად



იცნობდა და ამავედროულად შორიდან ეთაყვანებოდა ამის შემოქმედებას. მაგრამ მას ვერც კი წარმოედგინა რომ ერთ მშვენიერ დღეს მასთან მოუწევდა შეხვედრა. მიუხედავად იმისა, რომ ნაზიმ ჰიქმეთმა ორჯან ქემალს ლექსები დაუწუნა, მან წერა მაინც გააგრძელა. თუმცა 1941 წლის მეორე ნახევრიდან, ნაზიმ ჰიქმეთის რჩევით, უკვე თავისუფალი ლექსების წერას იწყებს. ნაზიმ ჰიქმეთმა ორჯან შეარჩია პროზაში მოესინჯა ძალები. ამის შემდეგ დაიწყო ორჯან ქემალმა პროზის წერა. პროზაზე გადასვლა ორჯან ქემალისთვის მხატვრულ ცხოვრებაში გარდატეხის წერტილი აღმოჩნდა. მისი პირველი პროზაული თხზულება რომანი იყო – „თვრამეტი წელი“, მაგრამ ეს რომანი არ გამოქვეყნებულა. ჯერ კიდევ რომანის წერაში ჩამოუყალიბებულმა ორჯან ქემალმა 1939 წლიდან მოთხრობების წერა დაიწყო და მოთხრობებით თავისი თავი განავითარა. 1940-ანი წლების ბოლოს კი კვლავ რომანების მიმართულებით იწყებს მუშაობას. ორჯან ქემალი მოთხრობების წერისას მარტივ, ადვილად გასაგებ ენას იყენებდა. ენის გამოყენების საკითხში ნაზიმ ჰიქმეთის მიერ რეკომენდირებულ გზას მიჰყვებოდა.

1943 წლის 26 სექტემბერს ორჯან ქემალი ძალზედ მონატრებულ ადანაში ბრუნდება. ორჯან ქემალი ადანაში დაბრუნებისას ცოლთან და გოგონასთან ერთად ბიძის სახლში, ერთ ოთახში იწყებს ცხოვრებას. ციხეში ყოფნისას მამამისი სახარჯო ფულსაც უგზავნიდა და თანაც მის ცოლსა და შვილს პატრონობდა. ციხის კედლებიდან თავის დაღწევის, მოპოვებული თავისუფლების შემდეგ ორჯან ქემალი მინაცნობ პრობლემებს შეეჩეხა. ადანაში სამუშაოს ძიებას შეუდგა, მაგრამ ვერაფერი იპოვა, უფრო სწორედ, არავის მისთვის სამუშაოს მიცემა არ უნდოდა. კარათაში მიწის მყიდველად რამდენიმე თვე იმუშავა. 1944 წლის 14 აპრილს სახელმწიფო რკინიგზის მშენებლობაზე დაიწყო მუშაობა. ამავე წელს ივნისში „გუზელ იზმირში“ ტრანსპორტის საწყობში სამსახური იპოვნა, მაგრამ როგორც დანარჩენ სამსახურში, აქაც ცოტა ხანი გაჩერდა. ამ მძიმე პერიოდში მას მეორე შვილი შეეძინა. ბავშვს სახელი ნაზიმ ჰიქმეთის თხოვნით, ნაზიმი, დაარქვეს. რადგანაც ორჯან ქემალმა ადანაში სამსახური ვერ იპოვა, მეგობრების რჩევით, რაც ებადა, ყველაფერი გაყიდა და ოჯახთან ერთად მალათიაში გადავიდა. იქ კი ერთ–ერთი მეგობრის სახლში ცხოვრებად. მალათიაში ტექსტილის ფაბრიკაში

სამსახური იპოვა. მაგრამ სამხედრო სამსახურის დამადასტურებელი მოწმობას თხოვეს, ორჰან ქემალს კი სამხედრო სამსახური ნახევრად შეუსრულებელი დარჩა ციხეში ჰყოფნის გამო. ფაბრიკაში სამსახური ვეღარ გააგრძელა, ამიტომ იძულებული გახდა ოჯახთან ერთად ისევ ადანაში დაბრუნებულიყო. 1945 წელს დარჩენილი 35 დღის დასასრულებლად ჯარში გამოიძახეს, რომლის დასრულების შემდეგ დემობილიზაცია გაუკეთეს და ჩორუმში გადასახლეს. მამამისმა პრემიერ-მინისტრს რეჯეფ ფექერს დეპეშა გაუგზავნა, რის შემდეგაც 1946 წლის 26 ოქტომბერს ორჰან ქემალი გაათავისუფლეს. ამავე წელს გარდაიცვლება ორჰან ქემალის მამა და მეორე ვაჟიშვილი ქემალი დაიბადა.

ჯარიდან დაბრუნების შემდეგ მეგობართან ერთად ბოსტნეულის გადამყიდველობა დაიწყო. ადანის ბოსტნეული სტამბოლში გადაჰქონდა, მაგრამ ბოსტნეულისგან დიდი მოგება არ რჩებოდა. რამდენიმე თვეში ამ საქმეს თავი დაანება. ამის შემდეგ მეგობრის დახმარებით ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის საზოგადოებაში მუშაობა დაიწყო. ყოველთვიურად 120 ლირამდე ხელფასს იღებდა. სამწუხაროდ, ეს საქმეც 1 წელზე მეტ ხანს არ გაგრძელდა და უმუშევარი დარჩა. ოჯახს რთული პერიოდი დაუდგა.

ორჰან ქემალიც, ბევრი სხვა მწერლის მსგავსად, ნაწარმოებებში ავტობიოგრაფიულ ელემენტებს დიდ უპირატესობას ანიჭებდა. თუმცა ორჰან ქემალს მის ფენომენალურ ნაწარმოებებში მხოლოდ პირადი თავგადასავლები კი არ გადმოუცია, არამედ მან მოახერხა ყველაფრის საზოგადო მოვლენებისა თუ პრობლემების სახით წარმოდგენა. ორჰან ქემალის ნაწარმოებებისა და თავისუფალი თხრობა მის ოსტატობაზე მეტყველებს.

ორჰან ქემალს ადანაში სტაბილური სამსახურის პოვნის იმედი გადაეწურა. მეუღლე და სამი შვილი ჰყავდა, რომლებზეც უნდა ეზრუნა. მწერლობაში მიღწეულმა გარკვეულმა წარმატებებ მამას იმედის ნაპერწკალი გაუღვივა. სტამბოლში წასვლა და საარსებო პურის თავისი კალმით მოპოვება გადაწყვიტა.

ორჰან ქემალმა საოჯახო ნივთების გაყიდვით სამგზავრო ფული შეაგროვა. 1950 წლის 17 აპრილს მეუღლესა და შვილებთან ერთად სტამბოლში ჩავიდა. ორჰან ქემალი იმ დროს ნანობდა კიდევ სტამბოლში გადასვლას, თუმცა იცოდა

ადანაში დარჩენაც არ იყო გამოსავალი. ორჰან ქემალის სახელს სტამბოლში ჩამოსვლის შემდეგ ჟურნალებში უფრო ხშირად ვაწყდებით.

მიუხედავად იმისა, რომ სამწერლო საქმე ასე ძალიან უყვარდა, ამით ოჯახის რჩენა ძალიან რთული იყო. პრობლემებს პრობლემები ემატებოდა: შვილების ნათლობისა და მსხვერპლ შეწირვის დღესასწაულისთვის წიგნები გაყიდა, მხოლოდ 15 ლირა აიღო. მეგობრების განაც ისესხა ცოტა ფული და ასე შეეცადა პრობლემების მოგვარებას. თავის ქვეყანაში თავისი ხელოვნებით უჭირდათ ავის რჩენა. რაღაც პერიოდი კორექტორად მუშაობდა, ხოლო შემდეგ გაზეთში ყოველკვირეული ფელეტო ნების წერა დაიწყო. 1950 წლიდან კი ორჰან ქემალისთვის წიგნებსა და ფელეტონებთან ერთად სცენარების წერა თავის რჩენის დამატებით წყაროდ იქცა. 1956 წელს მეგობარ ფიქრეთ ოქთია მის მიმართ მიწერილ წერილში თავის რჩენის საშუალებებად ფელეტონების წიგნად გამოცემის შედეგად მიღებულ ფულსა და ფილმის სცენარებს ასახელებს.

ფილიზი, ნამდვილი სახელი ულქუ, ორჰან ქემალის ბოლო სიყვარული იყო. იგი 1960 წელს იჰსან ოზმანოვის წიგნების მაღაზიაში გაიცნო. ჭკვიანი, მიმზიდველი, გამხდარი გოგო იყო ფილიზი. ორჰან ქემალმა თავისი რომანი „მამის სახლი“ ავტოგრაფით გადასცა. შემდეგ მაღაზიაში სიარულს მოუხშირა, მალევე შეხვედრებზე გადავიდნენ. ულქუსა და ორჰან ქემალის ურთიერთობა სწრაფად ღრმა ვდებოდა და ბოლოს ბეიოღლუმში, ალიონის ქუჩაზე დაქირავებულ ბინაში ერთად გადავიდნენ საცხოვრებლად. წლების მანძილზე ქმრის გვერდით მდგომმა და ორჰან ქემალის რომანებში მშრომელი, ერთგული, ზრდა სრული ქალის იდეალმა, ქალბატონ მანური ემ, ეს ამბავი ძალიან განიცადა, მაგრამ დროთა განმავლობაში მდგომარეობას შეეგუა. ორჰან ქემალი კი ამ დროსგან საკუთრებით ახლო მეგობრებისგან დიდ კრიტიკასა და საყვედურებს იღებდა. მეუღლის, ოჯახის, მეგობრების წინააღმდეგობისა და ფინანსური პრობლემების გამო, ორჰან ქემალი იძულებული გახდა ულქუს დაშორებოდა. ულქუმ 1963 წლის ივლისში სხვაზე იქორწინა.

1966 წელს ომერმენ გულის საჩივრის საფუძველზე ორჰან ქემალი ორ მეგობართან ერთად დააკატიმრეს. 35 დღე სულთანაჰმედის ციხეში გაატარა.

საქმის დეტალების, მოწმეების ჩვენებებისა და სახლიდან ამოღებული წიგნების გადახედვის შემდეგ ორჰანის უდანაშაულობა და ამტკიცდ ადა 1966 წლის 13 აპრილს ციხიდან გამოვიდა.

1967 წელს ორჰან ქემალს, მეუღლესთან ერთად ზღვაზე დასასვენებლად ყოფნისას, გულის შეტევა მოუვიდა. ექიმებმა დიდი ხნის განმავლობაში სიმშვიდე და დასვენება ურჩიეს, მაგრამ ორჰან ქემალ სამის ფუფუნება არ გააჩნდა, ამიტომ მალევე ხელახლა ავად გახდა. ძლიერ ტკივილებს განიცდიდა. მარტში ფილტვის ოპერაცია გაიკეთა, ხოლო ივნისში კვლავ საავადმყოფოში ხვდება. საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ ძალიან დასუსტდა.

ივნისში საბჭოთა მწერალთა კავშირმა გორკის დაბადებიდან 100 წლის საიუბილეო საღამოზე ორჰან ქემალიც მიიწვია, თუმცა პასპორტი არ მისცეს და ღონისძიებაზე ვეღარ წავიდა. ამასთანავე თვის ბოლოს მან ფილტვის მეორე ოპერაციაც გაიკეთა. აგვისტოს შუა რიცხვებში ისევ საავადმყოფოში ხვდება. საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ „ძმების წილის“ სახელით ცნობილი სპეკტაკლის წერა დაიწყო და სექტემბრის ბოლოს დაამთავრა კიდეც. 1969 წლის იანვარში ექიმები მას კიდეც ორი დაავადების დიაგნოზს უდგენენ: ტაქიკარდია და ემფიზემა. ჩეთინალთანმა თებერვალში იგი ჯერაჰვამას საავადმყოფოში დააწვინა. 17 თებერვალს საავადმყოფოდან გამოვიდა. ექიმებმა დასვენება ურჩიეს. ავადმყოფობამ ორჰან ქემალი ცოტა ააფორიაქა, რადგან გასაკეთებელი ჯერ კიდეც ბევრი რამ ჰქონდა.

ფიქრეთ ოთიამის ძალისხმევით ორჰან ქემალმა 1969 წლის 23 ივლისს პასპორტი აიღო და სპეციალური მიწვევით აგვისტოში მეუღლესთან ერთად საბჭოთა კავშირში, მოსკოვში წავიდა. იქ მოულოდნელად სისხლდენა დაეწყო და მწერალთა კავშირის დახმარებით საავადმყოფოში დააწვინეს. ექიმებმა 6 თვე დარჩენა და სრული მკურნალობის კურსის ჩატარება შესთავაზეს, თუმცა იგი 10 დღეში არასრული მკურნალობის ჩატარების შემდეგ საავადმყოფოდან გამოვიდა. სამშობლოს მონატრებისა და ოჯახური პრობლემების გამო სექტემბრის შუა რიცხვებში თურქეთში დაბრუნდა. 1969 წელს „ჯერ პურის“ სახელით ცნობილი წიგნისთვის თურქული ენის საზოგადოებისგან საუკეთესო მოთხრობის ჯილდო

აილო. 1970 წლის დასაწყისისთვის ორჰან ქემალის ჯანმრთელობის მდგომარეობა ცოტა გაუმჯობესდა. ის ბულგარეთში გაემგზავრა. აქ ის თან მოგზაურობდა და თან მკურნალობდა. ბებუის წინაპრების ადგილებში დადიოდა და ჩანაწერებს აკეთებდა. მიზანი „93-ის შემდეგ“ სათაურის მქონე საოჯახო მოთხოვნებისთვის მონაცემების შეგროვება იყო. ავადმყოფობაში გადაშიგთავსახსენებდა. ერთ დღესაც შეტევა მოუვიდა. სოფლის სახელმწიფო საავადმყოფოში დააწვინეს. თავიდან საუბრობდა და ხუმრობდა კიდევ, თუმცა თანდათან მდგომარეობა და მძიმედა და ვეღარც ლაპარაკობდა. ექიმების თქმით, მას თავის ტვინის სისხლ ძარღვების ემპოლია ჰქონდა. ამ დიაგნოზით მწერალი 1970 წლის 2 ივნისს გარდაიცვალა. იმ დროს მეუღლეც ოთახში იყო. ხელის შეხება უნდოდა, მაგრამ ვერ მოახერხა. რაღაც ის თქმა უნდოდა და ვერ უთხრა. თვალები ცრემლებით აევსო. 1970 წლის 4 ივნისს ბულგარეთის ტელევიზიის, რადიოსა და პრესის საშუალებით მთელ მსოფლიოში გავრცელდა ინფორმაცია დიდი თურქი მწერლის, ორჰან ქემალის გარდაცვალების შესახებ. 5 ივნისს ბულგარეთის მწერალთა კავშირმა ორჰან ქემალის საპატივცემულოდ სამგლოვიარო ცერემონია გამართა. ცერემონიალს ცოლი ნურიე ოღლუთჩუ და მისი მეგობრები, პოეტი ნეჯათი ჯუმალი და გამომცემელი ოღლუქანიც ესწრებოდნენ. სიტყვით გამოსულებმა ორჰან ქემალის მოღვაწეობა, მნიშვნელობა და მიღწევები აღნიშნეს.

მეორე დღეს, 6 ივნისს, მისი ცხედარისა მშობლოსკენ გამოაცილეს. ქაფიქულეს სასაზღვრო პუნქტთან მას მეგობრები, ნაცნობები, მკითხველები ელოდებოდნენ. 1970 წლის 7 ივნისს ბასინქოიში, თავის სახლში ჩამოასვენეს. ორჰან ქემალი ზინჯირლი ქუიუს სასაფლაო ზედ აკრძალეს.

## 2.2. ლიტერატურული პორტრეტი

ორჰან ქემალის ლიტერატურული პორტრეტი რომ გამოვკვეთოთ, მის სამწერლო საქმიანობაში სამი პერიოდი უნდა გამოვყოთ:

1. ჩამოყალიბების პერიოდი;
2. გარდამავალი პერიოდი: ნაზიმ ჰიქმეთის გაცნობა და ლიტერატურული სამყაროს აღმოჩენა;
3. სიმწიფის პერიოდი: სოციალური რეალიზმი, კრიტიკული სოციალური რეალიზმის ხაზი.

### ჩამოყალიბების პერიოდი

ბავშვობიდან მოყოლებული ორჰან ქემალის კულტურულ პიროვნებად ჩამოყალიბება დედის და ბაბუის მიერ მონა თხრობა ნაწარმოებებისა და მამის მხრიდან განათლების მიღების შესახებ დაჟინებული მოთხოვნის ფონზე მიმდინარეობდა. ის ბავშვობიდანვე, დაწყებით კლასში სწავლის პერიოდიდანვე, ახლოდან ადევნებდა თვალყურსიმად ადამიანების საქმიანობას, რომლებიც მონაწილეობენ პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების ცვლილებებში. სტუმრად მოსული ადამიანების „ტერმინებით“ საუბრებმა და სახლში ევროპულ<sup>1</sup> ენებზე დაწერილი ტყავისყდიანმა ტომებმა განსხვავებული, ინდივიდუალური კულტურის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ამ კულტურულ გარემოს თავად მწერალი ასე აღწერს:

„ერთი მხრივ შავყდიანი ჟურნალების – „ჭემმარიტი გზა“ (Sebülrreşit) და „ჭემმარიტი სარწმუნოება“ (Siratımüstakim), მსგავსი კოლექციები, მეორეს მხრივ, თორა, ყურანი, ბიბლია,“ დავითნი“ (ფსალმუნთა წიგნი), სურები.. იმამი გაზალი და მუჰიდინი არაბი..წითელი კარის განაპირას სიგარეტის ნამწვავი.. განსაკუთრებით პოლიტიკის ისტორიის სქელ წიგნს არ იშორებდა”..<sup>2</sup>

ოკუპაციის პირობებში, გადასახლება და გაქცევებში გატარებულმა ბავშვობამ მწერალს სულზე თავისებური გავლენა იქონია. ეს შთაბეჭდილებები კიდევ უფრო

<sup>1</sup>ულურლუ(Uğurlu), 1973: 35

<sup>2</sup>ულურლუ(Uğurlu), 1973: 159

გააღრმავა იმპერიიდან რესპუბლიკურ მმართველობაზე გადასვლის სისხლიან მადა ტკივილით სავსე მოვლენებმა, ყოველივე ამან კი გავლენ აიქონია ორჰან ქემალის შემოქმედებაზე.

საშუალოს კოლის პირველი კლასის მოსწავლე იყო ორჰან ქემალი, როდესაც კინო თეატრ „ადანა ასრი“-ში რაშით რიზას და მის მიერ დადგმული „ოტელო“ ნახა. სპექტაკლმა მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და გადაწყვიტა, რომ პიესების წერაში ეცადა ბედი. ამ პიესებს ტექსტის ფორმა არ ჰქონდა, ამიტომ მწერალთან დაკავშირებულ სამეცნიერო გამოკვლევებში ორჰან ქემალის ეს პიესები არ ფიგურირებს. ამიტომაც ორჰან ქემალის პირველი ტერიტორიულ ნაწარმოებად ლექსებია მიჩნეული. თუმცა ორჰან ქემალმა ლიტერატურულ სამყაროში პიესების წერით შეაბიჯა და არა ლექსებით.

„ჩემი პირველი განცდები, შემოქმედებითი წვის პირველი მცდელობები პიესებთანაა დაკავშირებული. ლექსებამდე ადრე.. იმ წლების შემდეგ ცხრა პიესა დავეწერე, თუმცა ახლა აღარ მახსოვს რა პიესები იყო ეს ...”<sup>3</sup>

ორჰან ქემალის მოთხრობები და რომანები სავსეა დიალოგებით, რაც და კავშირებულია იმასთან, რომ მას პიესების წერაში კარგი გამოცდილება ჰქონდა. 1936–1937 წლებში ორჰან ქემალმა ლექსების წერა დაიწყო. ლექსების წერისკენ მას წაკითხული ლექსებისგან მიღებულმა შთაბეჭდილებებმა უბიძგა. „შეიძლება ითქვას, რომ პოეზიამ ჩემში ამოხეთქა. თავდავიწყებით ვმოგზაურობდი ლექსთა ფორმებსა და შესიტყვებებში”.<sup>4</sup>

ამ პერიოდში დაწერილი ლექსები, რომელიც უკიდურეს სევდას გამოხატავს და ის თემები, რაც ამ ლექსებში იყო გაჟღერებული<sup>5</sup>, ერთ გვარი მოსამზადებელი პერიოდი იყო იმისა, რაც შემდგომ ორჰან ქემალმა თავის მოთხრობების და რომანების თემად აირჩია.

---

<sup>3</sup>უღურლუ(Uğurlu), 1973: 328

<sup>4</sup>უღურლუ(Uğurlu), 1973:17

<sup>5</sup>კორკმაზ(Korkmaz), 2002: 298

## გარდამავალი პერიოდი: ნაზიმ ჰიქმეთის გაცნობა და ლიტერატურული სამყაროს აღმოჩენა

ორჰან ქემალი თავის წინააღმდეგობებს, ოჯახსა და საზოგადოებაში არსებულ კონფლიქტებს ემოციურად და იდეალისტურად აღიქვამდა. ცხოვრებისეულმა უწესრიგობებმა, სხვადასხვა დროსა და სიტუაციებში შეხვედრილმა ადამიანებმა პირველ ეტაპზე სოციალური რეალიზმის, ხოლო შემდგომ კრიტიკული რეალიზმის ხაზის ფორმირებას შეუწყვეს ხელი.

ორჰან ქემალი იუგოსლავიელი მწერლის ფანათის თრათისა და რუსი მწერლის მაქსიმგორკის შემოქმედებას გაეცნო<sup>6</sup>. მათმა შემოქმედებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მწერალზე. გორკის მსგავსად, თავისი ნაწარმოებებში მანაც საზოგადოების ყველაზე დაბალი ფენის ცხოვრების აღწერა. ორჰან ქემალს, მაქსიმგორკს, ფანათისთრათსა და ჯეკლონდონს ერთნაირი შესაძლებელი ბეგია ერთიანებთ: „ამ მწერლებმა ცხოვრების უნივერსიტეტი დაამთავრეს, ცხოვრების ყველა გამოცდა ჩააბარეს“<sup>7</sup>.

1940 წლის დეკემბერში ორჰან ქემალის ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. ბურსის ციხეში ჩანქირის ციხიდან ნაზიმ ჰიქმეთი გადმოჰყავთ. ის ორჰან ქემალთან ერთად მოათავსეს საკანში. ამ პერიოდში ორჰან ქემალისთვის ციხე ერთგვარს სკოლად გადაიქცა. ორჰან ქემალი ნაზიმ ჰიქმეთისაგან ფრანგულის, ფილოსოფიის, ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურის გაკვეთილებს იღებდა, რამაც მისი ინტელექტუალური აზროვნება და სულიერი სამყაროს აგრძნობლად შეცვალა. ის თავის ლექსებს ნაზიმ ჰიქმეთს უკითხავდა, მის რჩევებსა და მოსაზრებებს ითვალისწინებდა. (NHÜY, s.36) „შენგან კარგი ლიტერატორი დადგება, კარგი მასალა ხარა ამისთვის“, –ამ სიტყვებით აქეზებდა და სტიმულს აძლევდა ნაზიმ ჰიქმეთი ორჰან ქემალს. ამგვარად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ბურსის ციხეში გატარებულის სამ წელიწად-ნახევარი, როდესაც ორჰან ქემალი ნაზიმ ჰიქმეთთან ერთ საკანში იჯდა, შეწყვეტილი განათლების გაგრძელება იყო. ერთ წელიწადში გავლილი ეტაპი, ყველაზე მცირე, ხუთ წელიწადში გასავლელი

<sup>6</sup>გურსელ ( Gürsel), 1997: 146

<sup>7</sup>გურსელ (Gürsel), 1997: 146



გზის ტოლფასი გახდა.<sup>8</sup> მწერლის ინტელექტუალური და ლიტერატურული აზროვნების ცვლილება მის შემოქმედებასაც დაეტყო, თავდაპირველადის ლექსის "მარწუხებიდან" გათავისუფლებას შეეცადა:

“და, აჰა, შენც

წითელი ქვედა კაბით,

მაგრამ მოიცა,

არ დაიჯერო, რა ხან არ მიყვარს წითელი ფერი,

არ გავბრაზდები ლოტოს კოჭივით

ჩასუქებულ ფართლეულით მოვაჭრეს

და ღვინით მოვაჭრის ძმის შვილს.

თვალის ჩინი წამერთვას, მოვიტყუე,

ყველაფერი ძველებურდაა, საყვარელო. („მონანიება” YDD, s. 196)

(მთარგმნელი: გულ მუქერრემ ოზთურქი)

გარდამავალ პერიოდში დაწერილი ლექსები ნაზიმ ჰიქმეთის პიროვნების ზეგავლენით და მისგან მიღებული გაკვეთილების შთაბეჭდილებებითაა დაწერილი. თავისუფალ სტილში დაწერილი ეს ლექსები სოციალური რეალიზმის განაცხადია.

ნაზიმ ჰიქმეთთან ურთიერთობამ სრულიად შეცვალა ორჰან ქემალის მსოფლმხედველობა და მისი ლიტერატურული ხაზის მიმართულება. „ჩემი ნამდვილი მასწავლებელი ნაზიმია. მან მე სამყაროს ხედვა და გარკვეული მეთოდით მისი აღქმა მასწავლა. როცა ისწავლით სამყაროს აღქმას, დაინახავდი იმას, რისი დანახვაც საჭიროა. აი, ეს მასწავლა ნაზიმმა, ამიტომაც, სრულიად მართებული იქნება კლასიკურ სიბრტყეში ორჰან ქემალის ლიტერატურულ პორტრეტს ორი სათაურის ქვეშ თუ გავაერთიანოთ: ნაზიმ ჰიქმეთის გაცნობამდე და გაცნობის შემდეგ.

---

<sup>8</sup>რან(Ran), 1968: 160

<sup>9</sup>ულურლუ(Uğurlu), 1973: 28-29

ორჰან ქემალის ლექსებიდან თხრობით ჟანრში გადასვლა სწორედ ნაზიმ ჰიქმეთის მიერ ნაჩვენები გზით წარიმართა. მან ჯერ მოთხრობების წერა დაიწყო, შემდეგ კი რომანების. პირველი საცდელი მოთხრობა, რომელიც ორჰან ქემალმა დაწერა „ჩემი თვრამეტი წელი“<sup>10</sup> გახლდათ. როცა ეს მოთხრობა ნაზიმ ჰიქმეთმა წაიკითხა, აღფრთოვანებულმა წამოიძახა: „რა ლექსი, რის ლექსი ძმაო, შენ მოთხრობები უნდა წერო, რომანები უნდა წერო!“<sup>11</sup> ამის შემდგომ ორჰან ქემალმა მოთხრობების წერა განაგრძო. პირველი მოთხრობა, რომელიც გაზეთ „ახალ ლიტერატურაში“ დაიბეჭდა. ეს მოთხრობა რომანის „მამის სახლი“ ერთ-ერთი თავი იყო, სადაც დასმულია მნიშვნელოვანი პრობლემა: სოციალური გარემოსთან პიროვნების კონფლიქტის ფსიქოლოგიური ასპექტები.<sup>12</sup>

1941 წელს გაზეთ „ახალ ლიტერატურაში“ რაშით ქემალის სახელით დაიბეჭდა ორჰან ქემალის მოთხრობა „ერთი განათლებული ახალგაზრდა“, ამავე გაზეთში ოღონდ ორჰან რაშითის სახელით კი მოთხრობები: „ახალი წლის თავგადასავალი“ და „ჩემი ძმა ნიაზი“. 1942 წელს ორჰან ქემალის სახელით ჟურნალში „სვლა“ დაიბეჭდა მოთხრობა „მამაჩემი“, 1943-ში მოთხრობები: „ტელეფონი“ და „ერთი გარდაცვლილის შესახებ“. ამავე წლებში გაზეთ „იქდამში“ იბეჭდება მოთხრობები: „ვარდიანი“, „ვაზის ლერწი“ და „სამშობლოში დაბრუნება“. ამ მოთხრობების თემატიკა დაფუძნებულია იმაზე, თუ როგორ იქცევა ადამიანი პრობლემურ სიტუაციებში.

### **სიმწიფის პერიოდი: სოციალური და კრიტიკული რეალიზმის ხაზი**

1944 წელს ჟურნალ „ვარლიქში“(ყოფიერება) დაიბეჭდა ორჰან ქემალის მოთხრობა „ლაზარეთის დამლაგებელი იუსუფი“, 1954 წელს კი მოთხრობა „ჩარაზული“, „ჯარის კაცობანა“, „მილი“. ამ ჟურნალმა თავის მკითხველებში ჩაატარა გამოკითხვა, რომელსაც ყველაზე კარგი მოთხრობების ავტორი უნდა გამოეკვლინა. მკითხველების მოწონება ორჰან ქემალმა დაიმსახურა. თავისი

---

<sup>10</sup>ონგერ(Önger), 1970: 2

<sup>11</sup>ულურლუ(Uğurlu), 1973:261

<sup>12</sup>ულურლუ(Uğurlu), 1973: 28

ლექსებისა და მოთხრობების წყალობით ორჰან ქემალი<sup>13</sup> ნელ-ნელა ლიტერატურულ სამყაროში ცნობილი მწერალი ხდება.

1946 წელს ჟურნალ „დღემი“ დაიბეჭდა ორჰან ქემალის ლექსები: „პური“, და „უმუშევრობა“ და მოთხრობები: „ძაღლის ლეკვი“, „ერთი ლირა“, „თებერ ჩელიქის ცოლი“. 1947 წელს ჟურნალში „რჩეული მოთხრობები“- მოთხრობები: „ჩემი მეგობარი ნეჯათი“ და „ბრძოლა არსებობისთვის“.

1949 წელს ჟურნალში „იაფრაქი“(ფოთოლი) დაიბეჭდა ორჰან ქემალის მოთხრობა: „სადგურზე“, და რომანი „ჯადო ქარი“. ამავე წელს დაიბეჭდა ორჰან ქემალის რომანი „მამის სახლი“ და მოთხრობების წიგნი „ბრძოლა არსებობისთვის“. ამავე პერიოდში სტამბოლს მიაშურა. ეს ის პერიოდია, როცა ორჰან ქემალი თავისი მოთხრობებისა და რომანების გაყიდვისთვის თავს არ ზოგავდა „ბეიოღლუს ვიწრო ქუჩებიდან ჩაღალღალუმში ქანცის გაწყვეტამდე დასდევს რეჟისორებს, სცენარისტებს და გამომცემლებს.<sup>14</sup>

ამავე პერიოდში ორჰან ქემალი ანატოლიის ხალხთა ცხოვრებით დაინტერესდა: იმ კონფლიქტებით და პრობლემებით, რომელიც ამ მხარისთვის იყო დამახასიათებელი. მწერალმა დაკვირვებისა და ამ მხარისთვის დამახასიათებელის სინთეზური კულტურის ფონზე გადმოგვცა ანატოლიის მხარეში მცხოვრები ადამიანების ცხოვრება. 1950 წელს სხვადასხვა ჟურნალებში დაიბეჭდა მისი მოთხრობები: „ბიბლიის თავგადასავალი“, „ემიგრაციაში“, „უმცროსები და უფროსები“, „გაუმარჯოს თავისუფლებას“, „პარკში“, „მამა“. 1951 წელს კი მისი შემდეგი მოთხრობები იბეჭდება: „შედევი“, „მათხოვარი“, „აიშე და ფატმა“, „ნურეთინ შადან ბეი“, „ცოტა ფული“, 1952 წელს „საქმე“, 1953 წელს „მოსამსახურე“ და „არისტოკრატი“. ამავდროულად 1951 წელს დაიბეჭდა მოთხრობების წიგნი „მთვრალეები“ და 1952 წელს რომანი „ჯემილე“. 1954 წელს წიგნად გამოვიდა რომანები: „მურთაზა“ და „ნაყოფიერი მიწები“, რომელიც წინა წლებში სხვადასხვა ჟურნალში ნაწყვეტების სახით იბეჭდებოდა.

ორჰან ქემალი ცხოვრების სულიერ და მატერიალურ სიძნელებს ადამიანური სიყვარულით და მოთმინებით უმკლავდება. ცხოვრების

<sup>13</sup>ბეზირჯი(Bezirici) 1984: 25

<sup>14</sup>ულურლუ(Uğurlu) 1973: 46

სიყვარულითაა გაჟღენთილი მისი მოთხრობები და რომანები. ცხოვრებისეულმა წინააღმდეგობებმა ვერ შეძლო მისი შემინება და გაჩერება. გარემო და ის ადამიანები, რომლებიც ამ გარემოში არიან, მისი შემოქმედების წყაროა, მწერლის მიერ ლიტერატურაში შექმნილი სახეები სწორედ ამ ადამიანების მსგავსნი არიან.

„მე მწერალი ვარ და არა კარიკატურისტი. მე არ მომწონს ისინი. მათგან თავი შორს მიჭირავს. ისინი ოცნებებს აფერმკრთალებენ. სხვადასხვა ლანგარიდან ადამიანებთან ურთიერთობა უფრო სასიამოვნოა, სასარგებლოა“.<sup>15</sup>

1954 წელს წიგნად დაიბეჭდა ორჰან ქემალის ნაწარმოებები: „გაფიცვა“ და „საკანი 72“, სადაც მწერალმა დიალოგების საშუალებით იმ ადამიანების კონფლიქტების სოციალური და ფსიქოლოგიური ანალიზი მოგვცა, რომლებთან ერთადაც ერთ არეალში ცხოვრობდა და კარგად იცნობდა ამ ადამიანებს. ორჰან ქემალს ნაწარმოებებში გამუდმებით მეორდება თემა „ლუკმა პურისთვის ზრუნვა“. „ორჰან ქემალის გამეორებები“<sup>16</sup> – ასეთ შეფასებას აძლევდნენ მწერალს ამის გამო და ხშირად სწორედ ეს იყო მისი გაკრიტიკების მიზეზიც.

კრიტიკული რეალიზმის გადმოსახედიდან შექმნილ ნაწარმოებებში მთელი არსითაა გასიგრძელებული და გადმოცემული სხვადასხვა სოციალურ ფენას შორის არსებული კონფლიქტი – მუშათა კლასს, ღარიბებსა და მდიდრებს შორის, სოფელსა და ქალაქს, სოფლელებსა და ქალაქელებს შორის. გადმოცემული ასოციალ–პოლიტიკური მდგომარეობის დეგრადაცია. ორჰან ქემალი ყველაზე კარგად გრძნობდა იმ ადამიანების მდგომარეობასა და პრობლემებს, ვისზეც წერდა, ისიც ხომ ამ „პატარა ადამიანთაგან“ ერთ–ერთი იყო. 1956 წელს გამოვიდა ორჰან ქემალის რომანი „ქალბატონის მამული“, მას მოჰყვა „უკანა ქუჩა“, რომლის გამოც „კომუნიზმის პროპაგანდის“<sup>17</sup> ბრალდებით ისევ სასამართლოში მოხვდა. 1957 წელს გამოდის მწერლის მოთხრობები „მოხეტიალე მილიონერი“, „ბაბილონის გოდოლი“, „დამნაშავე“ და „მმის წილი“, ამ უკანასკნელმა მწერალს საით ფაიქის სახელობის ჯილდო დაიმსახურა. 1963 წელს იბეჭდება შემდეგი მოთხრობები: „ქუჩის ბავშვები“, „სისხლიანი მიწა“, „მსოფლიოში იყო ომი“, „უბნის

---

<sup>15</sup>ულურლუ(Uğurlu), 1973:382

<sup>16</sup>დოღან(Doğan), 1972: 86

<sup>17</sup>ულურლუ(Uğurlu), 1973:288

უთანხმოებები”. ამავე წელს ორჰან ქემალი აკეთებს რომანის „ბედის წყალობა” ადაპტირებულ პიესას თეატრისთვის, სახელწოდებით „სკვინჩები”, სადაც მწერალი, ხელოვანი ორჰან ქემალი წარმოჩინდა როგორც დრამატურგი და მსახიობი. ამ სპექტაკლმა „წვრილი ბურჟუა”<sup>18</sup> ორჰან ქემალი როგორც მაცურებელი, როგორც მსახიობი და როგორც სცენარისტი ძალიან გააბედნიერა. ამ წლებში ორჰან ქემალი წერს რომანს „იყო ერთი ფილიზი”, რომელიც მასზე 24 წლით პატარა მუშა გოგონას – ულქუს მიმართ განცდილი გრძნობების შედეგად დაწერა. ორჰან ქემალი ერთგულია ნაზიმ ჰიქმეთის იდეების. ის პოეტს „ჩემი ნამდვილი მასწავლებლის”<sup>19</sup> სახელით მოიხსენიებს, და ის სოციალური გარღვევა, რაც ნაზიმ ჰიქმეთის პოეზიაშია, ის თავის პროზაშია ვითარებს. ორჰან ქემალი თავის ნაწარმოებებში ირონიულად გადმოგვცემს დასავლეთზე მიმბაძველობას, გაუხეშებას, მატერიალურის გაღმერთებას, პიროვნების ჩამოყალიბების და მისი გარემოში დამკვიდრების თანამდევ კონფლიქტებს პიროვნების გახსნის და სხვა მსგავსი პროცესების დინამიკას.

ორჰან ქემალი კრიტიკული სოციალური რეალიზმისა და „სოციალური სარგებლის” შემცველი ლიტერატურის ერთ–ერთი წარმომადგენელია. ის არის მოწმე და მონაწილე პიროვნების სოციალური ყოფის როგორც მატერიალური, ისე სულიერი ასპექტების და კნინებისა. ის თავის ნაწარმოებებში სწორედ ასეთი ადამიანების ტრაგიკულ<sup>20</sup> ამბებს გვიყვება. ორჰან ქემალის მოთხრობების დიალოგებში ჰუსეინ რაჰმი გურფინარისეული აქცენტები იგრძნობა. მწერლის მიერ შექმნილი ხასიათები კი, რომელიც კრიტიკული რეალიზმის შესატყვისი შტრიხებითაა სავსე, სამი ქოჯაგოზუსა და საბაჰათინ ალის ხელწერის ანალოგიას ქმნის. ორჰან ქემალის ნაწარმოებების საფუძველი კი ძირითადად ნაზიმ ჰიქმეთის სოციალისტური შეხედულებები, „განმანათლებლური რეალიზმია”.

მიუხედავად გაუსაძლისი სულიერი და მატერიალური სიდუხჭირისა, ორჰან ქემალი ცხოვრებას ორთავე ხელით ებღაუჭებოდა. „არამც და არამც! ჯერ

---

<sup>18</sup>ულურლუ(Uğurlu), 1973: 45

<sup>19</sup>ულურლუ(Uğurlu), 1973: 28

<sup>20</sup>ოზჯან(Özcan), 2000: 100

სიკვდილამდე ბევრი დროა!”<sup>21</sup> ამ სიტყვებით იმხნევებდა მწერალი თავს და სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრების სიყვარულით სავსე ნაწარმოებებს ქმნის. ის აგრძელებს რომანების „ინციდენტი” და „ქალაქის სამი გამყიდველის” წერას დაგეგმავს რომანებზე „93”, „სხვა ადამიანი” და „მურთაზა 2” მუშაობას.

---

<sup>21</sup>ულურლუ(Uğurlu), 1973:453

### 2.3. ორჰან ქემალის შეხედულებები ხელოვნებასა და ლიტერატურაზე

ორჰან ქემალის შეხედულებები ხელოვნებასა და ლიტერატურაზე მისი იდეოლოგიური მოსაზრებების პარალელურად ყალიბდებოდა. ორჰან ქემალი თავისთავს „მუშაკ მწერალს“<sup>22</sup> უწოდებდა და იმ საზოგადოების პრობლემებს, სადაც ის ცხოვრობდა, სოციალისტური შეხედულებების მიმდევარი პიროვნების გადმოსახედიდან ხსნიდა. მწერალი არა მარტო ცხოვრებაში, თავის შემოქმედებაშიც ვერ ფარავდა მარქსისტულ რიტორიკას. ხელოვანმა უნდა იგრძნოს „სოციალური სარგებელი“ და თავისი ნაწარმოებები ამ თარგაზე ააგოს. ორჰან ქემალს მიაჩნდა, რომ ხელოვანი „ფართო გაგებითო აზროვნე“<sup>23</sup> უნდა იყოს და მან ცხოვრებაში განცდილი, დანახული და აღქმული ნაწარმოებებში უნდა ასახოს. ის საზოგადოების მომავალზე უნდა შფოთავდეს და პირველ რიგში გონიერი ადამიანი უნდა იყოს.<sup>24</sup> სოციალურ განვითარებასა და ცვლილებებს „გამართობზე უფრო მოაზროვნე“<sup>25</sup> შეხედულებები უნდა დაუახლოვოს.

ორჰან ქემალს სწამდა, რომ ხელოვნება, რა ჟანრსაც არ უნდა წარმოადგენდეს, საზოგადოების განათლებისთვის სასარგებლო და საჭირო უნდა იყოს. მისი აზრით, ხელოვნება და საზოგადოებრივი ცხოვრება განუყოფელია. ხელოვანის კრიტიკა<sup>26</sup>, პირველ რიგში, თავისი თავის, შემდგომ საზოგადოების და ამავე დროს მთელი კაცობრიობისადმი უნდა იყოს მიმართული და ამ პროცესში მას არ უნდა ჰქონდეს არანაირი მატერიალურის მოლოდინი. ხელოვანი „ვერ ჩაჯდება სხვის ნაგში“ და თუ მოუხდება ჩაჯდომა, „სხვის დუდუკზე ვერ დაუკრავს“<sup>27</sup>. ორჰან ქემალი, მწერალი, რომელიც მუდამ „საკუთარ დუდუკზე უკრავდა“<sup>28</sup>, ხელოვნებას აღიქვამდა, როგორც ძალის სხმევას ადამიანების გაბედნიერებისთვის.<sup>29</sup>

---

<sup>22</sup>ულურლუ(Uğurlu), 1973: 135

<sup>23</sup>ულურლუ(Uğurlu), 1973: 204

<sup>24</sup>ბეზირჯი(Bezirici), 1984: 49

<sup>25</sup>ბეზირჯი (Bezirci), 1984: 49

<sup>26</sup>ულურლუ(Uğurlu), 1973: 433

<sup>27</sup>ულურლუ(Uğurlu), 1973: 40-41

<sup>28</sup>ულურლუ(Uğurlu), 1973: 40

<sup>29</sup>ბეზირჯი(Bezirici), 1948: 46

ორჰან ქემალის შემოქმედების ძირითად ხაზს სინამდვილის რეალისტური დასახვა წარმოადგენდა.<sup>30</sup> ის ცდილობდა, რომ რეალობაში არსებული კარგი და ცუდი, ის, რაც ჩანს ზედაპირზე და რაც არ ჩანს, ყველაფერი ნაწარმოებებში მთელი სისრულით წარმოეჩინა, თუმცა ამავედროულად მიაჩნდა, რომ ხელოვანს, მწერალს ყველაფერი იმის გაცოცხლება და ნაწარმოებებში გადატანა<sup>31</sup>, რაც საზოგადოებაში ხდება, ასე პროცენტით მაინც არ შეუძლია. მწერალი ვერ იქნება ასე პროცენტით ობიექტური. მწერალი თავის ნაწარმოებებში თავისთავს, როგორც შემოქმედს, უნდა წარმოაჩინდეს, – „ხელოვანი ბუნების მიმბაძველი და იმიტატორი არ უნდა იყოს, ის თვითონ უნდა ქმნიდეს და ამატებდეს რაღაცას“.<sup>32</sup> მწერალი ქმნის პერსონაჟებს მთელი თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, მას მიაჩნია, რომ მხოლოდ საკუთარი ხალხი, საკუთარ ქვეყანაში მცხოვრები ადამიანები კი არაა, მსოფლიოში მცხოვრები ყველა ადამიანი უნდა გვიყვარდეს: „ჩვენს საზოგადოებაში არსებული მრუდე ადამიანებიც კი კარგები, ძლიერები და გმირები არიან, რადგან მათი ასეთი მდგომარეობა საზოგადოებრივი მოწყობის ბრალია.ეი, ადამიანის შვილო, შენს მიერ საკუთარი ხელით დარღვეული საზოგადოებრივი წესრიგი, ისევ შენ უნდა აღადგინო და გამოასწორო. საკუთარი თავი ამ ჩიხიდან შენ უნდა იხსნა“.<sup>33</sup> ამ მრწამსით ქმნიდა ორჰან ქემალი თავის შემოქმედებას. მისი შემოქმედება „სოციალური სარგებლის“ გამოხატულებაა. ის არ ეთანხმება ქემალ თაჰირს იმ მოსაზრებას, რომ ადამიანის უარყოფითი მხარეების შესახებ მწერალმა დაუნდობლად და უსიყვარულოდ უნდა ისაუბროს. „როგორც ქემალ თაჰირი აკეთებს, ეს ჩემთვის მიუღებელია. ის სუტენიორობის, ცოლების მიერ „რქებ დადგმულების“ და კიდევ რა ვიცი, ათასი ასეთი რამის შესახებ წერისას, ამბობს, რომ მათი გადარჩენა შეუძლებელია. მათგან ადამიანი არ დადგება. ყველას ნავთი უნდა გადაასხა და დაწვა!“<sup>34</sup> ორჰან ქემალი მიიჩნევდა, რომ ქემალ თაჰირი ადამიანების მხოლოდ ცუდი მხარეების გამაერთიანებელი იყო. თვითონ კი ცდილობდა, რომ ადამიანებში ღირსეული მხარეები აღმოეჩინა და გამოეტანა. ის,

---

<sup>30</sup>ულურლუ(Uğurlu), 1973: 315

<sup>31</sup>ულურლუ(Uğurlu), 1973: 39

<sup>32</sup>იელქენ(Yelken), 1963: 17

<sup>33</sup>ულურლუ(Uğurlu), 1973: 40

<sup>34</sup>ბეზირჯი(Bezirici), 1984: 55



ნაზიმ ჰიქმეთის, საბაჰთინ ალის, რეშათ ენისის, სუათ დერვიშის, რიფათ ილგაზის, მეჰმეთ ქემალის, ფაქირ ბაიქურთის, ფურუზანის, ფინარ ქურის და ლეილა ერბილის მსგავსად, ეთნიკური პრობლემებისგან შორს იდგა და ეკონომიკური მდგომარეობის „კლასობრივი მიდგომის ყველაზე ცნობილი და ტიპიური“<sup>35</sup> მაგალითების შესახებ წერდა. ამ კლასის შიგნით არის ჰუმანურობა, სიყვარული და ერთიანობა.

ორჰან ქემალმა შემოქმედების თემად თავისი იდეოლოგიის შესატყვისი, თავის ცხოვრებასთან ახლო მდგომი საკითხები აირჩია: მუშათა კლასი და გლეხობა. ის თავისი ნაწარმოებებში ინდუსტრიალიზაცია–მექანიზაციის შედეგად გაბურჟუებული ძლიერი კლასის მიერ შევიწროებული ადამიანების სიდუხჭირის, წინააღმდეგობებისა და ცხოვრების პირობების შესახებ მოგვითხრობს. ის აღწერს მშრომელი ადამიანების იმ არა ადამიანურ ტვირთს, რომელთან ერთადაც ამ ადამიანებს დიდი სულიერი და ფიზიკური ჯაფისა და შრომის ხარჯზე ექსპლუატაციის პირობებში უხდებოდათ ცხოვრება.

„მე მიყვარს ჩემი სამშობლო და აქ მცხოვრები ადამიანები“<sup>36</sup>,– ამ სიტყვებით ორჰან ქემალი ხაზს უსვამდა თავის ეროვნულობას და ამბობდა, რომ ჩემს მიერ მთხრობილი ამბები, მოვლენები, დახატული ადამიანები და მათი ცხოვრება შეიძლება უარყოფითი მუხტის მატარებელია, მაგრამ არამც და არამც პესიმისტური. ორჰან ქემალს მიჩნდა, რომ ხელოვნებას დიდი ძალა გაჩნია, ის წყაროა დიდი ძალის, ეროვნული ხელოვნება კი თავისთავში მოიცავს დიდ საიდუმლო ძალას.” ეროვნული ხელოვნება ეროვნული ფერების და ატმოსფეროს შემცველი ხელოვნებაა. ყოველ ერს აქვს საკუთარი, სხვა ერისგან განმასხვავებელი ატმოსფერო. თურქი ხელოვანები ხელოვნების სხვადასხვა დარგში, მსგავსად ევროპელი ხელოვანებისა, საკუთარ, თავისებურ ატმოსფეროს წარმოაჩენენ, თუმცა არ ვფიქრობ, რომ მათი ხელოვნება იყოს უნივერსალური, რადგან ჯერ საკუთარი ხალხი უნდა შეიყვარო და მასზე წერო და მერე დასავლური კულტურა“<sup>37</sup>

---

<sup>35</sup>მილლას(Millas), 2000:157

<sup>36</sup>ულურლუ(Uğurlu), 1973: 440

<sup>37</sup>ულურლუ(Uğurlu), 1973: 362

მწერალი, რომელიც „თავისიანების“ შესახებ წერდა და მათ ყოველი კუთხიდან გვაცნობდა, ნაწარმოებებში სალაპარაკო ენად ისევ ხალხის ენას ირჩევდა. ხალხის განათლება სადაც ნობიერებისა მაღალების მიზნით ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ ხედავდა იმაში, რომ ტექსტებში გამოყენები ნაღველის ელემენტი, რასაც ხალხში გავრცელებული გამონათქვამები მოიცავდა.

„ჭეშმარიტი მწერალი არ გაიყიდება“<sup>38</sup> – ამ მრწამსის მიმდევარ ორჰან ქემალს მიაჩნდა, რომ ხელოვნება მხოლოდ მოვლენების ასახვა არ არის, მისი ფუნქცია მკითხველში მხოლოდ ემოციების გამოწვევა, მისი გაცინება ან ატირება არ არის. მნიშვნელოვანია, რომ თურქული ხელოვნება ხალხთან ახლოს იყოს, მისი ბედი უნდა გაიზიაროს და მასთან შინაგან ერთიანობას უნდა გრძნობდეს.

„ხელოვანი ცხოვრების მანძილზე ერთ ხმას პოულობს. მას ასუფთავებს, რაფინირებულს ხდის. ენას ხვეწს და ალამაზებს. თავდაპირველად სხეული, კონსტრუქცია დააარსა საჭირო. არსი კი, თავის მხრივ, განუყოფელ ფორმას ქმნის“<sup>39</sup>. ორჰან ქემალი აღნიშნავს, რომ საჭიროა სწორი მეტყველება, თუმცა, ამავე დროს ადგილობრივ სამეტყველო ფორმებს ანიჭებს დიდ მნიშვნელობას.

„ზოგადად ენა სიტყვის ოსტატთა თვის მთავარი იარაღია. ურთიერთ გაგებინების იარაღი. ჩვენნაირი ქვეყნის ხელოვანებისთვის, ქვეყნისთვის, რომელიც საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა კულტურების გავლენას განიცდიდა და განიცდის დღემდე, ენის იმ უცხო სიტყვებისგან გასუფთავება, რომელიც ასეა გათქვეფილი ჩვენს ენაში, უპირველესი დავალება უნდა იყოს“<sup>40</sup>.

ორჰან ქემალი ხალხისთვის გასაგები და ადგილობრივი გამონათქვამებით გამდიდრებული ენით წერდა. მას სწამდა, რომ ხალხის აღზრდა და განათლება ამ გზითაც იყო შესაძლებელი.

---

<sup>38</sup>ულურლუ(Uğurlu), 1973: 243

<sup>39</sup>ბეზირჯი(Bezirici), 1984: 55-56

<sup>40</sup>ბეზირჯი(Bezirici), 1984,63

ორჰან ქემალის პერსონაჟები ოპტიმისტური განწყობებით შექმნილი გმირები არიან. სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური შტრიხებით სავსე პერსონაჟები თურქი ხალხის და თურქული საზოგადოების შესაბამისი პერიოდის ანარეკლია.

### თავი III . ორჰან ქემალის რომანების სტილის ზოგადი თავისებურებები და მათი ასახვა ქართულ თარგმანებში

ორჰან ქემალის სტილის თავისებურების საკითხი იმთავითვე მოექცა თურქული სალიტერატურო კრიტიკის ყურადღების სფეროში. გამოითქვა ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები, უფრო მეტი, მწერლის ენობრივ-სტილური კონცეფცია და მიმართულება ხშირად მძაფრი კრიტიკის საგანიც გამხდარა.

საზოგადოდ, მხატვრული ნაწარმოების სათანადოდ თარგმნა უპირველესად იმაზეა დამოკიდებული, თუ მთარგმნელი რამდენად ერკვევა იმ სიტუაციაში, რომელიც აღწერილია მის მიერ სათარგმნად არჩეულ დედანში. აქ ცოცხალი სინამდვილის ცოდნა გადამწყვეტ როლს თამაშობს. მთარგმნელმა კარგად უნდა შეძლოს როგორც უცხო ენობრივი სამყაროს, ისე მასში ჩადებული შინაარსის, აგრეთვე, ტექსტისა და ქვეტექსტის გააზრება. არანაკლებ მნიშვნელოვანია მთარგმნელის მიერ მწერლის სტილური თავისებურებების გათვალისწინება. ცხადია, შეუძლებელია ყველა სტილური ნიუანსის თარგმანში ასახვა, მაგრამ ზოგადი ტენდენციების ცოდნა და მისდამი ანგარიშის გაწევა კარგი თარგმანის აუცილებელი პირობაა. ამიტომ, წინამდებარე თავში ჩვენ ორჰან ქემალის სტილის ზოგად თავისებურებებს შევხებით და მივუთითებთ იმაზეც, თუ რამდენად არის გათვალისწინებული ეს თავისებურებანი მთარგმნელების მიერ. გამოვკვეთთ იმ სტილურ ნიშნებს, რომელთა გათვალისწინება მთარგმნელს უწევს. დავეყრდნობით თურქულ სალიტერატურო კრიტიკაში ორჰან ქემალის სტილის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს. კერძოდ, თურქი კრიტიკოსები ქემალის რომანების, მათ შორის, საანალიზოდ აღებული ნაწარმოებების ძირითად თავისებურებებად მიიჩნევენ: თხრობის სპეციფიკას, დიალოგის სტრუქტურასა და როლს, აგრეთვე, რომანების აქცენტს, კილოს.

### 3.1. რომანების თხრობის სტილი

ორჰან ქემალმა რეალობაში განცდილი ამბები, პირადად გადახდენილი ისტორიები და საკუთარი თვალით ნანახი, ნაცნობი ადამიანები ცოცხალი ენითა და თხრობის სტილით ტექსტებში გადაიტანა. მისი შემოქმედების განსაკუთრებულობაც სწორედ ეს არის—ის წერს იმაზე, რაც იცის.

ორჰან ქემალი რომანებს თავებად და ნაწილებად ყოფს, ამბის მთავარ ხაზსაც თხრობის საწყის ფაზაშივე გამოყოფს. კლასიკურ სტილზე გაწყობილი ორჰან ქემალის რომანების თხრობის სტილი უშუალო და მშვიდია.

საანალიზოდ აღებულ ორჰან ქემალის არცერთ რომანში არ არსებობს გმირი, პერსონაჟი, რომელიც მთხრობელის როლს ასრულებს. აქ მწერალი თვითონ გამოდის მთხრობელის როლს (ცოტა მოგვიანებით დაწერილ რომანებში ღვთაებრივ შეხედულებებს მთხრობელის შერჩევით გადმოგვცემს და ცდილობს საკუთარი თავი შენიღბოს და არ წარმოაჩინოს)

ორჰან ქემალი ზოგჯერ სახალხო მთქმელივით წარდგება მკითხველის წინაშე და მოვლენების შესახებ ინფორმაციის უწყვეტ ნაკადად მოწოდების გზას ირჩევს:

იმისათვის, რომ მკითხველისთვის უფრო ნათელი გახდეს რომანებში მიმდინარე მოვლენები და პერსონაჟთა ხასიათები, ორჰან ქემალი გარკვეული მიმართულებით უკან დაბრუნების ტექნიკას იყენებს. წარსულთან ერთად მწერალი ადამიანის მეხსიერებაში ღრმად დაფარულ აზრებში შეღწევას ცდილობს. ის წარსული ცხოვრების გახსენებით და მასთან ახლანდელის შედარების გზით ცდილობს აწმყოს უფრო კარგად წარმოჩენას.

რომანებში ორჰან ქემალის მიერ შერჩეული თხრობის მიმართულება, რაც „სუბიექტური რეალობის ხელში აღების მცდელობაა“<sup>41</sup>, როგორც წესი, პიროვნების მიერ საკუთარ თავის ერთგვარი დაკითხვის, შინაგანი დიალოგის, მონოლოგისგან შედგება. ზოგადად, ორჰან ქემალის თხრობის სტილის მნიშვნელოვან თავისებურებას პერსონაჟების მიერ სამყაროში ადგილის ვერ პოვნა

---

<sup>41</sup> Aytaç(აითაჩ)1985: 20

და საზოგადოების არად ჩაგდება, საკუთარი სულიერი ტკივილების განკურნების მატარებელი გულწრფელი საუბრები შეადგენს.

„- რაო, მურთაზა-ბატონო. რა ხდება? ამ მხარის დაცვა შენთვისაა მონდობილი! რომ შეგხვდეს ახლა უფროსი და გითხრას: რატომ ვერ იძინებს ღამე ამ დროს ზოგიერთი მოქალაქე, უსტა-ფაბატონო? რისთვის გაკრთომიათ ძილი? რა პასუხს გასცემ უფროსს? თუ გაჩუმდები თუთა ნაჭამი ბულბულივით! მაშინ დედასა და ცოლს შეგაგინებს და არ იქნება სწორი?

-კარგი! შეიკრიბონ და შეუძლიათ ილაპარაკონ, ეს ჩვენი სახელმწიფოს და ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ უკადრისი ყბედობაა“. („უცხო ქალი“)

აქ გამოყენებული თხრობის ტექნიკა, პატარა ადამიანის თავის თავთან და სამყაროსთან დაპირისპირების პროცესში, შინაგანი და გარეგანი კონფლიქტის გამომხატველია. ორჯან ქემალი რომანის პერსონაჟს ფსიქოლოგიური ანალიზით კი არა, საკუთარი მონათხრობის საფუძველზე, გრძნობების ზედმეტი გამოხატვის გარეშე, აწვდის მკითხველს. ორჯან ქემალის რომანებში ვხედავთ, რომ მწერალი ერთ მნიშვნელოვნად ზმნურ წინადადებებს ანიჭებს უპირატესობას. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ მწერალი თხრობის ჟანრში გამომსახველობას ეფუძნება. ორჯან ქემალის რომანებში მოთხრობილი ამბის დრო ქრონოლოგიურადაა დალაგებული. თხრობის დროს უკან დაბრუნება პიროვნებების ფსიქოლოგიური ფონის ასახვას ემსახურება.

აღნიშნული ზოგადი სტილური თავისებურებანი თარგმანში მეტ-ნაკლებად გათვალისწინებულია.

### 3.2. დიალოგი რომანში

ორჰან ქემალის შემოქმედებაში დიალოგს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ის გარკვეულწილად აძლიერებს მოვლენის რიტმს, უზრუნველყოფს ნაწარმოების ადვილად წაკითხვას და, ამასთან, ეხმარება პერსონაჟებს საკუთარი თავის უკეთ გამოხატვაში. დიალოგების მეშვეობით პერსონაჟები თითქოს თავისუფლად, თავისთავად მოძრაობენ და მწერალი თითქოს არც კი არის მათ გვერდით.

რომანებში განვითარებული პიროვნებების ფიზიკურ თუ სულიერ პრობლემებს, მათი კონფლიქტების გადაჭრას მწერალი, სხვა გამომსახველობით ფორმებთან ერთად, დიალოგების გზითაც ცდილობს.<sup>42</sup> მეგობრის, ფიქრეთ ოთიამისადმი გაგზავნილ წერილში ორჰან ქემალი აღნიშნავს, რომ დიალოგები მის შემოქმედებაში არ არის შემთხვევითობა და ის მას შეგნებულად, ძალიან ხშირად იყენებს.

„დიალოგებს ჭარბად ვიყენებ და დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ეს არ არის შემთხვევითი. ვფიქრობ, რომ სათქმელს ამ ფორმით ყველაზე უკეთ გამოვხატავ. დარწმუნებული ვარ, თუ ღრმა სულიერი ანალიზის გაკეთების მცდელობაა განზრახული, დიალოგის დიალექტიკით ეს წარმატებითაა შესაძლებელი“.<sup>43</sup>

მწერლის მხრიდან, რომელსაც არ უნდა რომ რომელიმე პერსონაჟის მხარე დაიჭიროს, დიალოგისთვის მნიშვნელობის მინიჭება სავსებით ბუნებრივია. მწერალს, რომელსაც განზრახული აქვს, რომ პერსონაჟები „სათითაოდ გამოიყვანოს, როგორც მთხრობელი“, შეუძლია დიალოგები ჭარბად გამოიყენოს. ამ ფორმით, პერსონაჟების საშუალებით, მწერალი ზოგადად თავის ნააზრევს საცნაურს ხდის. ორჰან ქემალის შემთხვევაში ასე არ არის. ის თავის პერსონაჟებს საკუთარ რეალობაში, საკუთარ დონეზე და თავიანთ კონფლიქტებში ალაპარაკებს. თვითონ კი, როგორც მთხრობელი, დროდადრო გამოჩნდება ხოლმე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პერსონაჟები ისეთი ხალასი და გულწრფელი ენით საუბრობენ, რომ მკითხველისთვის ყველაფერი გასაგები და ნათელია და დამატებით ახსნა–განმარტებას არ საჭიროებს. დიალოგების ამგვარად დალაგება რთულია. საჭიროა ენის სტრუქტურის და შესაძლებლობების განსაზღვრა; პერსონაჟისთვის ყველაზე

<sup>42</sup>Uturgauri(უტურგაური), 1980: 197

<sup>43</sup>Otyam(ოთიამ), 1999:100

შესაფერისი წინადადების შერჩევა; არჩეულ ცხოვრებასა და პერსონაჟებზე დაკვირვება;

დიალოგებია სწორედ ის ფორმა, რომელიც ორჰან ქემალის მოსაზრებებთან ერთად, ნათლად წარმოაჩენს მწერლის ნაწარმოებებს შორის არსებულ ჰარმონიულობას. მართლაც, ორჰან ქემალის მოთხრობებისა და რომანების გამაერთიანებელი, ტექნიკური თვალსაზრისით, სწორედაც რომ დიალოგებია.

მისი 24 რომანის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ ჯამში 7057 გვერდისგან შემდგარ რომანებში, 5933 გვერდი დიალოგს, და მონოლოგს უჭირავს. ასთივე თანაფარდობაა ჩვენ მიერ საანალიზოდ აღებული რომანების თარგმანების ორიგინალებში.

პერსონაჟების აზრების გაცვლა–გამოცვლისთვის გამოყენებული დიალოგებით მწერალი ცდილობს მონათხრობის გამყარებას და რეალობიდან აღებული სინამდვილის კიდევ უფრო განმტკიცებას.<sup>44</sup> ორჰან ქემალი, დიალოგებსაც როგორც ყველა ტექნიკას, მწერლის ხელში საშუალებად ხედავს, მაგრამ მას ძალიან განსხვავებულად იყენებს. როგორც მოთხრობებში ისე რომანებში ყველაზე დიდ ნაწილს დიალოგებს უთმობს. თეატრი დიალოგის გარეშე არ შეიძლება. სცენა დიალოგებით იწყება, ჭიდილი, ინტრიგა, გამდაფრება თეატრში ყოველთვის დიალოგებით მიმდინარეობს. დრამატული მოქმედება სცენაზე დიალოგით ეცნობება მაყურებელს. თეატრში პერსონაჟები საუბრობენ; მაგრამ რომანში და მოთხრობაში პერსონაჟების ნაცვლად მოსაუბრე გადმომცემი საუბრობს. ანუ დიალოგი მოთხრობის და რომანის ხელოვნებისთვის აუცილებლობა არ არის, მაგრამ მნიშვნელოვანი ხერხია. ორჰან ქემალი ამას ძალიან ოსტატურად იყენებს. იმასაც არ ივიწყებს, რომ დიალოგი რომანში და მოთხრობაში მხოლოდ დამხმარე საშუალებაა. საუბრებს მოსაუბრის იდენტობის, მეობის და მის კუთხურობის შესაბამისად ამზადებს.

დიალოგი ორჰან ქემალის ნაწარმოებებში დიდ როლს თამაშობს მოვლენების განვითარებაში. მისი საშუალებით ხდება პერსონაჟების ფსიქო–სოციალური

---

<sup>44</sup>Asim Bezirci 1984: 59



მდგომარეობის ახსნა, თხრობას ემატება უფრო მეტი ბუნებრიობა, ის არის მთხრობელის შეფასებებისა და დასკვნების გამომხატველი, გამოაქვს კულტურული სტრუქტურა და ტექსტში მოტანილი ამა თუ იმ მძიმე კულტურული სტრუქტურის შემსუბუქების ფუნქცია აკისრია.

„ჩვენ შეგვიძლია დავუმტკიცოლ ყველას, რომ არა ვართ ბალახი (სულელები. გ.ს)!

შაბანის საქმესაც წაადგება!

მუსტაფა ქემალ ფაშაზე იფიქრე: უზარმაზარ სასულთნოს წინ აღუდგა. ფადიშაჰს სიკვდილი მიუსაჯა. შეეშინდა? რომ შეშინებოდა, დღეს მუსტაფა ქემალ ფაშა იქნებოდა?

შაბანი:

–მართალია. ისიც ადამიანია და ჩვენც. ის თავის მოედანზე უზარმაზარ იმპერიას აღუდგა წინ და თავისი სახელი ისტორიაში შეიტანა, ჩვენ კი ჩვენს მოედანზე, ყველაზე მცირე, ორი საცოდავი ადამიანი მაინც დავამარცხეთ<sup>45</sup>, რომანის პერსონაჟების ეს საუბრები მკითხველს ცოდნასა და საფიქრალს, ცხოვრების მაგალითებს აძლევს. ის პირადი კონფლიქტების გზით საზოგადოების სტრუქტურასაც ასახავს. („უბედური შემთხვევა“)

დიალოგები რომანის თხრობას უფრო მეტ ბუნებრიობას სძენს და მთხრობელის შეფასებებსა და დასკვნებს ასახავს:

“ადვოკატმა არაფერი ჰკითხა. სერჩე:

–ერთ იმსახური მჭირდება, – წარმოთქვა.

ჯედეთი მოეხვია. შავი ხუჭუჭთმიანი თავი გაბრაზებით აწია. გადამბული წარბებით ნერვიულად შეხედა. მსახურად ყოფნას სიკვდილი ერჩინა”<sup>46</sup>. („უცხო ქალი“)

---

<sup>45</sup>DE, s.154-156

<sup>46</sup>S, s. 339

ორჰან ქემალი დიალოგებში გამოყენებული ადგილობრივი გამონათქვამებით და აქცენტის თავისებურებებით თხრობის სიხალასეს აღწევს. რომანის პერსონაჟების კულტურული და სულიერი განზომილების გამომხატველი ეს ადგილობრივი გამონათქვამები ტექსტში ქუჩის ენის შემომტანია.

„ოცდაათ ღირა ხელფასით რომელი ქალი შეიყვარებს? მკლავებს ოქროს სამაჯურებით ავუვსებ, ცრემლებს კოცნით ამოვუშრობ, -ვუთხარი. მერე ვთქვი, რომ ქალაქში სასახლესაც კი ვიყიდი, აქლემებს გავყიდი და ბედნიერებაში მოვიხმარ...უეჭველ გავყიდი, ბიძა!“

“-მე ვარ გაფურ ჰაა, შენ ვინ გეგონა?

-საქმეები გაგიფართოვებია ღვთის შეწევნით..

-მე მეუბნები?

-შენ გეუბნები გაფურ ალა. ხომ მითხარი, მოდიოდა..აი, წერილი”

-ელოდებოდი ხომ ამ წერილს, ერთი ყავა დამალევიწე!

-არ დაიწყო ისევ ამ დილა ადრიან..

-მართალია, არ დავიწყებ. არ მინდა, რომ ბიჭს რამე ცუდი უთხრა! ხვალ თავზე გვირგვინს დაგადგამენ ...”

“კაჟივითა ვარ. არაფერი მოუვა თურქულ თუნუქს! თუ უნდათ ნუ მოეწონებათ, გვიჩივლონ უფროსებთან. კარგი მოხელე ხალხიც ცრემლებს არ უყურებს. მოვალეობის შესრულებისას ვერ მიაქცევს ყურადღებას საყვარელი ადამიანების ცრემლებს. რატომ? იმიტომ, რომ კარგ მამოხელემ უფროს იუნდა გააბედნიეროს”<sup>47</sup>..

რომანების პერსონაჟებს შორის არსებულ გაუგებრობას მწერალი, საბოლოო ჯამში, დიალოგების გზით აგვარებს. როცა პერსონაჟებს შორის საუბრის უნარი თანდათან კლებულობს და იკარგება, მწერალი მათ გამოხედვებით ასაუბრებს:

“ერთმანეთთან მზე რით დაიწყეს საუბარი:

-ვინ?

-არ ვიცი, ბატონო..

---

<sup>47</sup>DK, s.17

–ღამე ასეთ დროს?

–ჰო, უცნაურია. იქნებ ქალაქის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რამეა”..

–ასე რომ იყოს, ტელეფონი არ არსებობს? ვინც არ უნდა იყოს, თვითონ რატომ მოდის? ეს შენი თავ ხედი მეეტლე ხომ არ არის?

პოლიციის უფროსს ჭკუაში დაუჯდა. შესაძლებელი იყო<sup>48</sup>.

როცა მწერალი პერსონაჟებს დიალოგების საშუალებით არ საუბრებს, აქ იგი სასაუბროდ სხეულის ნაწილების იყენებს.

“ორი ადამიანის ფეხმა საუბარი განაგრძო:

“ვამჩნევ.. სადა რის პატივი და სახელი. პატივისცემა, სიმამაცე?

–ყეყეჩი.. კაცი რომ იყო სამ სიტყვებს ჭამდა? ეს გადასაყლაპი სიტყვებია ? უზრდელი ხარო, უთხრა!

–ეტყოდა.. ხელფასს აძლევს..

–მიდი, რაა შენც... ხელფასს აძლევსო?

–რა თქმა უნდა მივცემდი!

–ფხრიწ!

–ფხრიწ შენაა და შენს მოდგმას”..

ორჰან ქემალი დიალოგების საშუალებით დრამატული ჟანრის განსაკუთრებულობას გვიჩვენებს. ამგვარად, ორჰან ქემალის თხრობის სტილის ზოგადი განმსაზღვრელი ელემენტი დიალოგიცაა. ახლა ვნახოთ, როგორ თარგმნიან დიალოგებს ქართველი მთარგმნელები, კერძოდ იკვეთება შემდეგი თავისებურებანი:

---

<sup>48</sup>MM, s.51

1. ორიგინალის დიალოგი და მისი ქართული თარგმანი სრულიად ეთანხმება ერთმანეთს, დიალოგის მნიშვნელობა მთარგმნელმა შეუცვლელად მოგვაწოდა.

თურქული	ქართული
-Gülizar!	-გულიზარ!
-Ne var?	-რა გინდა?
-Bir çay kaynatsan da bizimkine götürsek..	-ერთი ჩაი გამიკეთე, ჩემს ქალბატონს უნდა შევუტანო!
-Bana bak Ramazan! Avradının yanında bana fiyaka yapıp durma. Sonra karışmam!	-რამაზან, ქალთან დგახარ და ნუ ბრძანებლობ, თუ რამ საჭიროა, მე თავად გავაკეთებ, გაიგე!
-Fiyaka mı? Ne fiyakası?	-რას მიქვია ბრძანება!
-Eşşek değilim ben, benim kumandana ihtiyacım yok. Sen söylemesen de yapacağımı bilirim ben!	-მე ვირი არა ვარ და არც მბრძანებელი მჭირდება!
-Sen aslansın! (HÇ. s.13)	-კი, შენ მოხერხებული ქალი ხარ, ყველაფერი იცი! (ქალბატონის მამული, გვ.12)

2. ორიგინალის დიალოგის ქართული ვარიანტის ზუსტი თარგმანი არ არის. დიალოგის ზოგი ნაწილი შინაარსობრივად არის ნათარგმნი:

თურქული	ქართული
-Gidip bakayım mı ağa?	-იქნებ მიკითხვას საჭიროა?
-Nereye?	-სად?
-Fabrikaya.	-რა თქმა უნდა, ფაბრიკაში!
-Bu saatte fabrika mı kaldı? Çıktıysa çoktan çıkmıştır şimdiye.	-ასე გვიან იქ ვინღა იქნება?
-Doğru.(VV. s.16)	-მართალია, მაგრამ მაინც...(უბედური შემთხვევა. გვ.13)

3. ორიგინალი და თარგმნილი დიალოგების შედარებისას თარგმანი აზრობრივად ჰგავს ზემოხსენებულ ორიგინალ ტექსტს, მაგრამ ორიგინალი ტექსტში 7 ფრაზას ვხვდებით, თარგმანში კი ერთით ნაკლებს.

<p>Savcı:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>●Bu kulübe, denizde boğulan dilencinin kulübesiymiş.Meyhaneci karının burada ne işi olabilir?</li> <li>●Hem de boğularak öldürülmüş. Sebep?</li> <li>●Aklıma başka bir şey geliyor...</li> <li>●Ne?</li> <li>●Her iki kadının ölümünde bir üçüncü şahıs bulunamaz mı?</li> <li>●Mümkün ama..</li> <li>●Kadınların ölmesinde ne çıkarı olabilir diyeceksin.</li> </ul> <p>Doğru. Anlıyacağız Hele komşulardan sorup soruşturalım...(EK. s.466)</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>●როგორც მაცნობეს, ამ სარდაფში ზღვაში დამხრჩვალ ქალს უცხოვრია, -თქვა უშიშროების უფროსმა, -სამიკიტნის პატრონს მასთან რა საქმე უნდა ჰქონოდა?</li> <li>●ცხადია, ქალი ყელში წაჭერით დაუხრჩვიათ, -თქვა ექიმმა.</li> <li>●ეგ აშუარად ჩანს, მაგრამ დანაშაულის მოტივს ვერა ვხედავ.- შენიშნა გამომძიებელმა, -თუმცა ერთი აზრი მაინც მეზადება...</li> <li>●აზრი?</li> <li>●დიახ, ორი საშინელი მკვლელობა ერთდროულად მოხდა, ამ საქმეში ალბათ ვიღაც მესამე პირი ურევია.</li> <li>●შესაძლებელია, მაგრამ მოდი, ჯერ მეზობლები დავკითხოთ.(უცხო ქალი, გვ.382)</li> </ul>
--	---

4. ორიგინალი დიალოგები ქართულ თარგმანში შემოკლებულია, რაც მთარგმნელს განუგებ უნდა ჰქონდეს გაკეთებული, მკითხველისთვის რომ უფრო გასაგები იყოს. ორიგინალ დიალოგი 9 ფრაზისაგან შედგება. ქართულ თარგმანში კი 2 ფრაზისაგან.

<p>-Herifi yiyon. Betona düşen tabak kırılmaz mı?</p> <p>-Demek inanmıyorsun?</p> <p>-İnanılır mı lan?</p> <p>-Şerefsizim hem kırılmamış hemde attığı tabak hop deyip önüne oturmuş!</p> <p>-İyi oğlum, aşk olsun mantarına...</p> <p>-Herifi Nasreddin Hoca yapıp çıktınız!</p> <p>-O ne i... tabakmış öyle ki hop deyip...</p> <p>-Lastik belki de...</p> <p>-Olur olur arkadaş.(VV. s.59)</p>	<p>-როგორ, კაცო არც ერთი არ გატყდა? აქ ცოტას სტყუი!</p> <p>-წარმოიდგინეთ, თურმე არამც თუ გატეხილა, პირიქით ისევ ჰოპ ჰოპ, მაგიდაზე ამხტარან და დასკუპულან.(უბედური შემთხვევა, გვ.59)</p>
--	---

5. ორიგინალი ტექსტის არცერთი დიალოგი არ თარგმნილა.

თურქული	ქართული
<p><i>Güllü, kopan kombinezonunu dikmek için iplik iğne alıp geldi. Ama Muzaffer Bey kombinezonu kaptı, bir kenara fırlattı.</i></p> <p><i>Genç kadın şaştı:</i></p> <p><i>-Aaa... Ne o:</i></p> <p><i>-A'sı, ması yok. Gözlerine yazık değil mi? yenisini giy!</i></p> <p><i>-Yenisini mi?</i></p> <p><i>-Yok mu? Yoksa şehre indiğimizde bir düzine alalım...</i></p> <p><i>-Var kocacığım, var ama...</i></p> <p><i>-E?</i></p> <p><i>-Var, yenisi var. Dört tane var daha... İsrâf günah değil mi?</i></p> <p><i>-Bırak şu kılkuyruk katip karısı laflarını!</i></p> <p><i>-Ne lafı ne lafı?</i></p> <p><i>-Kılkuyruk katip karısı lafı. Züğürt tesellisi. İsrâf günahmış...</i></p> <p><i>-Değil mi?</i></p> <p><i>- Züğürt tesellisi dedim ya. (HÇ. s.158-159)</i></p>	<p>არ გადათარგმნილია. (ქალბატონის მამული, გ.118)</p>

### 3.3. რომანში გამოყენებული კილო/აქცენტი

ორჰან ქემალი თავის რომანებში პერსონაჟების მიერ გამოყენებული ენის ჩვენებას მათი დიალოგებისა და მონოლოგების გზით ცდილობდა. რომანისტი, როცა თავისი პერსონაჟების სახელით იწყებს საუბარს, მათი შესატყვისი ენით საუბრობს. მხოლოდ მომდევნო პერიოდში ხდება ამ „იმიტაციური კილოს“, ადგილობრივი დიალექტის შემცირება და დროდადრო სხვადასხვა ჯგუფის მიერ გამოყენებული დიალექტის შესატყვისი განმარტება სქოლიოშია მოცემული. თუმცა, ამ შემცირებისდა მიუხედავად, ორჰან ქემალს მიაჩნდა, რომ ხალხის რეალური სალაპარაკო ენა ლიტერატურაში არ უნდა დაიკარგოს.????

1952–54 წლებში ორჰან ქემალის მიერ ნაწარმოებებში გამოყენებული კილო კამათის საგანი იყო. მასზე საუბრობდნენ კაფეებში ყავაზე, იმ შეხვედრებზე, რომელსაც მწერალი ესწრებოდა თუ არ ესწრებოდა, მასზე წერდნენ ჟურნალ–გაზეთებში. 1953 წელს ორჰან ქემალმა დაწერა სტატია<sup>49</sup>, სადაც ახსნა, თუ რატომ იყენებდა წერისას ასე მომეტებულად კილოსა და დიალოგებს. მწერალი სტატიაში საუბრობს კილოსა და დიალოგების საჭიროებაზე. ორჰან ქემალის ამ მოსაზრებას ის კრიტიკოსები გამოეხმაურნენ<sup>50</sup>, რომლებიც მწერლობაში კილოს გამოყენების ზღვარის მკაცრად დაცვას ემხრობოდნენ.

ორჰან ქემალის მიზანი იყო, რომ განსაკუთრებული, შესაფერისი ფორმატის, სრულყოფილი ტიპაჟები შეექმნა და ამავდროულად დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ენის თავისებურებებს. ის ხშირად იყენებს დიალექტს თავის ტექსტებში, შეიძლება ითქვას გადაჭარბებითაც, რაც ზოგჯერ ართულებს წინადადებების გაგებას. თუმცა, როგორც თვითონ ამბობს, ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ ხედავს იმაში, რომ სალიტერატურო ენასთან ერთად დიალექტიც გამოიყენოს. მათი წარმატებით ურთიერთ შერწყმისთვის კი საჭიროდ მიაჩნია სწორი სტილის პოვნა.

<sup>49</sup> Dünya Gazetesi Sanat Eki. 1.9.1953. İstanbul

<sup>50</sup> Orhan Kemal, Dünya Gazetesi Sanat Eki. 12.9.1953 ve 15.9.1953: Nurullah Ataç. Türk Dili Dergisi



„დიალექტი აუცილებელია. მიმაჩნია, რომ სათქმელის თვის მეტი ძალის მიცემისთვის, იმ ადამიანებმა, რომელზედაც გვიყვება მწერალი, მკითხველში რეალურად არსებული, ნაცნობი გრძნობები უნდა აღძრან, ამისათვის კი დიალექტია უცილებელი, თუმცა ეს ოსტატურად, საჭირო დოზით, როგორც სანელებლები, უნდა გაკეთდეს.<sup>51</sup>

„შემიძლია თარიქ ბულრას შესახებ ვიკითხო? როცა ჩვენი ქვეყანა სავსეა მშობლიურ ენაზე არა სწორად მოსაუბრე ადამიანებით, როცა ისინი აბსოლუტური მრავლესობას წარმოადგენენ, რატომ ირჩევთ ისეთ ტიპაჟებს, რომლებიც სწორად მეტყველებენ, თუმცა უმცირესობაში არიან? მთელი ჩემი ცხოვრება, გამონაკლისი მხოლოდ ბოლო სამი წელია, ანატოლიაში, თქვენი ტერმინი რომ გამოვიყენო, ადგილობრივ დიალექტზე მოლაპარაკე ადამიანებს შორის გავატარე, რომლებსაც სხვა სამეტყველო ენა არ ჰქონდათ. პატარაობიდანვე ლუკმა პურს მათთან ერთად ვმოულობდი. მათ დავუახლოვდი. რა თქმა უნდა, მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ. აქედან გამომდინარე, მე ამ ადამიანებს, ანუ მშობლიურ ენაზე არა სწორად მოსაუბრე ადამიანებს, უფრო კარგად ვიცნობ, ვიდრე იმათ, ვინც მშობლიურ ენაზე გამართულად საუბრობენ. ამიტომ, რა გასაკვირია, რომ მე ჩემთვის ნაცნობი ადამიანების შესახებ ვწერ. ამასთან, ისიც იცით, რომ ჩვენი ლიტერატურა მოთხრობებისა და რომანების კუთხით, დასაბამიდან დღემდე, საკუთარ ენაზე გამართულად მოლაპარაკე უმცირესობების თავგადასავლებითაა სავსე“. თუმცა ამ ბოლო დროს გამოჩნდა ისეთი მოთხრობები და რომანები, რომლებიც არ არის მთლად სალიტერატურო ენით დაწერილი. „განა არ მაქვს უფლება, რომ იმ დოზით იყოს გამოყენებული დიალექტი და კილო ჩემს რომანებში, რა დოზიდაც მსურს?“<sup>52</sup> - კითხულობს ორჰან ქემალი.

ორჰან ქემალი თურქ რომანისტებს შორის ის მწერალია, რომელიც თავის რომანებში პერსონაჟებს, რომელსაც ის კარგად იცნობს, საკუთარი კილოსა და მიმზადველი გამონათქვამების გამოყენებით ალაპარაკებს. მწერლის მიერ

---

<sup>51</sup>Dünya Gazetesi, 15.10.1953

<sup>52</sup>Otyam(ოთიამ), 1999: 102

მოცემული პერსონაჟების თავგადასავლების სრულყოფილი ჩვენებისთვის აქცენტის გამოყენება საკმარისი არ არის, თუმცა მნიშვნელოვანი ელემენტია.

რაც შეეხება ქემალის რომანების ქართულ თარგმანებს, აქ კუთხური კილო-კავი, დიალექტიზმები, როგორც მკვეთრად გამოხატული ნაციონალური სპეციფიკის მატარებელი ენობრივი ერთეულები, მკაცრად არის შეზღუდული. მთარგმნელები უარს ამბობენ ენის ისეთ ლექსიკურ და სინტაქსურ ფორმებზე, რომლებიც დედნისეული ენის ჩარჩოშია ჩაკეტილი. ეს სავსებით გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ „თარგმანს მხოლოდ ენის ლიტერატურულ ფორმებზე შეუძლია ორიენტაციის აღება. მართალია, თარგმანი ზოგჯერ იყენებს დიალექტიზმებს, ხალხურ ფრთიან გამოთქმებს, ეთნოგრაფიზმებსაც კი, მაგრამ მხოლოდ მაქსიმალურად ნეიტრალურ სიტუაციაში, ისეთ კონტექსტში, სადაც მათი ეროვნული ხმიანება ნაკლებ რადიაციას ახდენს მთელ ტექსტზე“ (ფანჯიკიძე, გვ. 88)

## თავი IV ორჰან ქემალის რომანების ქართული თარგმანების ენა

თარგმანი ენათა სხვადასხვაობასთან ერთად იშვა და ადამიანებს შორის ურთიერთგაგების უზრუნველყოფისთვის აუცილებლობად იქცა. „თურქული ენის ინსტიტუტის“ ლექსიკონში (2011 გვ. 525), თარგმანი, განმარტებულია, როგორც „ერთი ენიდან სხვა ენაზე გადაცემა, გადატანა, თარგმნა“. ქართულში კი, დალი ფანჯიკიძე თარგმანს ასე განმარტავს: „ენობრივი კომუნიკაციის სპეციფიკური სახეობა, ყველა თავისი განზომილებით, უფრო თავისუფლად მოთავსდა მაკროლინგვისტიკაში და მჭიდროდ დაუკავშირდა ისეთ დისციპლინებს, როგორებიცაა ტექსტის ლინგვისტიკა, კომუნიკაციური, სოციალური, პრაგმატული ლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა და სხვა. თავის მხრივ, თარგმანის თეორიულად შესწავლაში ლინგვისტური ანალიზის მეთოდების გამოყენებამ კომუნიკაციის არსი უკეთ გამოავლინა და ეს მოხდა მისი ფუნქციონირების აღწერის მეშვეობით კომუნიკაციის სპეციფიკური სახეობის, თარგმანის საფუძველზე (1995, გვ.198).

თარგმანი, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხთა და ინდივიდთა შორის, სხვადასხვა ინფორმაციის გადაცემის ფაქტორია, რომელიც ურთიერთობის შესაძლებლობას უზრუნველყოფს. უძველესი დროიდან დღემდე ამ ურთიერთობა თვალსაზრისით, გამოყენების სხვადასხვა გვარი ფორმა მიიღო. ნათელია თარგმანის მნიშვნელოვანი როლი საერთაშორისო და სავაჭრო ურთიერთობებში, მეცნიერებებში, ტექნიკური და კულტურული ინფორმაციის გაცვლასა და საერთოდ, ცხოვრების ყველა სფეროში. ხსენებული ურთიერთობების ჩამოყალიბება, გაგრძელება თუ განვითარება, განსაკუთრებით დღევანდელობაში, შეუძლებელია. გარდაუვალია საზოგადოებისა თუ ინდივიდუალურ ურთიერთობაში ამდენად მნიშვნელოვანი ადგილის მქონე თარგმანის სხვადასხვა ზომით გამოკვლევა, უფრო წარმატებული და ეფექტური თარგმანისათვის თეორიული განვითარება. ამ კონტექსტში, თარგმანზე ჩატარებული სამუშაოები, ბოლო წლებში, თარგმანის მეცნიერების სახელით, დისციპლინებს შორის მეცნიერების ახალი დარგის ჩამოყალიბებისაკენ წინსვლაა. ლიტერატურული ტექსტის სხვა ტექსტებისგან განმასხვავებელი უმნიშვნელოვანესი მხარეები,

მხატვრული ტექსტების არსებობა და მათ შექმნაში გამოყენებული ხელოვნების ენაა. ეს მახასიათებლები, ტექსტის ფორმისა და შინაარსის მეშვეობით, მკითხველზე შთაბეჭდილებას ახდენს და კითხვის გემოვნების, ტექსტის ლიტერატურულ ფასეულობას გამოავლენენ. მწერლისთვის დამახასიათებელი წინადადების სტრუქტურა, სიტყვების შერჩევა და ასევე, მისთვის დამახასიათებელი რიტმი განსაზღვრავს, რა სიმბოლოები „როგორ“ იწერება ტექსტში, „რის“ გამოსახატად დაიწერა ტექსტი, რა არის გამოხატული ამ კომუნიკაციური და ინფორმაციული ქმედებით, შინაარსით. ლიტერატურული ნაწარმოების თარგმნისას, საკმარისი არ არის მხოლოდ ენობრივი ეკვივალენტურობა, რადგანაც ამ სახის ტექსტები, სამეცნიერო, ტექნიკური და სხვა ტექსტებისგან განსხვავებით, ცნობილი, ჩვეულებრივი ენის წესების გარდა, ძლიერი გამოხატულებისა და კულტურული მემკვიდრეობის მომცველი, მაღალი ღირებულების ერთი იწერება და მკითხველის გასართობად, დასაფიქრებლად და კითხვის გასაგრძელებლად წამახალისებელი არაპირდაპირი მნიშვნელობები, სიტყვათა პირდაპირი მნიშვნელობასთან ერთად, ასოციაციურ მნიშვნელობებსა და გამოთქმებთან ერთად გამოიყენება (ქოლერი, 1987:81), ამ ტექსტების ფორმა-შინაარსსა თუ ხელოვნების ელემენტებზე ამახვილებს ყურადღებას. ფრაზეოლოგიზმი, ანდაზა, მეტაფორა და კიდევ მრავალი ფორმულა (ფიცის, ლანძღვის, წყევლის დ.ა.შ.), აგრეთვე, მხატვრული ნაწარმოებისთვის დამახასიათებელი სხვა ნიშან-თვისება, კულტურულ მემკვიდრეობებზე დაფუძნებული, სიტყვათა თამაშში არსებული ეს ენობრივი ელემენტები, სხვა ენაზე გადატანისას, სხვადასხვა მთარგმნელობით პრობლემას წარმოქმნის და ტექსტის ორიგინალთან გარკვეულწილად დაშორების ანდა მნიშვნელობის დაკარგვის მიზეზი ხდება. ეს ნაშრომი, სწორედ წყაროსა და თარგმანს შორის ამ ტიპის ურთიერთობის კვლევის განხორციელებას ისახავს მიზნად. მასალად თურქული ლიტერატურის კლასიკოსის, რომანისტისა და დრამატურგის, ორჰან ქემალის რომანები - „უბედური შემთხვევა“ (1958), „ქალბატონის მამული“ (1961) და „უცხო ქალი“ არის აღებული ქართულ თარგმანებთან ერთად. გარდა ამისა, განვიხილავთ ქართულად „გაცოცხლებული“ ამ რომანების გვერდითი

მნიშვნელობის კონტექსტის ტიპისთვის დამახასიათებელი შესაბამისობის უზრუნველყოფისა და ვერ უზრუნველყოფის საკითხს, ვეცდებით, გავარკვიოთ, თუ რა სტრატეგიას უნდა მივმართოთ თარგმნის პროცესში, კერძოდ, „ენობრივი თამაშების“ კონტექსტში წარმოქმნილი პრობლემების შესწავლით, პრობლემის გადაჭრის გზას შევთავაზებთ დაინტერესებულ მკითხველს. ნაშრომში, უპირველესად, სათითაოდ განვიხილავთ თარგმნის ნაწარმოებებს, გარეკანის გვერდებიდან დაწყებული, გვერდებისა და ტექსტის თავებად დაყოფის კრიტერიუმებისა თვლით. ამის შემდგომ, ვიპოვით წყაროს შემადგენელი სხვადასხვა გამოთქმების, ანდაზების, ჟარგონის, გინების, ფიცის, ლოცვის, წყევლის ფორმულების ქართულ თარგმანში არსებულშესატყვისებს. ნაშრომში ორიგინალის წინადადებებსა და თარგმანის შესატყვისებს შორის ურთიერთკავშირი, თარგმნის სტრატეგიებისა და მთარგმნელთა მიზანმიმართული მთარგმნელობითი მიდგომის (თეორიის) ფარგლებში არის შეფასებული. ნაშრომის დასკვნით ნაწილში, პროცესის წინა ნორმები, თარგმნის პროცესის ნორმები და ორჰან ქემალის სამი რომანის („უბედური შემთხვევა“, „ქალბატონის მამული“, „უცხო ქალი“) ანალიზი განხორციელდა. ნაშრომის შედეგად მოპოვებული დასკვნების მიხედვით, სამი სხვადასხვა რომანისა და ორი სხვადასხვა მთარგმნელის თარგმანში, ადგილობრიობა, გაუცხოება, ისტორია, ქცევა, ადგილის შეცვლა, გლობალიზება, გაყოფა, დაყოფა, დამატება, მიმატება, გამოკლება - ასტრატეგიების გამოყენება, გამოვლენა - შედეგად, ტექსტი, წყაროსთან ყველაზე მიახლოებულიდან (კარგი თარგმანიდან), ყველაზე შორს მდგომის (მისაღები თარგმანი) მიხედვით შეფასებისას, სამიზნე ტექსტის ენისა და კულტურის სიახლოვიდან გამომდინარე, „უბედური შემთხვევა“-ს ქართული თარგმანისთვის, მისაღები თარგმანის მასშტაბისაა, რომანების „ქალბატონის მამული“ და „უცხო ქალი“ თარგმანი კი, წყაროს, ენისა და კულტურის გაცილებით ახლოს ჰყოფნის გამო, გაცილებით შესაბამისი და დახვეწილია. ვფიქრობთ, რომ ეს ნაშრომი მნიშვნელოვანი წყარო იქნება ორიგინალი ტექსტისა და ქართული თარგმანის შედარებითი შესწავლის სფეროში განსახორციელებელი სხვა ნაშრომებისთვის.

განმარტებების მიხედვით, თარგმნას, ძირითადი წყაროს ენასა და კულტურაში არსებული ტექსტის, არამხოლოდ ფორმოზრივად, ამავდროულად, მისი მნიშვნელობის, გადმოცემისა და გრძნობის, სამიზნე ენასა და კულტურაში საუკეთესო და ყველაზე ზუსტი ფორმით გადაცემა შეიძლება ეწოდოს. თარგმანი, კაცობრიობის ისტორიასთან ერთად ვითარდებოდა და მეოცე საუკუნესთან ერთად, თარგმანის არა უბრალოდ მექანიკური პროცესია, არამედ შემოქმედებითი პროცესია. ამ რეალობასთან ერთად, „თარგმანის მეცნიერება“, სხვადასხვა სამეცნიერო დარგებს შორის, ახალ სამეცნიერო დარგად დამკვიდრდა.

ამ შეხედულების მიხედვით, ორჯან ქემალის რომანების ქართული თარგმანები, „შესაბამის“ და „მისაღებ“ თარგმანებად გამოვლინდა. „შესაბამისის“ ცნებაში, წყაროს ერთგულება მოიაზრება. „მისაღების“ ცნებაში კი, სამიზნე ენის პრინციპებსა და წესებთან შესაბამისობა არის ნაგულისხმევი. თარგმანებში, ამ ცნებებიდან (კონცეფციებიდან) ერთ-ერთის გათვალისწინებისას, მეორეს ნაკლები ყურადღება ეთმობა.

მთარგმნელის მიერ ტექსტის შერჩევისა და თარგმნისას, ამ ტექსტის მიდგომები და გადმოცემის პროცესში გათავისებულებული სხვადასხვა მეთოდები, ზოგადი და ადგილობრივი სტრატეგიები. ადგილობრივი სტრატეგიები, ენის გარკვეულ ჯგუფებს შორის გამოყენებული მთარგმნელობითი სტრატეგიებისა და აღნიშნული ენების სტრუქტურის, თანმიმდევრობისა (წყობის) და ლექსიკის მახასიათებლების გავლენის ქვეშ ექცევა ძალაურებურად. თარგმნის ზოგადი სტრატეგიები კი წყაროს ზოგიერთი ელემენტის უკანა პლაზე, ზოგიერთისა კი, წინა პლანზე შენარჩუნების ფორმით ვლინდება.

ზემოთ აღნიშნული ფარგლებში, მიზნით ორჯან ქემალის რომანების, „უბედური შემთხვევა“, „ქალბატონის მამული“, და „უცხო ქალი“-ს ქართულ თარგმანებს განვიხილავთ. თარგმანი შესწავლილ იქნა შედარებითი მეთოდით. შევისწავლეთ მთარგმნელთა მიერ გამოყენებული ენა და გავაკეთეთ წყაროსა და ტექსტის შედარებითი ანალიზი. მიღებული დასკვნებით შევისწავლეთ თარგმანებსა და წყაროებს შორის ურთიერთობა.

## თარგმანის შესაბამისობის მიმოხილვა

ნაშრომის ამ ნაწილში, წყაროს სამიზნე ტექსტებთან ენობრივი თამაშების შემცველი ზოგადი გადაკვეთების მაგალითზე განვიხილავთ. განსაკუთრებით, მნიშვნელობითი, ენობრივი და სტილისტური განზომილების პარალელურად, ტექსტზე ფორმობრივი გავლენის მქონე და შემკული ენის ძირითადი მასალა - ანდაზა, გამოთქმა, ფრაზეოლოგიზმები, შედარების მსგავსად ენობრივი თამაშების თარგმანზე შევჩერდებით და თარგმანის შესაბამისობის თვალსაზრისით განვიხილავთ. პირველყოვლისა, განვიხილავთ ორჯან ქემალის მიერ გამოყენებულ სპეციფიკურ ლექსიკას და მის ქართულ თარგმანს. მხედველობაში გვაქვს რელიგიასთან დაკავშირებული სიტყვები, აგრეთვე, ვულგარიზმები და ჟარგონი.

### 4.1. სპეციფიკური ლექსიკა

ორჯან ქემალის შემოქმედება ემთხვევა “სუფთა გათურქულების“ ანუ სიტყვის რევოლუციის პერიოდს (1939-1970); მწერალს ამ პროცესთან დაკავშირებით ღია განმარტება არ აქვს გაკეთებული, მაგრამ ნაწარმოებები მის განსხვავებულ პოზიციაზე მიუთითებს. ორჯან ქემალის რომანებში ამოსავალი ხალხის ენაა. ის იყენებს თურქულ ენაში არაბულიდან, სპარსულიდან შემოსული სიტყვებსაც კი, რომლებიც ხალხის ენაში მტკიცედ დამკვიდრდა.

ორჯან ქემალი, ნურულაჰ ათაჩის სუფთა თურქულის ჰეგემონიის პერიოდშიც კი ომერ სეიფეთინის „სადა ენას“ გააგრძელებს. და თან არცერთ დისკუსიაში, პოლემიკაში არ ჩაერევა და ხმაურის გამოწვევის გარეშე აკეთებს ამას. სიტყვებს რომელიც დამკვიდრებულია სასაუბრო ენაში თურქულად ჩათვლის. „სადა ენა“ მისთვის სასაუბრო ენაა. რელიგიიდან წამოსულ და ხალხის ენაში დამკვიდრებულ სიტყვებს უპრობლემოდ ჩათვლის და გამოიყენებს: ალლაჰ, მაშალლაჰ, ლაჰველე, ინშალლაჰ, ვალლაჰი, ბილლაჰი, ესტაღფირულლაჰ, სუნნეთი შერიფ, თექქე, თესფიჰ, ქელიმეთულლაჰ, აჰლაქ (ზრდილობა) ნეუზუბილლაჰ, რაჰმეთლიქ, ნამაზ, იმან, ნამაჰრემ, ჰარამ, ყურანი, ჯენაბი ალლაჰ, მუსულმანი, ქალუბელა, ცოდვა, სელამ, ჰუდა, ჰალიქ, ჰაირ, ეზანი, ია რაბბი, შაჰადეთფარმადი, რამაზან,

რაბილალიმინ, საჰურ, იფთარ, მარხვა, დეჯჯალ, ყიამეთი, ხათმი, ფათიჰა, ცოდვა, სელამუნალეიქუმ, ბისმილა, თაქდირი ილლაჰ, ჯოჯობეთი, ნამუსი, რუზ იმაჰშერი, დასაშვები, ფითრა, ზეჟათი, სალავათი, ვედრება, ანგელოზი, თეჯელი, მააზალლაჰ, იმ ქვეყნიური სასუფეველი, უფლება, მეჩეთი, თოვბე, ვალდებულება, მადლობა, ლოცვა, ბედისწერა... აღსანიშნია, რომ არც ამ სიტყვებს აღმართებს ორჰან ქემალი და არც ამით მომასწავებელ ცხოვრებას. ის მათ ვინც ცხოვრებას მხოლოდ ამ სიტყვების ფარგლებში ხედავს, მათაც აკრიტიკებს: მაგალითად, ნაწარმოებებში „უკანა ქუჩა“, „ემიგრაციაში“, „დელილი“.

ბუნებრივია, ზემოთ ჩამოთვლილი ლექსიკური ერთეულები თითქმის უკლებლივ გვხვდება ჩვენ მიერ საანალიზოდ აღებულ სამ რომანში. მთარგმნელებს ისინი მეტწილად სიტყვასიტყვით გადმოაქვთ, ან შესატყვის ქართულ ექვივალენტს უძებნიან, თუკი ამასაც ვერ ახერხებენ, იშვიათად, მაგრამ მაინც საერთოდ გვერდს უვლიან. ასეთი შემთხვევები შედარებით ხშირია ნანა გვარიშვილისეულ „უბედური შემთხვევის“ თარგმანში. მოვიტანთ ერთ მაგალითს:

**Gazve** ნიშნავს ტომთა შორის სამხედრო შეტაკებას (ისლამის სახელით)

*“Şehvet dolu bakışlarının dini bütün adam tarafından yakalanmasını istemezdi. Onun için, gözlerini kadından sık sık kaçırıp duvarlardaki ”Mekke-i Münevvere Mükerreme”yle “Medine-i ”nin taşbasma resimlerinde gezdiriyordu. Bu yandaki duvarda Hazret-i Ali'nin Düldül'ü çeşitli gazvelerden çok acemice çizilmiş cenkler, gene Ali'nin Zülfika'ı...”(VV. s.81)*

*„პატარა ოთახი დიდი ჭრელი ნოხიო იყო მოგებული. კედლებს მექასა და მედინას სურათები ამშვენებდა. იქვე იკიდა წმინდა წინასწარმეტყველთა სურათები.”*  
*(უბედური შემთხვევა, გვ.51)*

თურქულ ტექსტში გამოყენებული სიტყვა „*gazve*” ქართულ თარგმანში საერთოდ არ არის, მთარგმნელს მხოლოდ წინადადების შინაარსი გადმოუტანია.



## 4.2. ვულგარიზმები და ჟარგონები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორჰან ქემალმა თავის რომანებში ფართოდ გაუღო კარი ქუჩის ლექსიკას. თურქულ ლიტერატურაში, ამ კუთხით, ძნელად თუ ვინმე შეედრება. ჰულჯი აქთუნჩის „დიდი ჟარგონული ლექსიკონი“ ორჰან ქემალის მაგალითებით მრავლად არის შემკული და ესეც ამას ადასტურებს. შესაბამისად, მთარგმნელების წინაშე იმთავითვე დადგა პრობლემა ამ სპეციფიკური ლექსიკის ადეკვატურად თარგმნისა. მთარგმნელები ამ ამოცანას თავს ართმევენ. კერძოდ, მეტწილად სიტყვასიტყვით თარგმნიან. მაგალითად, „უბედურ შემთხვევაში“ ასეა თარგმნილი: „*orospu*“ და „*deyyus*“ -უსინდისო და უნამუსო, *Süleymaniye'nin baldırı çıplağından*, - „სულეიმანიეს უბნის მაწანწალა“.

ანალოგიური შემთხვევები გვაქვს ი. გორამის თარგმანებში:

“*Ağzına yüzüne iyi bir sıç kahpe dölünün*” ცხვირ-პირი დაუნაყე! (ქალბატონის მამული, გვ.49)

“*Canını cehenneme yollardım.*„ „ჯოჯობეთში ეშმაკებთან გავამგ ზავრებდი,“ (უცხო ქალი, გვ. 292)

„*Caka satıp*“ ყოველ გამვლელს თვალწინ უტრიალებდა (“უცხო ქალი”, გვ.105)

“*Orospu çocuğu*„ როსკიპის ნაშიერი“ („ქალბატონის მამული“)

„*Köpek*“ „შე ძაღლო!“ („უცხო ქალი“, გვ. 56)

ხშირად მთარგმნელის ინტერპრეტაციებს ვხვდებით. ეს ის შემთხვევაა, როდესაც არ თარგმნის სიტყვასიტყვით, მაგრამ ესმის შინაარსი და მას მხატვრულად გადმოსცემს-დედნისეული აზრი არც იცვლება და არც იკარგება. მაგალითად, ქვემოთ მოტანილ ნიმუშში ვხედავთ, რომ თურქულ ტექსტში გამოყენებული „*Bok suratlı*“, „*ylıştığını*“ და „*it*“-ისგან ქართულ თარგმანში ორი სიტყვა არ ჩანს. („*it*“, „*ylıştığını*„) მაგრამ თურქულ ტექსტში გამოყენებული სიტყვა „*Bok suratlı*“ ქართულად გადმოთარგმნილია, როგორც „*რეგვენმა*“, რაც ფაქტიურად მხოლოდ შინაარსობრივი თარგმანია:??

**Bok suratlı:** ნიშნავს ამაზრზენს

**Yılışmak:** ნიშნავს პირფერობას

**İt:** ნიშნავს ძაღლს

*“Güllü ‘O ne?’ dedi içinden. ‘Kime göz etti o? Bana mı? **Bok suratlı.**  
İ... Yılışıyor... Senin bu **yılıştığını** Kemal görmeli şimdi, **it!** Sen  
Kemal’in kesip attığı tırnak olman be! Kemal senin gibileri ot diye  
yer...”(VV. s.50)*

*“გულუ აღშფოთდა, ამას როდი ელოდა! რა აკადრა ამ  
**რეგვენმა**, ვინა ჰგონია გულუ? ქემალმა გაიგოს ერთ;  
ბურდლლად არ ეყოფა, ეს საცოდავი, ქემალის მოწრილ  
ფრჩხილადაც არ ღირს...“(უბედური შემთხვევა, გვ.34)*

ანალოგიური შემთხვევები გვაქვს:

*“Sen bu ağızları git de benim gelin olacak **budalaya** yap! Ben **kül  
yutar mıyım?** Kaçın kurasıyım ben?”(EK. s.151)*

*„შენ ეგ ზღაპარი მიდი და იმ ჩემს **სულელ** რძალს უამბე! მე  
მაგ **ანკესზე არ წამოვეგები!** ასეთ რამეში ძალიან გამოქეცილი  
ვარ.“(უცხო ქალი, გვ. 303)*

თურქულ ტექსტში გამოყენებული ჟარგონები „**budala**“ და „**kül yutar mıyım?**“  
ქართულ თარგმანში „**სულელი**“ და „**ანკესზე არ წამოვეგები!**“ სახით გვხვდება რაც  
ზუსტი თარგმანია.

*“Hele kız, anlatıldığı gibi tevatür güzelse... İsterse çok güzel  
olmasın, onun **ne midersiz, eline eteğine ne pis** olduğunu  
biliyordu.”(HÇ. s.1)*

*„ქალი თუ ისე ლამაზია, როგორც ამბობენ , ან თუნდაც  
ულამაზო იყოს, იგი ხომ ქალების **მუსუსია**“(ქალბატონის  
**მამული**, გვ.3)*

ორიგინალ ტექსტში გამოყენებული „*midesiz, eline eteğine ne pis olduğunu*“ ქართულ თარგმანში ერთი სიტყვითაა გადმოცემული „*მუსუსი*“ და ამ ერთი სიტყვითაც ზუსტადაა გადმოცემულია ორიგინალ ტექსტში არსებული ჟარგონი.

სხვაგან მთარგმნელის უფრო თავისუფალ ინტერპრეტაციებს მეტად ვხვდებით. ვფიქრობთ, ამას აკეთებენ მკითხველის ინტერესის გათვალისწინებით, რომ უკეთ გაიგონ ტექსტი. მაგალითად, ორიგინალ ტექსტში არსებული სიტყვა „*soyka*“, ნიშნავს ტანისამოსს, რომელსაც მოკლულს ან ტყვეს ხდიან. ქართულ ტექსტში ეს სიტყვა გვხვდება, როგორც „*ოხერი*“, რაც ასოციაციურად ეხმაურება ორიგინალს.

*‘Bunca kız büyüttüm, hiçbiri günden bir güne asilik etmedi bana bu itten başka. Kime çekmiş bu soyka bilmem ki!’(VV. s.158)*

*“ამდენი გოგოს პატრონი მამა ვარ და უბატონოდ ხმის გაცემას რომელი გამიბედავს, ეს ოხერი ვისა ჰგავს, არ ვიცი, ღმერთმანი...”(უბედური შემთხვევა, გვ.97)*

**Cılık:**(*ჟარგონი*) ნიშნავს სისაძაგლის ჩადენას:

*‘Ne bileyim cilk olduğunu? Allah adamı yedik, bir cahillik ettik. Meğer herif...’(HÇ. s.175)*

*„რა ვიცოდი, თუ მიღალატებდა! ღმერთის მორწმუნე კაცია, საიდუმლოება გავანდე. შევცდი. ღმერთის მორწმუნე კი არა...“(ქალბატონის მამული, გვ.131)*

ორიგინალ ტექსტში ჟარგონი „*cilk*“ ქართულ თარგმანში გადმოცემულია „*მიღალატებდა*“, რაკი ეს სიტყვა ნიშნავს სისაძაგლის ჩადენას, აზრობრივად ეხმაურება ორიგინალს.

**Matah:**(*ჟარგონი*) დამცირების, შეურაცხყოფის მაწარმოებელია:

*“Genç görüneyim, güzel görüneyim diye mi ne, bıyıklarını da kazımış... Şah iken şahbaz olmuş matah.”(HÇ. s.21)*

„ახალგაზრდა და თანაც ლამაზი რომ გამოჩენილიყო, იმიტომ გაიპარსა ულვაშები, არა? ისედაც მაიმუნს ჰგავს!“ (უბედური შემთხვევა, გვ.19)

ორიგინალ ტექსტში ჟარგონი „*Matah*“ ქართულ ტექსტში გვხვდება, როგორც „*მაიმუნს ჰგავს*“. აზრობრივად ერთი და იგივეა.

ზოგჯერ ასეთი ინტერპრეტაციები რადიკალურ სახეს იღებს. მაგალითად, ორიგინალის ტექსტში სიტყვა „*Sütü bozuk*“ ქართულად ნათარგმნია, როგორც „*ყიზილბაში ხომ არ არის*“, და როგორც შინაარსობრივად, ასევე აზრობრივადაც სხვა რამეს ნიშნავს.

*Seyyare Bacı pek öyle namaz kılmaz, oruç tutmazsa da, gene de dini bütün geçinirdi.*

*‘Tövbe de kız.’ dedi. **Sütü bozuk** mu Allah vermeye?’ (VV. s.297)*

სეარე ბაჯი, მართალია, არ ლოცულობდა და არც მარხულობდა, მაგრამ ღმერთი კი სწამდა და გულიზარს გაუქყრა:

*‘ამით შენ ღმერთს სცოდავ, იცოდე. მართლა და ყიზილბაში ხომ არ არის, ის ღმერთ გამწყრალი?’ (უბედური შემთხვევა, გვ.181)*

არც თუ იშვიათად ვულგარიზმებსა თუ ჟარგონებს არ თუ ვერ თარგმნიან. მაგალითად, ვხედავთ, რომ თურქულ ტექსტის სიტყვები „*abayı yakmak*“, „*İt oğlu itin kızı*“, „*İbiği mi kızardı ne?*“ და „*kuyruğuna çalığı kıstırıp dehleyeceğim*“ ქართულ თარგმანში არ ჩანს.

**Abayı yakmak:** (ჟარგონი) სიტყვა- სიტყვით ითარგმნება, როგორც „მოსასხამს წვავს“, ხოლო მისი მნიშვნელობაა: „შეყვარებულია, იწვის, იდაგვის“, ქართულში კი: „სიყვარულის ცეცხლი მოედო“.

“... *Kız dediğin de neydi? Erkek kısmının zevk aracı! Kadınların güzellikleri erkekleri içindi. Sonra, erkeğin güzeli, çirkini, yakışıklısı, yakışsız da olmazdı. Erkek erkekti kadın da kadın. Oğlan gerçekten kıza **abayı yakar** da iş kıvamına girerse, Cemşir bir iki demez, kızını bu ufak tefek ama soylu delikanlıya verirdi. Vermeliydi de... Kız birden boy atıp gelişmiş, gemide azıya almıştı. Bir kız boy atıp **gemi de azıya aldı mı**, onu yapıp yapıp el oğluna vermeli, evde daha fazla tutmamalıydı. Zaten harıl harıl çalışıp para kazansa bile hayrı yoktu. Babasına on para olsun vermeğini Cemşir kaç kez söylemiş, kızdan yakınmıştı. İt oğlu itin kızı. Kazanıyor kazanmasına ya, koklatmıyor. Eskiden böyle değildi. Şimdi asi oldu. **İbiği mi kızardı ne? Münasibini bulsam, kuyruğuna çalıyı kıştırıp dehleyeceğim!**”(VV. s.51)*

„განა ქალი კაცისათვის გასართობ ნივთად არ გაჩენილა? ქალი ხომ მართო სიამოვნების საგანია, მით უფრო თუ ღმერთს სილამაზეც უბოძებია. ჯემშირ-ალა ამ კაცზე უკეთეს სასიძოს ვერციაპოვის. დიდი თავალერილი ვინმეა... არც მომწიფება აკლია. გოგო, ჩემო ბატონო, როგორც კი წამოიჩიტება, გაათხოვო უნდა, თორემ ასეთი ლამაზი და თავნება ქალიშვილი საროსკიპოს კარს ადვილად აგნებს. მართალია, თავს თვითონ ირჩენს, მაგრამ ისეა თავს გასული, მამას როდი ცნობს, ფულს ხომ არც აჩვენებს,- ყოველივე ამაზე, ნეტავ, ჯემშირი რას ფიქრობს?“*(უბედური შემთხვევა, გვ.35)*

აქ მთარგმნელის ინტერპრეტაციებს ვხვდებით, მკითხველს რომ უკეთ გაეგო ტექსტი, სწორედ იმიტომ. ვხედავთ რომ თურქულ ტექსტში „*İt oğlu itin kızı*“, „*İbiği mi kızardı ne?*“, „*gemiyi azıya almak*“ და „*kuyruğuna çalıyı kıştırıp dehleyeceğim*“ ქართულ თარგმანში არ ჩანს.

მსგავს მაგალითების მოტანა უხვად შეიძლება ი. გორამის მიერ თარგმნილ „ქალბატონის მამულიდან“:

*“Muzaffer Bey’in aç bir kurttan ne farkı vardı?,” (HÇ s.1)*

*“-----„ქალბატონის*

*მამული, გვ.3)*

ორიგინალ ტექსტში გამოყენებული „**aç bir kurt**“ ქართულ თარგმანში არ გვხვდება.

**Dürzü:** არამზადა, არაკაცი, უკეთური, უნამუსო.

*“Bir zamanlar Muzaffer Bey’in bir tarla yüzünden tokatladıği Hıdıroğlu Habip, “Cenab-ı Allah adaletini gösterirse, “dedi. “Eh... O zaman biliyorum ben! “Allah o günü bir göstereceksin de.” “Köyden sürü atalım dürzüyü!”(HÇ. s.27)*

*„ღმერთმა მუზაფერ-ბეის თავის ამჯავროზე მანახა და მაშინ მევი ცი!- ცოტა ხნის შემდეგ გულღვარდლიანად დასძინა,- ღმერთი ამ დღეს უთუოდ მომასწრებს!*

*“სოფლიდან გავაძევებო!„(ქალბატონის მამული, გვ.24)*

ორიგინალ ტექსტში გამოყენებული „**dürzü**“ ქართულ თარგმანში არ გვხვდება

**Zırto:**სულელი, ტუტუცი, ჩერჩეტი, ყეყეჩი.

*“Solunda, uyulamakta olan Yasin Ağa’ya baktı: “Kız istedikten sonra senin ne haberin olur zırto?” diye geçirdi. Kabak hafız da, “Avrat istemeye görsün,” demişti, “bir tabur asker vız gelir!”(HÇ. s.7)*

*„მძლოლის გვერდით ჩამოყვინთულ იასინ-აღას გადახედა და გაიფიქრა: „ქალმა თუ მოინდომა, შენ რას გაუგებ!„ ჰაფიზ-გოგრამ, რომელიც მათთან იჯდა. გუნებაში თქვა: „ქალი ნუ*

მოინდომებს, თორემ ცხრა უღელი ხარი ვერ  
დააკავებს“(ქალბატონის მამული, გვ.7)

ორიგინალ ტექსტში გამოყენებული სიტყვა „Zirto“ ქართულ თარგმანში არ  
გვხვდება.

სპეციფიკური ლექსიკის საინტერესო სახეს წარმოადგენს ე. წ. შერქმეული  
სახელები. აქაც ზოგჯერ სიტყვა(სიტყვა შეთანხმება) სიტყვასიტყვით არის  
ნათარგმნი (გადმოტანილი), მაგალითად:

„Kabak Hafız“ „ჰაფიზ-გოგრა“(ქალბატონის მამული, გვ.7)

“Hidroğlu Habip,” „ჰიდროღლუ ჰებიზი“(ქალბატონის მამული, გვ.83)

„Paşazade Hayrullah“ „ფაშა-ზადე ჰეირულლა (ქალბატონის მამული,  
გვ.120)

“Garson Rıza,” „გარსონი რიზა (უცხო ქალი, გვ.122)

“Kurt Celaller” მგელი ჯელალი (უცხო ქალი, გვ.213)

“Çingene Nedim” ბოშა ნედიმე (უცხო ქალი, გვ.308)

„უცხო ქალში“ ერთგან მხოლოდ საკუთარი სახელია თარგმნილი:

„Antepli Ökkeş“ „...მეზარხომებულმა ოქეშმა ხელები ერთმანეთს  
შემოჰკრა. („უცხო ქალი“, გვ.60)

ამ რომანის თარგმანში შერქმეული სახელი, იშვიათად მაგრამ მაინც, საერთოდ არ  
არის თარგმნილი, გამოტოვებულია:

“Kömürcü Kasım’ın dükkanıysa, Kurt Celaller, İhsan ağabeylerle  
doluydu.”(EK. s.264)

„მენახშირე კასიმის დუქანში კი მუდამ იჰსანისა და  
ჯელალისთანა გაიძვერები იკრიბებიანო, გაიფიქრა“ (უცხო  
ქალი, გვ.216)

შერქმეული სახელი „Kurt Celaller“ არაა თარგმნილი.

### 4.3. შერქმეული სახელები

სიტყვა სიტყვით არის ნათარგმნი მნიშვნელობა შენარჩუნებულია

*“Taneleri fındık iriliğindeki kehribar tespini çıkırdatarak Kuruköprü’de, **Berber Kürt Reşit’in** dükkanından içeri giren Cemşir, kapıda bir an durdu.”(VV. s.1)*

*„ქურუქოფრუსთან მღებარე ქურთი რეშიდის სადალაქოში, ჯემშირ-აღა თხილზე უფრო მსხვილი ქარვის კრიალოსნის მარცვლა- მარცვლით შევიდა და კართან დადგა“ (უბედური შემთხვევა, გვ.3)*

თურქულ ტექსტში „**Berber Kürt Reşit**“ და ქართულ ნათარგმანში „**ქურთი რეშიდის სადალაქო**“ ერთნაირადაა გადმოცემული შერქმეული სახელები.

*“Cemşir, Berber Reşit, **Irgatçıbaşı Memo**, dükkanın arka bölümünde, sağ başta oturmuşlardı.”(VV. s.13)*

*„ჯემშირ-აღა, ქურთი რეშიდი და მამო ზედამხედველი დუქანში შევიდნენ და კუთხეს მიაშურეს“ (უბედური შემთხვევა, გვ.12)*

თურქულ ტექსტში „**Irgatçıbaşı Memo**“ და ქართულ ნათარგმანში „**მამო-ზედამხედველი**“ ერთნაირადაა გადმოცემული შერქმეული სახელები.

*„**Kör Tahir**, ağabeyi Hamza’yla çırçırlarda çalışırlardı.”(VV. s.37)*

*“**ბრუციანი თაჰირი!**“, წამოიყვირა და ქემალის ზურგს აეფარა. თაჰრი მისი ძმის ახლო ამხანაგი იყო და ქარხანაშიც ერთად მუშაობდნენ“ (უბედური შემთხვევა, გვ.25)*

თურქულ ტექსტში „**Kör Tahir**“ ქართულ თარგმანში „**ბრუციანი თაჰირი**“ მთლად ზუსტად არაა თარგმნილი. რადგან „**Kör**“ ნიშნავს ბრმას, „**ბრუციანი**“ კი სხვა მნიშვნელობის მატარებელია.



“Birden uyandı. Ter içindeydi. Gerçekten de. **Kabak Hafız vardı be!** Bu adam isterse din, iman, Allah, kitap yoluyla Yasin Ağd’ı yola getirebilirdi, hem de of gibi!”(VV. s.65)

„უცებ **ჰაფიზ-გოგრა** გაახსენდა და სიხარულით ქამოჯდა... თუ უშველის, ის უშველის ნამდვილად... სად იყო აქამდ, რატომ არ მოაგონდა? **ჰაფიზ-გოგრა** იმ იასინ-აღას სული და გულია, თვალში რომ ჩაუვარდეს, ხელს არ ამოისვამს“(უბედური შემთხვევა გვ.42)

ორიგინალი ტექსტი „**Kabak Hafız**“ და ნათარგმნი „**ჰაფიზ-გოგრა**“ სიტყვა სიტვით შეესაბამება ერთმანეთს. აჯობებდა იგივე წყობა დარჩენილიყო, ანუ „**გოგრა ჰაფიზი**“.

“Fellah oğlu” dedikleri **Arabuşığı Kemal**, o sıra makine dairesinde, ana makinenin yanındaki tahta sandığa oturmuş, başını avuçları içine almıştı.”(VV. s.128)

„ამ დროს კი ფაბრიკის მანქანების მზეთავი **არაბი ბიჭი-ქემალი** მანქანის კიდეში მიდგმულ ხის ყუთში იჯდა, ნიდაყვს დაყრდნობოდა და თავი ხელებში ჩაერგო.“  
(უბედური შემთხვევა გვ.81)

ორიგინალი ტექსტი „**Arabuşığı Kemal**“ და ნათარგმნი „**არაბი ბიჭი-ქემალი**“ სიტყვასიტვით შეესაბამება ერთმანეთს.

თარგმანი არ არის

“Fatum’u hatırladı birden. **Arabuşığı Dakur Emmi’nin** kızı, komşu Fattum. Fena kız değildi belki, ama hoşanmıyordu.”(VV. s.137)

“**ბიჭმა** ფიქრი ფატუზე გადაიტანა. იგიმეზობლის თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის **არაბი გოგო** იყო, შესახედავად რა უჭირდა, ჩაფუნთულებული იყო, მაგრამ **ქემალს** არ იზიდავდა.”(უბედური შემთხვევა გვ.86)

ორიგინალი ტექსტი „*Arabuşığı Dakur Emmi*“ ქართულ თარმანში არ არის.

#### 4.4. ანდაზები

ანდაზა ყველა ხალხის, ერის კულტურაში უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს. მასში გამოიხატება საუკუნეების მანძილზე ხალხის მიერ დაგროვილ ცოდნა და როგორც „კულტურული ანდერძი“ ჩვენამდე მოტანილი ცოცხალი მემკვიდრეობაა.

მრავალი მკვლევრის მოსაზრებით, ხალხის ენობრივი შემოქმედების არც ერთ ფორმაში ისეთი ძალითა და მრავალი კუთხით არ ვლინდება მისი გონება, ისე კრისტალურად არ ლაგდება მისი ისტორია, საზოგადოებრივი წყობა, ყოფა მსოფლმხედველობა, როგორც ანდაზებში. ანდაზები მოიცავენ ადამიანის არსებობისა და მოღვაწეობის ყველა სფეროს. ამიტომ არის, რომ ანდაზა ერთნაირად საინტერესოა მეცნიერების სხვადასხვა დარგისთვის: ფოლკლორისტიკის, ლინგვისტიკის, ეთნოლოგიისათვის, ლიტერატურათმცოდნეობისათვის, ფსიქოლოგიისათვის, ფილოსოფიისათვის. უფრო მეტი, სახეზე გვაქვს ანდაზის შესწავლელი სპეციალური დისციპლინა: პარემიოლოგია. ამდენად, სულაც არ არის გასაკვირი, რომ დაგროვდა უზარმაზარი თეორიული ლიტერატურა ანდაზის, როგორც ისტორიულ-კულტურული მოვლენის შესახებ. გამოითქმება ერთმანეთისაგან განსხვავებული, ხშირად ურთიერთ დაპირისპირებული შეხედულებები ანდაზის გენეზისის, სტრუქტურის, სემანტიკის, ფუნქციის შესახებ. ჩვენი ნაშრომის ფორმატიდან და მიზანდასახულობიდან გამომდინარე, ჩვენ არ შევუდგებით ზემოთ აღნიშნული საკითხების მიმოხილვას, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ანდაზისა და მისი თარგმნის საკითხი არანაკლებ აქტუალურია თარგმანის თეორიისთვის. საქმე იმაშია, რომ სხვადასხვა ენაში ანდაზები ერთმანეთთან ბევრ საერთოს ავლენს, რაც, უპირველეს ყოვლისა, სემანტიკაში შეინიშნება. ეს იმით აიხსნება, რომ სხვადასხვა ეთნოსისათვის გარკვეულწილად მსგავსია სოციალურ-ისტორიული პირობები, გარე სამყარო, ცხოვრებისეულ პირობებზე შეხედულებათა სისტემა. რაც შეეხება განსხვავებას, ის ასახვის ფორმაში გამოიხატება. ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვა ეთნოსის ანდაზებში განსხვავებულად აისახება, რადგან

განსხვავებულია ენობრივი სტრუქტურები და აზროვნების ნორმები. ნათქვამი, რასაკვირველია, შეეხება თურქულ და ქართულ ანდაზებს, რაც ასახვას პოულობს ორჰან ქემალის რომანების ქართულ თარგმანებშიც. შესაბამისად აქ ანდაზების თარგმნის რამდენიმე ძირითადი ფორმა იკვეთება, კერძოდ:

სიტყვასიტყვით არის ნათარგმნი, მნიშვნელობა შენარჩუნებულია

‘**Kedinin boynuna ciğer asılmaz.**’ სიტყვასიტყვით ნიშნავს: „კატის კისერზე ღვიძლი არ დაიკიდებაო“. სინონიმური ანდაზაა. „მამალს მელიის მეგობრობა არ გამოადგებაო?“

„*Vallaha karışmam Ramazan. **Kedinin boynuna ciğer asılmaz!**”  
(VV. s.287)*

„*იცოდე, რამაზან, მერე გვიან იქნება! - მეგლს გულზე კრავი რომ ჩამოკიდო, გაგიგონია?*” (უბედური შემთხვევა, გვ. 177)

როგორც ვხედავ, თურქული ანდაზა „**Kedinin boynuna ciğer asılmaz!**” ქართულად ითარგმნა, როგორც „**მეგლს გულზე კრავი რომ ჩამოკიდო**” მიუხედავად იმისა, რომ ფორმით სხვადასხვაა, მნიშვნელობა არ იკარგება.

‘**Şeriatın kestiği parmak acımaz.**’ – „შარიათით მოჭრილი თითი მტკივნეული არ არის“, ნიშნავს იმას, რომ თუ კანონი მიიჩნევს რომ სასჯელი სამართლიანია, მას უნდა დავემორჩილოთ.

“*Köylü arasında hır çıktı mı, çözümlenmede son derece pratik bir yol tutmuştu. Hır güre düşenlerden hangisi ötekinden zenginse, elbette o haklıydı. Çünkü şeriatın kestiği parmak acımazdı. Yetinilmiyorsa, mahkemelerin yolu kapalı değildi ya!*”(VV. s.66)

“*ჰაფიზ-გოგრას მართლმსაჯულების ასეთი კანონი ჰქონდა შემოღებული: თუ რომელიმე მხარე საკითხის გადაჭრას მოითხოვდა, დააკმაყოფილებდა იმ მხარეს,*

რომელიც მდიდარი იყო, და დასმენდა: ღარიბი თავისთავად წაგებული და დამნაშავეაო. ასეთი იყო ამ იმამის ხელში სოფლის შარიათის სამსჯავრო. იგი სრულ მორჩილებას მოითხოვდა და ხშირად შეახსენებდა ყველას ყურანის კანონს- შერიათის მიერ მოჭრილი თითი არ უნდა სტკენოდათ. შეეძლოთ სასამართლოსათვის მიემართათ, იმამი მათ იქით მიმავალ გზას როდი უღობავდა.”(უბედური შემთხვევა, გვ.43)

ზემოხსენებულ ტექსტში გამოყენებული თურქული ანდაზა “*şeriatın kestiği parmak acımaz,*” ქართულ ვარიანტში „*შერიათის მიერ მოჭრილი თითი არ უნდა სტკენოდათ.*” სიტყვა სიტყვით არის ნათარგმნი, მნიშვნელობებითაც კი ქართულ-თურქული ანდაზები ერთი და იგივეა.

‘*Besle kargayı, oysun gözünü*’ უბეში გველი გამიზრდია

„*Eee... Meşhur kelamdır, ne derler? Besle kargayı, oysun gözünü. Dur hele... Yasin ağa meydanlarda yok... Yoksa şehre mi gitti?*”(VV.s.298)

„ტყუილად არ თქმულა ანდაზა: - *ზარდე, ზარდე ყვავი, ამოგიგდოს თვალიო!*- იასინ-აღა რომ არ ჩანს, სად არის, თუ იცი, ქალაქში ხომ არ წასულა?”(უბედური შემთხვევა, გვ.182)

თურქულ ტექსტში გამოყენებულია ანდაზა „*Besle kargayı, oysun gözünü*“; რომელიც მთარგმნელს სიტყვა სიტყვით უთარგმნია „*ზარდე, ზარდე ყვავი, ამოგიგდოს თვალიო*“. მთარგმნელი არ იყენებს შინაარსობრივად მსგავს ქართულ ანდაზას „უბეში გველი გამიზრდია“.

‘**Ne oldum dememeli, ne olacağım demeli**’ რა ვართ, ნუ კი იტყვი, რა უნდა ვიყოთ, ისა თქვი.

*“Amanı zamanı yok. Zulmün binası olmaz. Zulüm ile abad olan, encamı berbat olur. **Ne oldum deme, ne olacam de.**” (VV. s.10)*

*“დაანებე, დაანებე, ასე არ შეიძლება. მშრომელი ადამიანების ამდენ ჩაგვრას ბოლო არ უნდა ექნეს, რა ვართ, ნუკი იტყვი, რა უნდა ვიყოთ, ისა თქვი... (უბედური შემთხვევა, გვ.10)*

თურქულ ტექსტში არსებული *“Ne oldum deme, ne olacam de”* ანდაზა მთარგმნელს სიტყვა-სიტყვით უთარგმნია „*რა ვართ, ნუკი იტყვი, რა უნდა ვიყოთ, ისა თქვი*“ და შინაარსობრივი დატვირთვა ზუსტად ერთნაირია.

‘**Oğlan dayıya, kız halaya çeker.**’ ბიჭი ბიძის, გოგო მამიდას დაემსგავსებაო.

*“Niçin dayısı gibi değildi? **Kız halaya, oğlan dayıya çeker derlerdi. Hani? Niye çekmemiştin? Dayısı gibi olsaydı, ne Güllü, ne de Yasin Ağa, ne Gülizar azarlayamazlardı. Şimdi her önüne gelen tersleyiveriyordu. Sonra dayısı. Dayısı haydi neyse... Kız?.. Kız da neyse. Gülizar’la Yasin Ağa’ya ne oluyordu?” (VV. s. 22)***

*“ეჰ, რატომ ბიძამისს არ დაემსგავსა?! გოგო- დე(ი)დას, ბიჭი- ბიძას ჰგავსო, იტყოდნენ... ბიძამისს რომ ჰყავდეს, მაშინ არც გულუ, არც იასინ- ალა და არც გულიზარი გააქილიკებდნენ. ახლა ყველას მონა- მორჩილია, საწყალი რამაზანი. კარგი, ბიძა ბიძაა, მაგრამ გულიზარსა და იასინ-ალას რა მოსდით?!” (უბედური შემთხვევა, გვ.20)*

თურქულ ტექსტში არსებული *„Kız halaya, oğlan dayıya çeker derlerdi“* ითარგმნა, როგორც: *„გოგო- დე(ი)დას, ბიჭი- ბიძას ჰგავსო,* უნდა აღინიშნოს რომ, აღნიშნული თარგმანი არასწორია და ნაცვლად დეიდისა უნდა იყოს მამიდა. სხვა მხრივ, შინაარსობრივი დატვირთვა ერთნაირია. სიტყვასიტყვითი თარგმანია.

**‘İki cambaz bir ipte oynamaz.’** ორი ჯამბაზი ერთ ბაგირზე ვერ ითამაშებს“.

*“Zekayi anlamıştı. Bozuntuya vermedi. Bir ipte oynayan iki cambaza benziyorlardı. O da Muzaffer’in uyumasını bekliyordu. Bekleyecekti de. Sinirlerinde dehşetli bir gerilme, içinde sonsuz bir arzu. İsviçreli bir bayan kafasında soyunup duruyordu. Çıldıracaktı.”(VV. s.196)*

*“ზექაი-ბეი მიუხვდა. ე.ი. ერთ ბაგირზე ორი ჯამბაზი თამაშობდა. იგი მუზაფერ-ბეის დაძინებას უცდიდა. დაიცდიდა კიდევ. აღელვება დაეტყო. ის ლამაზი უცხოელი ქალბატონი როგორმე ხელში უნდოდა ჩაეგდო. ეს სურვილი რომ არ აისრულოს, გაგიჟდება კიდევ...”(უბედური შემთხვევა, გვ.149)*

ზემოხსენებულ ტექსტში გამოყენებული ანდაზა **„İki cambaz bir ipte oynamaz.”** ქართულ ტექსტში სიტყვა სიტყვითაა თარგმანი, მაგრამ ზმნა თურქულ ტექსტში უარყოფას გამოხატავს, ქართულ ტექსტში კი აწმყოში განსაზღვრულ მოქმედებას: **“ერთ ბაგირზე ორი ჯამბაზი თამაშობდა.”**

**‘Öfke ile kalkan zıyanla (zararla) oturur.’** „ის ვინც გაბრაზებული დგება, დაზარალებული რჩება“.

**‘Karda yürüyüp (gezip) izini belli etmemek.’** „თოვლში კვალის დაუტოვებლად გავლა“

*“Sahiden kurt gibi adamdı babası... Zararla oturmamak için, öfkeyle kalkmaz, karda gezer izini belli etmezdi. Kendi öyle yapcakti.”(VV.s.294)* *“მართლაც რომ მგელივით კაცი იყო მამამისი... თოვლში ისე გაივლიდა, კვალს არ დატოვებდა. ისიც ასე უნდა მოქცეულიყო, ისე რომ ყველას გაკვირვებოდა...” (უბედური შემთხვევა, გვ.225)*

ზემოხსენებულ ტექსტში მთარგმნელს ორი ანდაზიდან მხოლოდ ერთ-ერთი აქვს ნათარგმნი. „*Öfke ile kalkan ziyanla (zararla) oturur.*”- ეს ანდაზა არ უთარგმნია, ხოლო *‘Karda yürüyüp (gezip) izini belli etmemek.*’ ზუსტად თურქული ტექსტის შესატყვისია. „*თოვლში ისე გაივლიდა, კვალს არ დატოვებდა*“

*‘Gönül kimi severse güzel odur.*’ გულს ვინც უყვარს, ლამაზიც ის არის.

*“Sana bana b... yemek düşer. Biz kaç paralık it oluyoruz da işine karışıyoruz onun? Onun akli bizimki kadar ermez mi? Gönül kimi severse güzel o dememişler mi?”(VV. s.327)*

*“მე და შენ... ჭამა-სმაზე უნდა ვიფიქროთ. ჩვენ რამდენი ვინმე შემოგვყურებს და ჩვენც მათ პირად საქმეებში ვერევი. მათ ჩვენდენი ჭკუა-გონება არა აქვთ თუ? გულს ვინც უყვარს ლამაზიც ისააო, ნათქვამია...”(უბედური შემთხვევა, გვ.250-251)*

ზემოხსენებულ თურქულ გამოყენებული ანდაზა „*Gönül kimi severse güzel o dememişler mi?*” შინაარსობრივი დატვირთვით ქართული ტექსტის მსგავსია, ასევე თარგმანიც სიტყვა სიტყვითაა შესრულებული.

*‘Fala inanma falsız kalma.*’ მკითხაობა არ დაიჯერო, მკითხავის გარეშე ნუ დარჩები.

*“Fala inanma falsız kalma dedikleri gibi, doktora inananmayacak, doktorsuz da kalmaycağı. Neden perhize mecbur olacak?”(VV. s.312)*

*“უმკითხაობა არ ვარგა, მაგრამ მკითხავსაც არ უნდა მიენდო. სწორი ნათქვამია, უეჭიმოდაც არ ვარგა, მაგრამ არც მას დაეჯერება ყველაფერი. რატომ უნდა დაეცვა დიეტა?“(უბედური შემთხვევა, გვ.230)*

თურქული ანდაზა „*Fala inanma falsız kalma*” ქართულ ტექსტში გადმოტანილიაადექვატური აზრობრივი დატვირთვით. „*უმკითხაობა არ ვარგა, მაგრამ მკითხავსაც არ უნდა მიენდო*“

ანდაზები მეტწილად სიტყვასიტყვით არის ნათარგმნი და მნიშვნელობა შენარჩუნებულია იბრაიმ გორაძის მიერ თარგმნილ ტექსტებშიც:

**‘Maşa varken elini ateşe sokma.’** როცა მაშაა, ცეცხლში ხელი არ ჩაყო

*“Aksakallı, tecrübeli ihtiyar, “Aferin,” diyordu. “Böyle işte. Maşa dururken ateşi ne diye elletutmalı?”(HÇ. s.262)*

*„თეთრწვერა გამოცდილმა მოხუცმა მათ უთხრა: “ძალიან კარგი, ასე უნდა. როცა მაშა გვაქვს, ნაკვერჩხალს ხელით ნუ ავიღებთ!”(ქალბატონის მამული, გვ.200)*

ზემოხსენებულ ტექსტში ანდაზა *„Maşa dururken ateşi ne diye elle tutmalı?“* ქართულ თარგმანში სიტყვასიტყვით გვხვდება, *„როცა მაშა გვაქვს, ნაკვერჩხალს ხელით ნუ ავიღებთ!“*

**‘Hancı sarhoş yolcu sarhoş’** ვინ რა გააკეთა, ვინ რა ქნა, არავინ იცის.

*“Hancı sarhoş, yolcu sarhoştı. Baskın aniden olmuş, neye uğradıklarını anlayamamışlardı. Kimse kimsenin yardımına koşacak halde değildi. Başta genç avukat, ne Berber Reşit, ne Zekai, ne Hamza, ne Cemşir, ne Seyyare Bacı, ne de başkaları... Herkes kendi canının derdine düşmüştü.”(HÇ. s.353)*

*„სახლის პატრონიც და მისი სტუმრებიც მთვრალეები იყვნენ. თავდასხმა მოულოდნელად მოხდა და რა უნდა ექნათ, ვერ მიმხვდარიყვნენ. ერთმანეთზე დახმარების თავიც არ ჰქონდათ, ახალგაზრდა ადვოკატს, დალაქ რეშიდს, ზეჟაი-ბეის, ჰამზას, ჯემშირს, სეიარე ბაჯის, ყველას თავისი დარდი ჰკლავდა“ (ქალბატონის მამული, გვ.271)*

ზემოხსენებულ ტექსტში ანდაზა *„Hancı sarhoş yolcu sarhoş“* ქართულ თარგმანში სიტყვასიტყვითაა გადმოცემული *„სახლიც პატრონიც და მისი სტუმრებიც მთვრალეები იყვნენ“*



‘Alna yazılan başa gelir.’ რაც შუბლზე გაწერია, ის მოგვივა.

*“Kabak Hafız. “Sıkma can mı sultanım!” dedi. “Alınmıza levhi ezelde yazılanı çekiyoruz. Bu da bir vazife-i rabbani! Ne yapalım?”(HÇ s.204)*

*“ნუ სწუხარ, საყვარელო,- უთხრა ჰაფიზმა, რაც შუბლზე გვეწერა, ის მოხდა. ყველაფერი ღმერთის ნებითაა, რა ვუყოთ?“(ქალბატონის მამული, გვ.155)*

ზემოხსენებულ ტექსტში ანდაზა *“Alna yazılan başa gelir,”* ქართულ ტექსტში სიტყვასიტყვითაა თარგმნილი *“რაც შუბლზე გვეწერა, ის მოხდა,”* მაგრამ გრამატიკული დროის გაგება არეულია.

**Büyük lokma ye büyük söz söyleme:** დიდი ლუკმა გადაყლაპე, დიდი სიტყვა არ თქვა. (დიდი სიტყვის თქმას დიდი ლუკმის გადაყლაპვა ჯობიაო)

*“...Bu insanoğlu ne demeye iri lokma yutmaz da iri laf söyler acep? Bösböyük başıyla, utanmıyor da.”(HÇ. s.166)*

*„ის კაცი რატომაა ასეთი, დიდ ლუკმას არ გადაყლაპავს და ბრტყელ- ბრტყელ სიტყვებს კი ამბობს!... თავისი ცარიელი თავისა არ რცხვენია?“(ქალბატონის მამული. გვ.124)*

ორიგინალ დიალოგში ანდაზა *„iri lokma yutmaz da iri laf söyler acep?“* ქართულ ტექსტში სრული თანხმობითაა თარგმნილი: *„დიდ ლუკმას არ გადაყლაპავს და ბრტყელ- ბრტყელ სიტყვებს კი ამბობს!“*

‘Allah gümüş kapıyı kaparsa altın kapıyı açar.’ ღმერთი ვერცხლის კარს თუ დაკეტავს, ოქროს კარს აღებს

*“En kısa zamanda İstanbul’a, ağabeyinin yanına dönecekti! Zaten irtibat halindeydiler. Ağabeyi, avukat kocasından dul kalan kız*

*kardeşini sabırsızlıkla bekliyordu. Gelmeliydi. Ölenle ölünmezdi.*

***Allah bir kapıyı kapadıysa başka bir kapıyı açardı.***”(EK. s.386)

„იგი მალე სტამბოლში, თავის უფროს ძმასთან აპირებდა დაბრუნებას. და-ძმას ერთმანეთში მიწერ-მოწერა ჰქონდათ. ძმა უდროოდ დაქვრივებული დის დაბრუნებას მოუთმენლად ელოდა. აბა, ნერიმანი მიწაში ხომ არ ჩაჰყვებოდა მკვდარს? ცოცხალი იყო და ცხოვრება თავისას მოითხოვდა... თანაც, **ღმერთმა ერთი კარი თუ დაუხშო, მეორეს გაუღებდა**“ (უცხო ქალი, გვ. 318)

ორიგინალ ტექსტში ანდაზა „*Allah bir kapıyı kapadıysa başka bir kapıyı açardı.*” ქართულად ასეა თარგმნილი „**ღმერთმა ერთი კარი თუ დაუხშო, მეორეს გაუღებდა.**” ანდაზა სიტყვასიტყვით გადაუთარგმნია, შედარებისას ვხვდებით აზრობრივ ერთიანობას.

‘*İtin duası kabul olsaydı gökten kemik yağardı.*’ ყოვლადღლიერი რომ ძაღლის ლოცვებს უსმენდეს, მაშინ ციდან ძვლები ჩამოცვიოდა.

“*Köpek. İtin duası kabul olsaydı, gökten kemik yağardı...*”(EK. s.116)

„ძაღლო, ყოვლადღლიერი რომ ძაღლის ლოცვებს უსმენდეს, მაშინ ციდან ძვლები ჩამოცვიოდა“ (უცხო ქალი, გვ.93)

ორიგინალი ტექსტის „*İtin duası kabul olsaydı, gökten kemik yağardı.*“ „*ყოვლადღლიერი რომ ძაღლის ლოცვებს უსმენდეს, მაშინ ციდან ძვლები ჩამოცვიოდა.*” ანდაზა ქართულ ენაშიც გვხვდება დაშინაარსით თურქული ანდაზის იდენტურია.

‘*Kör satıcının kör alıcısı olur.*’ ბრმა გამყიდველს ბრმა მუშტარი ეყოლება

“*Ana sözü dinleseydin, yolun kisasından dönerdik biter giderdi. Dinlemedin. Az mı oğlum dedim, yavrum dedim. Bu kız senin*

*dengin değil, yol yakinken defet başından. Kör bakanın kör alıcısı olur. O da kendine münasibini bulur, dedim, nafile...”(EK. s.101)*

„დედის სიტყვა რომ შეგესმინა, მოკლე გზიდან დავბრუნდებოდით და ამ საქმეს დროზე მოვრჩებოდით. შენ კი არ დამიჯერე. რამდენჯერ გითხარი, შვილო, ეს ქალი შენი შესაფერი არ არის- მეთქი. მაზჰარ, ჯობია, ეს დედაკაცი ახლავე მოიშორო თავიდან... ხომ გირჩევდი, **ბრმა გამყიდველს ბრმა მუშტარი ეყოლება** და ისიც მისთანას ნახავს- მეთქი. გითხარი და არ დამიჯერე“*(უცხო ქალი, გვ.81)*

თურქული ანდაზა „*Kör bakanın kör alıcısı olur.*“ ქართულად სიტყვასიტყვით უთარგმნია მთარგმნელს-„**ბრმა გამყიდველს ბრმა მუშტარი ეყოლება.**“ და აზრი, სემანტიკაც შენარჩუნებულია.

‘*Ana gibi yar, Bağdat gibi diyar olmaz.*’ დედაზე უფრო ახლობელი და ბალდადზე უფრო მშვენიერი და თვალწარმტაცი მხარე არსად არ არის.

*“İtikatsızlık iyi şey değil. İtikatsızlıktan her türlü fenalık doğar. Dinle beni Mazhar: Ana gibi yar, Bağdat gibi diyar olmaz! Sen işinde gücündeyken, karın olacak küp uçuran, avuç dolusu paralar sarfederek büyüçülere eşek dilleri yazdırıyor sana eşek dilleri!”(EK. s.98)*

„ადამიანი ურწმუნო არ უნდა იყოს. რწმენის დაკარგვა ყოველგვარი უბედურების საწინდარია, ჩემო მაზჰარ. მისმინე, შვილო, დედაზე უფრო ახლობელი და ბალდადზე უფრო მშვენიერი და თვალწარმტაცი მხარე არსად არ არის. შენ შენი საქმითა ხომ დაკავებული, აქ კი ეს შენი შერეკილი ცოლი კუდიანებთან იმდენ ფულს ხარჯავს შენი მოკადოებისათვის, რომ...“*(უცხო ქალი, გვ. 79)*

ზემოხსენებული ანდაზა „*Ana gibi yar, Bağdat gibi diyar olmaz!*“, რომელიც ქართულად ნათარგმნია როგორც: „დედაზე უფრო ახლობელი და ბალდადზე უფრო

მშვენიერი და თვალწარმტაცი მხარე არსად არ არის” ქართულ ენაში არ მოიპოვება, მთარგმნელება ის სიტყვასიტყვით გადაუთარგმნიათ.

‘**Beterin beteri var.**’ “უარესზე უარესიაო,

*“Beterin beteri dedikleri bu olmalı!”(EK. s.6)*

*“უარესზე უარესიაო, რომ იტყვიან, სწორედეს უნდა იყოს.”(უცხო ქალი, გვ. 6)*

თურქული ანდაზა „**Beterin beteri var**” ქართულად “**უარესზე უარესიაო**,” ასე უთარგმნია, ქართულ ენაში ხშირად გამოიყენება.???

‘**Kendi düşen ağlamaz.**’ თავისით წაქცეული არ ტირის.

*“İstanbul’dan sevgili Sami’dendi. Hastalığının artmasına üzülüyordu. **Kendi düşen ağlamazdı.** Bir hiç yüzünden, kalkıp oaralara gitmişti.Cezasını çeksin diyecekti amma, gene de dili varmıyordu. Mukavelesi bittiyse hemen kalkıp gelsindi.”(EK. s.179)*

*„სტამბოლიდან მისი შეყვარებული სამი იწერებოდა. იგი ნესრინის ავადმყოფის გამწვავების გამო ძალიან წუხდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, თავისი ნებით წაქცეული ვერ იტირებდა... სულ უბრალო ამბის გამო ადექი და წახვედიო. ახია შენზე. ახლა იწვალეო, უნდოდა მოეწერა, მაგრამ მაინც თავს იკავებდა. ბოლოს, ხელშეკრულება დაგიმთავრდება თუ არა, მაშინვე წამოდიო, იწერებოდა სამი“(უცხო ქალი, გვ.145)*

ორიგინალ ტექსტში ანდაზა “**Kendi düşen ağlamaz,**” ქართულ თარგმანში სიტყვასიტყვითაა თარგმნილი „**თავისი ნებით წაქცეული ვერ იტირებდა**“

‘**Gönül ferman dinlemez.**’ გულს ვერაფერს უბრძანებ!...

*“Ne yapayım diyor, karımda yıllar yılı arayıp da bulamadığımı onda buldum. Düşünüyorum, haksız değil. **Gönül bu Ferman dinler***

*mi? Sen kadın olup kocanı avucunun içine alamazsan, suç benim mi?”(EK. s.159)*

„რა უნდა ვქნაო, მითხრა, რაც წლების მანძილზე ცოლისგან ვერ ვნახე, იმ ქალში ვიგრძენიო... ამ საქმეს ახლა რომ ვუკვირდები, მაზჰარი არ ტყუის. გულისა და გრძნობის ამბავია... გულს კი ვერაფერს უბრძანებ!... შენ რომ ქალი ხარ და ქმარს ვერ ასიამოვნებ... ხელში ვერ დაიჭერ და ვერ დაიმორჩილებ, ესეც ჩემი ბრალია?„(უცხო ქალი, გვ.128)

ორიგინალ ტექსტში ანდაზა *“Gönül ferman dinlemez”* მთარგმნელს ამგვარად გადმოუტანია *“გულს კი ვერაფერს უბრძანებ!„*

**‘Her koyun kendi bacağından asılır.’** ყველა ცხვარი თავისივე ფეხით ჩამოიკიდება.

*O, çok iyi kalpli bir kızdır, dedi. Ciğerlerinden hasta. Başından acı bir macera geçmiş kocası bir oyuncu kıza kapılıp kendisini terk etmiş de...*

**“Olabilir. Her koyun kendi bacağından asılır.(EK. s.198)**

„ძალიან გულკეთილი ქალია,-მიუხედა ბარის პატრონი,- ფილტვებით არის დაავადებული. ბევრი სიმწარე აქვს გამოვლილი. მისი ქმარი ვიღაც მოცეკვავა, ქალს გადაჰკიდებია და ეს მიუტოვებია..

**“შესაძლებელია. ყველა ცხვარი თავისივე ფეხით ჩამოიკიდება ჩანგალზე..”(უცხო ქალი, გვ.160)**

ზემოხსენებულ ტექსტში ანდაზა *“Her koyun kendi bacağından asılır„* აზრობრივად მსგავსია ქართული თარგმანისა. **“ყველა ცხვარი თავისივე ფეხით ჩამოიკიდება ჩანგალზე.”**

‘Uzaktan davulun sesi hoş gelir.’ დოლის ხმა შორიდან სასიამოვნოდ ისმის,

*“Öyle söylemeyin kızım. Uzaktan davulun sesi hoş gelir.”(EK. s.245)*

*„ეგრეც ნუ იტყვი, ჩემო გოგონი! დოლის ხმა შორიდან სასიამოვნოდ ისმის, მაგრამ...”(უცხო ქალი, გვ.199)*

ორიგინალი და თარგმნილი ტექსტების შედარებისას თურქული ანდაზა *“Uzaktan davulun sesi hoş gelir,”* ქართულად სიტყვასიტყვითაა თარგმნილი. *“დოლის ხმა შორიდან სასიამოვნოდ ისმის.”*

“Düşmez kalkmaz bir Allah.’ უცოდველი მხოლოდ ღმერთია

*“Aldırma, dedi. İnsan olanın başından her şey geçer. Düşmez kalkmaz bir Allah!”(EK. s.455)*

*„ნუ ჯავრობ, ნაზან, დამშვიდდი. ადამიანს ქვეყნად რა არ მოსვლია. ამ ცოდვილ ქვეყანაზე უცოდველი მხოლოდ ღმერთია“ (უცხო ქალი, გვ.374)*

ორიგინალი და თარგმნილი ტექსტების შედარებისას თურქული ანდაზა *„Düşmez kalkmaz bir Allah“* აზრობრივად მსგავსია ორიგინალისა *„ამ ცოდვილ ქვეყანაზე უცოდველი მხოლოდ ღმერთია“*

ქართული თარგმანი არ არის შესატყვისი ორიგინალთან

‘Sel gider, kum kalır.’ ნიაღვარი მიდის, ქვიშა რჩება“; წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო.

*‘Bilenlerin anlattığına göre, Amerika’da top makineyle sürülüp ekildiği gibi, pamukların çapası makineyle yapılıyordu. Hacı babalar “1921’lerde de bu balonlar uçtuysa!” diyorlardı. “Topraklar Fordson’larla sürüldüydü de ne olduydu? Her taraf Fordson Mezarlığı haline gelmedi miydi? Sel gider, kum kalır. Siz emektar sarı öküzünüze sahip olun!”(VV. s.159)*

“თუმცა ძველი თავკაცები დაბეჯითებით ირწმუნებოდნენ, ცარიელი ბოდვას და მეტი არაფერიო. ცხრაას ოცდაშვიდშიც ასე იყო, ბევრი იყაყანეს ამერიკიდან ფორდის ტიპის მანქანების შემოზიდვაზე, მაგრამ რა მერე? ხარებს გავუფრთხილდეთო...”(უბედური შემთხვევა, გვ.98)

თურქულ ტექსტში მოცემული ანდაზა „*Sel gider, kum kalır*” ქართულ თარგმანში არ ჩანს, ასევე ტექსტის ნაწილი არ არის ნათარგმნი, როგორც ჩანს, ავტორს სურდა, საერთო კონტექსტიმკითხველისთვის უფრო გასაგებ ენაზე გადმოეცა.

**‘İş bilenin kılıç kuşananın.’** მოხერხებული ადამიანი.

-“*Ne huylanıyon kız? Becerikli adamın kırık tarakta da seksen tarakta da bezi olur.*”

-“*Doğru. İş bitirenin, kılıç kuşananın!*” (HÇ. s.62)

„რა გაჯავრებს, გოგო. საქმიან კაცს საქმეს რა დაუღევს. მერე და, რაა ამაში ცუდი!“

„ბატონი რეშიდი მოხერხებული კაცია“ (ქალბატონის მამული, გვ.51)

ზემოხსენებულ ტექსტში ანდაზა ქართულ თარგმანში არ გვხვდება და მის ნაცვლად ანდაზა „*İş bitirenin, kılıç kuşananın!*” გადმოცემულია ამ სიტყვებით „*მოხერხებული კაცია*“, ვხედავთ რომ მთარგმნელი ამ ანდაზის გამოუყენებლად აგრძელებს დიალოგს. ????

**‘Eşeğe altın semer vursalar yine eşektir’** ვირს ოქროს კეხიც რომ დაადგან, მაინც ვირია.

“*Beyle bu yakınlarda hiçbir alışverişi olmamıştı. Gülizar gibi kaskandığı da yoktu. Çiftliğe Cemşir’in kızı yahut bir başkası hanım olmuş. Kim olursa olsun. Onun için hepsi birdi.*” **Ben eşek olduktan sonra, kim semer vurursa vursun!**” diye geçiriyordu.” (HÇ. s.120)

“ასეთ მდგომარეობაში, დუმილი სეიარე ბაჯის არ შეეფერებოდა, მაგრამ მას ამ ამბის არაფერი ეკითხებოდა, ქალბატონო ჯემშირის ქალიშვილი იქნება, თუ სხვა ვინმე მისთვის სულ ერთია, ვირს კები ვინც უნდა იმან დაადგას.”(ქალბატონის მამული, გვ.91)

ზემოხსენებულ ტექსტში ანდაზა “*Eşeğe altın semer vursalar yine eşektir,*” ქართულ თარგმანში თითქოს აზრობრივი ეკვივალენტია, მაგრამ ფაქტობრივ შეცდომას უახლოვდება.

‘*Alma mazlumun ahını çıkar aheste aheste.*’ ამის ქართული შესატყვისია „სისხლი სისხლით არ მოიბანება“

“*Kendinin de evladı vardı. O da günün birinde kaynana olacaktı. Onun için eziyet etmemeliydi. Ah almanın iyi bir şey olmadığını biliyordu. ‘Alma mazlumun ahını, çıkar aheste aheste...’ diye bir söz vardı.*”(EK. s.117)

„ნაზანსაც ხომ ჰყავს შვილი, ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს ისიც დედამთილი გახდება. რძალს არ გაამწარებს, რადგან კარგად იცის, რომ ყოველგვარი შურისძიების უებარი წამალი თვით შურისძიებაზე უარის თქმა არის“(უცხო ქალი, გვ.94)

ორიგინალი ტექსტის ანდაზა „*Alma mazlumun ahını, çıkar aheste aheste*“ ქართულ თარგმანში გვხვდება: „*ყოველგვარი შურისძიების უებარი წამალი თვით შურისძიებაზე უარის თქმა არის*“. მაგრამ თარგმანი არის არის სწორად შესრულებული, ჩვენი აზრით, უმჯობესი იყო: „*რასაც დასთეს, იმასვე მოიძვიო*“.

‘*Allahın bildiği kuldan saklanmaz.*’ ღმერთი ყველაფერს ხედავს ანუ დამალული არაფერი არ არის.

“*Her güzelin bir başka tadı var. Erkek içinde kadın içinde bu böyle.Allah’ın bildiğini kuldan niye saklayayım?Güzel bir erkek görmüyor muyum, yüreğim eriyor.*(EK. s.140)



“ყველა ლამაზს თავისი ეშხი აქვს. მამაკაცი იქნება თუ ქალი-  
ეს სულ ერთია. ადამიანს მშვენიერებით ტკბობის უნარი  
ღმერთმა უბოძა და მე რატომ უნდა უარყო იგი? ჩემო ნაჯიე,  
ლამაზ მამაკაცს რომ დავინახავ, გული მწყდება.”(უცხო ქალი,  
გვ.113)

ზემოთმოტანილ თურქულ ტექსტში ანდაზა “Allah’ın bildiği kuldan saklanmaz,,  
ქართულად ასე უთარგმნიათ: “ადამიანს მშვენიერებით ტკბობის უნარი ღმერთმა  
უბოძა და მე რატომ უნდა უარყო იგი?“, მაგრამ აზრობრივად არ შეესაბამება  
ორიგინალს-ქართულად უნდა იყოს-„არაფერი დაიმალებაო“

‘Eski çamlar bardak oldu.ძველიფიჭვი... დღესჭიქადგადაიქცა

“O eskidenmiş kızım. Eski çamlar bardak oldu şimdi. Millet su  
içiyor. Getir o devirleri de bu devri yakalım. Öyle değil mi  
hanımefendi?” (EK. s.150)

„ეგ ადვილი ყოფილა, ჩემო ძვირფასო, -გაიხუმრა რიზამ, -  
ძველი ფიჭვი... დღეს ჭიქად გადაიქცა და ხალხი წყალს  
იქიდან მიირთმევს, მაშ... დავაბრუნოთ ის ძველი დრო და  
ეხლანდელზე უარი ვთქვათ.ასე არაა, ხანუმ?“(უცხო ქალი,  
გვ.121)

ზემოხსენებულ ტექსტში ანდაზა “Eski çamlar bardak oldu,, ქართულად სიტყვა-  
სიტყვითაა ნათარგმნი „ძველი ფიჭვი... დღეს ჭიქად გადაიქცა“. ქართულში  
აზრობრივად ყველანაირი ურთიერთობის შეწყვეტას ნიშნავს.????

პირდაპირი თარგმანი არ გადმოუცია, მაგრამ ტექსტში მნიშვნელობა  
შენარჩუნებულია.

‘Görünen köy kılavuz istemez’ რაც არ უნდა დამალო სიმართლე, მაინც  
გამოაშკარავდება.

“İş gittikçe önemli bir hale geliyordu. “Komunizme karşı baraj”  
olsun diye göz yumulan bu güç, demek günün birinde iyice dal

*budak salacak, sonrada önüne geçilmez bir hal alacaktı. Evet evet, art arda etkili makaleler yazdırmalı, parti ileri gelenlerini uyarmalıydı. Çünkü **görünen köy kılavuz istemezdi.**”(VV. s.110)*

*“მუზაფერ-ბეი ახლა უფრო გრძნობდა, როგორ მძიმდებოდა მასთან საუბრის წუთები... აი, რა შეუძლია სარწმუნოებას!... მართალია, სახელმწიფო ჯერჯერობით თვალს ხუჭავს გაქნილი ღვთის მსახურების წინაშე, რადგან მასში ხედავს კომუნიზმის შემლობავ ძალას, მაგრამ თუ ასე თავს გავიდნენ, სახელმწიფოსაც საშიშროება მოელოს. ახლა ამ საკითხის ირგლივ მეგობართან საუბარი მოაგონდა.”(უბედური შემთხვევა, გვ.70)*

ზემოხსენებულ ტექსტში გამოყენებული თურქული ანდაზა *“Görünen köy kılavuz istemez,”* ქართულ თარგმანში არ არის მოცემული. ამასთანავე, ამ ტექსტის შინაარსი მთარგმნელს საკუთარი შეხედულებისამებრ გადმოუცია, რადგან პირდაპირი მნიშვნელობით ნათარგმანს მკითხველი ვერ გაიგებდა.

**Amasyanın bardağı, biri olmazsa biri daha:** რაც მოხდა იმას ვერსად წაუვალთ, ამიტომ დარდი არ ღირს, ყოველთვის არსებობს რაღაც უკეთესი

*“Amasya’nın bardağı mı?”(VV. s.227)*

*“როგორ არა, სამოთხის ახალი წყაროა..”(უბედური შემთხვევა, გვ.139)*

მართალია, თურქული ანდაზა *„Amasya’nın bardağı mı?”* ქართული თარგმანში *“სამოთხის ახალი წყაროა.”* სხვაგვარად აქვს მთარგმნელს გადმოცემული, მაგრამ ისინი ერთ მნიშვნელობას იძენენ.

**‘Öksüz oğlan (çocuk) göbeğini kendi keser.’** ობოლი ბავშვი ჭიპლარს თვითონ იჭრის.

*“Meseleyi anasına açmalıydı artık. Kıza evde kim bilir nasıl eziyet ediyorlardı ki, zavallı acı acı yakınıyor, kaçmaktan söz ediyordu. Sinemaya gittikleri gün yoktu bu tür yakınmaları. Kemal gelecek*

*yıl askere gidecekti. Askerden dönünceye dek kız bekleyecek, ondan sonra evleneceklerdi. Evlenmelerinde de usul, erkenden çıkmayacaklar, Kemal anasını gönderip kızı istetecekti. Verirlerse ne ala, vermediler mi, günah onlardan gidecekti. İkisi de on sekizlerini bitirmiş olacaklarından, kanunun tanıdığı haktan faydalanarak, nikah dairesine gidecek, **göbeklerini elleriyle keseceklerdi.**, (VV. s.139)*

“ეს ამბავი უნდა გაუმხილოს. საბრალო გოგო, ეტყობა, სახლში საშინელ დღეში ჰყავთ, რომ შველას დაჟინებით ითხოვს, აჩქარებს წამიყვანო და ეხვეწება. თორემ ქემალი და გულუ განა ასე იყვნენ მოლაპარაკებული? ქემალი ჯარიდან რომ დაბრუნდებოდა, წესისამებრ ბიჭი გოგოს დედას გაუგზავნიდა და მშობლების დასტურის შემდეგ იქორწინებდნენ. თუ თანხმობა იქნებოდა, კეთილი და პატიოსანი, თუ არა და შეყვარებულები თავისას გაიტანდნენ. ისინი მაშინ სრულ ასაკში იქნებოდნენ და კანონიც მათ მხარეზე იქნებოდა. მაშინ ქორწინების სახლში გახარებულები მივიდოდნენ და **გვირგვინსაც თავად დაიდგამდნენ**”  
(*უბედური შემთხვევა, გვ.87*)

ზემოხსენებულ ტექსტში თურქული ანდაზის **“göbeklerini elleriyle keseceklerdi.**, პირდაპირი თარგმანს ვერ ვხვდებით, მნიშვნელობა შენარჩუნებულია. **გვირგვინსაც თავად დაიდგამდნენ**” ასე გადმოიცა ორიგინალ ტექსტში არსებული ანდაზა.

**İki gönül bir olunca samanlık seyran olur**’ თუ გული გულობს ქადა ორივე ხელით იჭმებაო.

*“Pakize çağırılmış, Muhsin Usta da kendiliğinden gelmişti. Gerek Pakize, gerekse Muhsin Usta bildiklerini çekinmeden söylemişler, iki gencin nasıl seviştiklerini saymış dökmüşlerdi. Hele Pakize...*

*Sımsıkı sarındığı beyaz başörtüsü uç uça öyle anlatmıştı ki... Sevişiyorlardı, evet. Ayıp mı? Günah mı? Ona kalırsa ne ayıptı, ne de günah. İki gönül bir olduktan sonra samanlık seyrandı be!” (VV. s.254)*

*“ფაქიზეს დაუმახეს. ოსტატი მუჰსინიც მოჰყვა. კომისარს ორთავენი მთელი მონდომებით უხსნიდნენ, რომ ქალ-ვაჟს ერთმანეთი ძალიან უყვართ და აქ გატაცების ამბავი სწორი არ არის, განსაკუთრებით ყოჩაღობდა ფაქიზე.” (უბედური შემთხვევა, გვ.157)*

ტექსტში არსებული თურქული ანდაზა *“İki gönül bir olduktan sonra samanlık seyrandı.”* ქართულ თარგმანში სხვაგვარად, სხვა მნიშვნელობით, არის გადმოცემული- *ქალ-ვაჟს ერთმანეთი ძალიან უყვართ და აქ გატაცების ამბავი სწორი არ არის*, მთარგმნელი ამას შეგნებულად აკეთებს, რათა მკითხველმა უკეთ გაიგოს კონტექსტის შინაარსი.

**‘Zorla güzellik olmaz’** ძალად სიყვარული ვის გაუგონია

*“Akşamüstleri işten eve dönerken, yol üstündeki dardağan ağacının üstünde rastlardı ona. Tam ağacın altından geçerken, leblebiye benzeyen kara kara dardağanlarla taşa tutardı Kemal’i. Dardağanlar çok iri kurşun saçmalar gibi hızla gelir, burnuna, kulağına değer, canını kötü kötü yakardı. Ne demekti bu? Açıktan açığa, “Seni beğeniyorum, hoşlanıyorum senden, bana gel!” demek değil miydi? Sevse, sevebilse... Bisikletinden yere atlar, dardağan ağacına tırmanır, hatta ağacından tepesinde hesap sorardı, ama sevmiyordu. Zorla güzellik olmazdı ki!”(VV. s.137)*

*„ზეთის ხის კენჭეროზე გასული ქემაღს დაინახავდა თუ არა, მარცვალს დაურიდებლად უშებდა... განა გოგოს გამოწვევას ვერ ხვდებოდა? არ მოსწონდა, თორემ იმ ხის კენჭეროზე*

აუბტებოდა და პასუხს იქვე აგებინებდა... მაგრამ ძალად  
სიყვარული ვის გაუგონია!..“(უბედური შემთხვევა, გვ.86)

თურქულ ტექსტში მოცემული ანდაზის *'Zorla güzellik olmaz'* ქართული თარგმანია „ძალად სიყვარული ვის გაუგონია“ თარგმანი და მნიშვნელობა ერთი და იგივეა. თურქული ტექსტი მთარგმნელს სრულად არ აქვს ნათარგმნი და ქართულ ვარიანტში სამი სიტყვით აქვს გადმოცემული ეს წინადადებები.

**'Allah dağına göre kar verir.'** ღმერთი სამართლიანია, ყველას თავის წილს მიაგებს!

*“Madem böyle, oh olmuştu öyleyse. Allah, dağına göre kar verirdi.  
O,onları madem düşman biliyordu, onlarda onu dost bilecek  
değillerdi ya!”(VV. s.390)*

*“ღმერთი სამართლიანია, ყველას თავისი გულის მიხედვით  
მიაგებს! თუ ამდენი ხალხი მტრად ჰყავდა მიჩნეული, მისი  
აწი ხალხს რაღა იმედი უნდა ჰქონდეს?!, (უბედური  
შემთხვევა, გვ.232)*

ზემოხსენებული ანდაზა *“Allah dağına göre kar verir,”* მთარგმნელს ასე უთარგმნია *“ღმერთი სამართლიანია, ყველას თავისი გულის მიხედვით მიაგებს!”* ქართული თარგმანი შინაარსობრივად თურქული ანდაზის მსგავსია.

**'Allahın bildiği kuldan saklanmaz.'** ღმერთი ყველაფერს ხედავს.

*“Allahın bildiğini kuldan ne demeye saklamalı?”(VV. s.175)*

*“თუ მართლა ასეა, ღმერთს ხომ მაინც ეცოდინება?!,(უბედური  
შემთხვევა, გვ.132)*

ზემოხსენებულ ტექსტში ანდაზა *“Allahın bildiği kuldan saklanmaz,”* ქართულად ასე ითარგმნება „თუ მართლა ასეა, ღმერთს ხომ მაინც ეცოდინება?!“ შინაარსობრივად ეს ანდაზები ერთნაირია.

**‘Öfkeyle kalkan zararlarla oturur.’** სიბრაზით საქმის დამწყები წააგებს.

*“Öfkeyle kalkan zararlarla oturur derler Yasin Ağa. Muzaffer Bey sensiz olamaz. Yarın araya girenler olursa, işi yokuşa sürme bari de...” (HÇ. s.143)*

*„აჩქარება არ ვარგა, იასინ-აღა, მუზაფერ-ბეი უშენოდ არ ივარგებს! ხვალ შენი ადგილის მსურველი რომ გამოჩნდეს, მაშინ?” (ქალბატონის მამული, გვ.107)*

ანდაზა *„Öfkeyle kalkan zararlarla oturur”* ქართულად მთარგმნელს ასე გადმოუცია: *“აჩქარება არ ვარგა, შინაარსობრივად ერთი და იგივეა.*

**‘Açtı ağzını, yumdu gözünü.’** ლანძღვა- გინება.

*“Açtı ağzını yumdu gözünü, sesimi çıkarıp tek kelime söylemedim. Niyetin gene bozuksa, hiç zahmet etme, basıp gideyim!” (EK. s.227)*

*„აკი საყვედურებით ამავსე, იმდენი მლანძღვდა მაგინე. მე კი შენთვის საპასუხოდ არაფერი მითქვამს... თუ ისევ აპირებ ჩემს შეჩვენებას, ნუ გაირჯები... ახლავე ავდგები და წავალ!” (უცხო ქალი, გვ.185)*

თურქული ანდაზა *“Açtı ağzını yumdu gözünü,”* ქართულად ასეა თარგმნილი - *“აკი საყვედურებით ამავსე, იმდენი მლანძღვ და მაგინე,”* აზრობრივად მსგავსია ორიგინალ ტექსტში არსებული ანდაზისა.

**‘Köprüden (köprüyü) geçinceye kadar ayıya dayı derler’** ქართული შესატყვისია „დათვი რომ მოგერევა ბაზაი დაუძახეო“

*“Aliye ananın kafasından Nazan geçti. Köprüyü geçene kadar ayıya dayı demeli, sakalına göre tarak vurmalydı. Hani hiç te yüzüne güldüğü yok...” (EK. s.250)*

*„აღიე ანა დაფიქრდა. ქალს ისევ ნაზანი დაუდგა თვალწინ. როგორ მივუდგე? სანამ ხიდზე გახვიდოდე დათვის ბიძა უნდა*

**დაუძახო და მიეფერო.** სავარცხელიც კაცს წვერის მიხედვით უნდა შეურჩიო... არა, ასე არ ივარგებს... დისშვილისთვის ერთხელაც არ გამიღიმა და გული არ გადამიშლია“(უცხო ქალი, გვ.23)

ორიგინალი და თარგმნილი ტექსტების შედარებისას თურქული ანდაზას „*Köprüden (köprüyü) geçinceye kadar ayıya dayı derler*“ ქართულ თარგმანში მხოლოდ აზრობრივად ემსგავსება. „**სანამ ხიდზე გახვიდოდე, დათვს ბიძა უნდა დაუძახო და მიეფერო**“

“**Kara gün kararıp kalmaz.**”-ის ქართული შესატყვისია „უბედურებასაც დასასრული აქვს“

*“Allah gümüş kapıyı kaparsa altın kapıyı açar.” atasözü işi bozulan kişi umutsuzluğa düşmemeli, Tanrı'nın onu daha iyi bir işe kavuşturacağına inanmalıdır anlamına gelmektedir.*

*“Allah gafururrahimdir oğlum, düşünme. Bir kapıyı kaparsa, bir kapıyı açar. Karagün kararıp gider mi?”(EK. s.479)*

*„ღმერთი მოწყალეა, შვილო, ნუ ჯავრობ. ერთ კარს თუ დაგიკეტავს, მეორეს ღიად დაგიტოვებს, გაჭირვება ვის არ უნახავს“(უცხო ქალი, გვ.390)*

ორიგინალი და თარგმნილი ტექსტების შედარებისას თურქული ანდაზა „**Kara gün kararıp kalmaz.**“ შესაძლებელია ითქვას რომ სიტყვასიტყვითაა არა თარგმნილი. „**გაჭირვება ვის არ უნახავს**“ მეორე მონაკვეთში არსებული ანდაზა კი „**Allah gümüş kapıyı kaparsa altın kapıyı açar.**“ ქართულად ასე უთარგმნია **ერთ კარს თუ დაგიკეტავს, მეორეს ღიად დაგიტოვებს.**

თარგმანი საერთოდ არ გვაქვს:

“**Dayak cennetten çıkmadır.**” ჯოხი სამოთხიდან ამოდის.(მეტაფორა)

*“Neysel dedi,”buna da böyle bir mariz ister. Dayak cennetten çıkmadır. Dayın gelmeden işi sağlama al.”(HÇ. s.46)*

„ია, მესმის, იმას სწორედ ასე უნდა უთაქო! გამოდევენებია, რადგან მოსვლამდე უნდა მოგვარდეს ეს საქმე!“*(ქალბატონის მამული, გვ.39)*

ორიგინალ ტექსტში ანდაზა „**Dayak cennetten çıkmadır.**“ ქართულ თარგმანში არ ჩანს.

‘**At binenin kılıç kuşananın.**’ ყველაფრის მცოდნე, მოხერხებული

“*Adamı avucunun içine aldığı doğruydu demek? Koskoca beyi... Lakin aşkolsundu! At binenin kılıç kuşananındı.*”*(HÇ. s.217)*

„კაცი ხელში ჰყოლია ჩაჭერილი. საქვეყნოდ ცნობილი ბატონი. ყოჩაღ გულუ! გემშირს გადახედა“*(ქალბატონის მამული, გვ.165)*

ორიგინალი ტექსტის ანდაზა „**At binenin kılıç kuşananın**“ ქართულ თარგმანში არ გვხვდება.

‘**İti an, taşı eline al (çomağı hazırla)**’ ძალღი და ახსენე და ჯოხი ხელში დაიჭირე.

“*Kabak Hafız yataktan fırladı. Gülizar da. Ne yapacaklarını şaşırıldılar. Sağa sola koşuştular. Sonra heyecanla fisıldadı:*

“**İti an taşı eline al**’ şu aşağıya giriver sultanım!”*(HÇ. s.185)*

“*ჰაფიზიწამოხტა. გულიზარიც ადგა. რა უნდა ქნან?... აქათ-იქით ბორიალი დაიწყეს. ბოლოს გულიზარს წასჩურჩულა:*

“*შენ ქვემოთ უნდა ჩახვიდე, ჩემო კარგო!*”*(ქალბატონის მამული, გვ.140)*

ორიგინალი ტექსტის ანდაზა „**İti an, taşı eline al**“ ქართულ თარგმანში არ გვხვდება.

Ölmüş de ağlayamı yok: მკვდარს მომტირალიც არ ჰყავს

“*Asıl senin ki moruk. Benim erim...*”



*“Ölmüş de ağlayanı yok...”*

*“Koluna gir de gör ölmüş mü ölmemiş mi?”(HÇ. s.147)*

ქართული

-----*(ქალბატონის მამული, გვ.111)*

ორიგინალ დიალოგში გამოყენებული ანდაზა *“İti an, taşı eline al”* ქართულ თარგმანში არ გვხვდება. თან არც დიალოგი უთარგმნია.

ფრაზეოლოგიზმები მყარი სემანტიკური ერთეულებია, ფორმით შესიტყვებას რომ წარმოადგენენ და მის თითოეულ სიტყვას, ცალკე აღებულს, არა აქვს მნიშვნელობა. მნიშვნელობის მატარებელია მთელი გამოთქმა. ფრაზეოლოგიური შესიტყვებების ცალკე კორელატები (წევრები) მეტაფორულად არის გაგებული. მთარგმნელობით პრაქტიკაში ფრაზეოლოგიზმი ერთ-ერთ რთულ უბნად რჩება. ამ სირთულის დაძლევა მთარგმნელისაგან მაღალ ხელოვნებას მოითხოვს, რადგან ისინი ენაში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა. რაკი ენები სიტყვით შეთანხმებით განსხვავდება, მეორე ენაში ფრაზეოლოგიზმს შესაძლოა არ ჰქონდეს შესატყვისი, თარგმნის პროცესში შეიძლება სულაც დაიკარგოს.

ორჰან ქემალის რომანების ქართულ თარგმანებში ფრაზეოლოგიზმის თარგმნის რამდენიმე თავისებურება გვაქვს. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ძალზე ხშირად გვაქვს ფრაზეოლოგიზმების აბსოლუტურად იდენტური თარგმანები, კერძოდ:

**Gözden geçirmek** ნიშნავს თვალის გადავლებას.(შეთვალიერება)

*“Bir doksan boy, yüz kılınun üstünde ağırlığıyla Cemşir, keyifli gözüküyordu. Uçları kulaklarına varan kapkara, pırıl pırıl bıyığıyla, ayna karşısına geçti. Kendini, çok da koç bıyığını uzun uzun gözden geçirdikten sonra, Berber Reşit'e döndü, biraz geç, sordu..”(VV. s.2)*

*“ახოვანი, ჯანით სავსე ჯემშირ-აღა მხნედ გამოიყურებოდა. მას ყურისძირამდე სწვდებოდა მზინავი, ყურყუმი, შავი უღვაშბი. სარკესთან ჩავლისას თავისი ორეული ყურადღებით შეათვალიერა და თავაზიანობის ნიშნად რეშიდს ჰკითხა:„(უბედური შემთხვევა, გვ.3)*

თურქულ ტექსტში არსებული ფრაზეოლოგიზმი „*uzun uzun gözden geçirmek*“ ზუსტად შეესიტყვება ქართულ ნათარგმანს.(*ყურადღებით შეთვალიერება*).

**Gözünü (gözlerini) (bir şeye) dikmek:** (ძლიერი მოწონება): თურქულსა და ქართულში კომპონენტური შემადგენლობით და მნიშვნელობით ერთნაირი ფრაზეოლოგიზმია: „თვალი დაადგა“. „თვალი ზედ დარჩა“, „თვალში მოუვიდა“.

*“Cemşir ise, güçlü çeneleriyle ağır ağır geniş getiren besili bir sığırın ılık tembelliği içinde bir kıyıya yanlanmış, yarı kapalı gözlerini bir noktaya dikmiş beklemektedir.”(VV. s.9)*

*“ფარდაგზე აგორებული ჯემშირი უდარდელად ჭუტავდა თვალებს და კამეჩივით იცობიდა.”(უბედური შემთხვევა, გვ.9)*

თურქულ ტექსტში არსებული ფრაზეოლოგიზმი „*gözlerini bir noktaya dikmiş*“ ზუსტად არის გადმოცემული. ქართულ ტექსტში: *“უდარდელად ჭუტავდა თვალებს”* შინაარსობრივადაც კი ემთხვევა თურქულ ტექსტს.

**Çığlık atmak (koparmak, basmak):** აკივლება, აწივლება, აყვირება.

*“Yaşlı kadın bir çığlık attı. (VV. s.31)*

*„მოხუცმა უცებ შეჰყვირა“ (უბედური შემთხვევა, გვ.21)*

თურქულ ტექსტში ფრაზეოლოგიზმი *“çığlık attı,”* ქართულ ტექსტში ნათარგმნია, როგორც *შეჰყვირა*, რაც თურქული მნიშვნელობის იდენტურია.

**(birinin) kestiği tırnak olamamak:** ქართულსა და თურქულში კომპონენტური შემადგენლობით და მნიშვნელობით ერთნაირი ფრაზეოლოგიზმია: “იმის მოჭრილ ფრჩხილადაც არ ღირს“; რაც ნიშნავს- „იმაზე ბევრად ნაკლებია“; ფრაზეოლოგიური შესატყვისი ქართულში: „იმასთან ახლოსაც ვერ მივა“. („მის ფრჩხილადაც არ ღირს“)

*“Güllü “O ne?” dedi içinden. “Kime göz etti o? Bana mı? Bok suratlı. İ... Yılışıyor.... Senin bu yılıştığını Kemal görmeli mi şimdi, it! Sen Kemal’in kesip attığı tırnak olaman be!” Kemal senin gibileri ot diye yer ...”(VV. s.50)*

“გულუ აღშფოთდა, ამას როდი ელოდა! რა ეკადრა ამ რეგვენმა, ვინა ჰგონია გულუ? ქემალმა გაიგოს ერთი; ბურდლად არ ეყოფა, ეს საცოდავი, ქემალის მოჭრილ ფრჩხილადაც არ ღირს,”(უბედური შემთხვევა, გვ.34)

თურქულ ტექსტში „*Kemal'in kesip attığı turnak olaman be*“ ქართულად ნათარგმნია, როგორც „ქემალის მოჭრილ ფრჩხილადაც არ ღირს“; მაგრამ არეულია პირი.

**Yüreğine su serpmek** ნიშნავს გულზე მოშვებას, გახარებას

“Allah senden razı olsun,” dedi. “*Yüreğime su serptin...*”(VV. s.385)

„ღმერთმა გიშველოს? გული გამიმგრე...“(უბედური შემთხვევა, გვ.230)

რასაკვირველია, სჯობდა მთარგმნელს აღნიშნული ფრაზეოლოგოზში ასე ეთარგმნა: „გულზე მომეშვა“.

**(Birinin) ipiyle kuyuya inilmez:** სიტყვასიტყვით ითარგმნება: „სხვისი თოკით ჭაში არ ჩაისვლება“; ფრაზეოლოგოზმის მნიშვნელობაა: არასანდო პიროვნებაა, მის იმედად ყოფნა არ შეიძლება:

“İki aydır uğramadı diye şehirli kız umudunu keserdi. Belkide bir başkasını bulurdu. Bulsundu. Vefasız şeylerdi herhalde şehirli kısmı. *İpleriyle kuyuya inilmezdi.*”(VV. s.378)

“ორ თვეს გასტანოს მისმა ავამყოფობამ, მაშინ ის ქალაქელი გოგო უთუოდ სხვას შეიყვარებს, სხვასთან დაიწყებს კურკურს, ქალაქელ ქალებზე დანდობა ვისგაუგონია! ასეთ ქალთან ერთად უბაწროდ ჭაშიც არ ჩაისვლება.”(უბედური შემთხვევა, გვ.225)

ზემოთმოტანილ ტექსტში ფრაზეოლოგიზმი *“İpleriyle kuyuya inilmezdi..”* ქართულად ნათარგმნია\_ *“უბაწროდ ჭაშიც არ ჩაისვლება..”* ბოლომდე ზუსტი თარგმანი არ გვაქვს.

**Diken üstünde oturmak (olmak):** ქართულსა და თურქულში კომპონენტური შემადგენლობით და მნიშვნელობით ერთნაირი ფრაზეოლოგიზმი გვაქვს: „ეკლებზე ჯდომა“, რომლისმნიშვნელობაა: იტანჯება, მოუსვენრადაა, ფორიაქობს, ღელავს, შფოთავს,,

*“Kaynana’sı öksürdü. O da, Güllü gibi diken üstündeymişcesine rahatsızdı.”(VV. s.245)*

*„დედამთილმა,, დაახველა. დედაბერიც თითქო კვალზე იჯდა“ (უბედური შემთხვევა, გვ.150)*

ზემოხსენებულ თურქულ ტექსტში გამოყენებული ფრაზეოლოგიზმი *„diken üstünde oturmak(olmak)“* ქართულ ტექსტში ამგვარად გვხვდება *“კვალზე იჯდა,,* რაც თურქულ ტექსტს ზუსტად შეესაბამება. მაგრამ, როგორც უმეტეს შემთხვევაში, მთარგმნელი აკლებს ხოლმე თარგმანს სიტყვას.

მსგავსი ვითარებაა ი. გორაძის თარგმანშიც. დიდწილად ფრაზეოლოგიზმი სიტყვა-სიტყვით არის ნათარგმნი:

**Karda yürüyüp izini belli etmemek-**ის სიტყვასიტყვითი თარგმანია „თოვლში დასეირნობს, კვალს კი არ ტოვებს“, რაც ნიშნავს “ფარულად, შეუმჩნევლად მოქმედებს“;მისი შესატყვისი ქართულშიც გვაქვს: “ნაკვალევს არ ტოვებს,დიდი ქვეშევშა ვინმეა“.

*“Nereye?”*

*“Dükkâna. Kimseye bir şey söyleme. Karda yürüyüp izimi belli etmeyeceğim. Cemşir’e bile bir şey demedim...” (HÇ. s.61)*

*“სახ მიდიხარ ახლა?”*

„სადალაქოში. არავისთან კრინტი არ დასძრა. თოვლში ისე უნდა იარო, კვალი არ დარჩეს. ჯემშირი საქმის კურსში არაა“ (ქალბატონის მამული, გვ.50)

დედნის ფრაზეოლოგიზმი „*Karda yürüyüp izini belli etmemek*“ ქართულ ტექსტში გვხვდება, როგორც „*თოვლში ისე უნდა იარო, კვალი არ დარჩება*“; რაც სიტყვასიტყვითი თარგმანია. მაგრამ ქართულ ტექსტში გამოყენებული უნდა იყოს პირველ პირი, ნაცვლად მეორე პირისა.

**Kuyruk sallamak:** თურქულსა და ქართულში კომპონენტური შემადგენლობით და მნიშვნელობით ერთნაირი ფრაზეოლოგიზმი გვხვდება „კუდს უქიცინებს“; რაც ნისნავს: „ელაქუცება, ემლიქვნელება, ეპირფერება“

“*El haya minel iman! Namahrem önünde hayâsızca dolaşmak günah. Kancık it, kuyruğunu sallamamalı. Sonra, bey... Bey dediğin zati çalmadan oynayan bir canavar.*(**HC. s.4-5**)

„*უცხო მამაკაცებში ტიტლიკანა ქალის ტრიალი ხომ ცოდვია?! აბუნკლებულმა ძაღლმა კუდი როდი უნდა იქნას, ისიც მუზაფერ-ბეის წინაშე...*“ (ქალბატონის მამული, გვ.6)

როგორც ვხედავთ, ფრაზეოლოგიზმი „*Kuyruk sallamak*“ სიტყვასიტყვითაა თარგმნილი.

**Kötü gözle bakmak:** თურქულსა და ქართულში კომპონენტური შემადგენლობით და მნიშვნელობით ერთნაირი ფრაზეოლოგიზმია “ცუდი თვალით ყურება”; რომლის მნიშვნელობაა: “მტრულად(სიძულვილით) ყურება”.

“*Bir dayı yeğenin avradına kötü gözle bakar mı? Yeğen yahu, bacısının oğlu, ötesi var mı? Bir yeğen demek, evlat demek... İnsan evladının avradına...*” (**HC. s.8**)

„*ბიძაჩემი ქალების მუსუსია, მაგრამ ჩემს ცოლს, მისი დისშვილის ცოლს ცუდი თვალით შეხედავს? დისშვილი იმ იგივე საკუთარი შვილია?*“ (ქალბატონის მამული, გვ.8)

ქართული და თურქული ტექსტების შედარებისას გამოჩნდა, რომ ფრაზეოლოგიზმები იდენტურია.

**Aralarından kara kedi geçmek:** თურქულსა და ქართულში კომპონენტური შემადგენლობით და მნიშვნელობით ერთნაირი ფრაზეოლოგიზმი “მათ შორის შავმა კატამ გაირბინა”; ნიშნავს “მათი ურთიერთობა გაფუჭდა”; ასეა ქართულშიც “მათ ურთიერთობაში ბზარი გაჩნდა, მათ ურთიერთობას, მეგობრობას და ა.შ. წყალი შეუდგა“.

*“Aramızdan kara kedi mi geçti yoksa?” (HÇ. s.13)*

*„რა მოხდა გულიზარ! ჩვენ შორის შავმა კატამ ხომ არ გაიარა?“ (ქალბატონის მამული, გვ.12)*

როგორც ვხედავთ, თურქულ „*Aramızdan kara kedi mi geçti,*“-ის ქართულ თარგმანში ადეკვატური ექვივალენტი აქვს მოძებნილი.

**Kulaklarına kadar kızarmak:** თურქულსა და ქართულში კომპონენტური შემადგენლობით და მნიშვნელობით ერთნაირია ფრაზეოლოგიზმი „ყურებამდე გაწითლდა“; რაც ნიშნავს: „შერცხვა, დაირცხვინა“.

*“Çok anlayışlısın maşallah.*

*Gülizar kulaklarına kadar kızardı.” (HÇ. s.37)*

*„ჰმ! გულთმისანი ყოფილხარ!*

*გულიზარი გაწითლდა“ (ქალბატონის მამული, გვ.32)*

ზემოაღნიშნული ორიგინალ ტექსტში გამოყენებული ფრაზეოლოგიზმი „*kulaklarına kadar kızardı*“ ქართულ თარგმანში „*გაწითლდა*“ ქართული და თურქული ტექსტების შედარებისას ფრაზეოლოგიზმები სიტყვასიტყვით ერთნაირია.

**Helal süt emmek:** თურქულსა და ქართულში კომპონენტური შემადგენლობით და მნიშვნელობით ერთნაირია ფრაზეოლოგიზმი: „ალალი რძე უწოვია“; რომლისმნიშვნელობაა „სანდო პიროვნებაა, ალაღმართალია, კეთილშობილია,

უმწიკვლოა“; ქართულ ენაში აღნიშნული ფრაზეოლოგიზმს შესატყვისება- „ნამუსის ქუდი ხურებია.“

“Nereye?”

*Akları damar damar kanlanmış gözlerini hınçla kaldırdı:*

“**Helal süt emmiş bir ırz ehlinin kapısına!**” (HÇ. s.105)

„სად მიდიხარ?„

“სისხლმოწოლილ თვალებში ძლივს გამოიხედა.“

„სადაც ალალი რძით გავზრდილვარ!“ (ქალბატონის მამული, გვ.80)

თურქულ ტექსტში გამოყენებული ფრაზეოლოგიზმი „*Helal süt emmiş*“ ქართულად სიტყვასიტყვით უთარგმნიათ- „**ალალი რძით გავზრდილვარ**“

**Gözleri parlamak (parıldamak):** თურქულსა და ქართულში კომპონენტური შემადგენლობით და მნიშვნელობით ერთნაირი ფრაზეოლოგიზმი „თვალები უბრწყინავს“; ფრაზეოლოგიზმისმნიშვნელობაა: „ხარობს, თავს ბედნიერად გრძნობს“; რომლის შესატყვისი ქართულშიც გვაქვს- „თვალში ნათელი უდგას“

“Gözlerini Reşi’e çevirdi. Boynunu büktü. Ağlayacak gibi baktı. Ötekinin gözleri cin gibi parlıyordu. Acelesi vardı sanki. Yerinde duramıyor, gidemiyordu da. Oysa hemen ayrılıp eve koşmalı, müjdeyi kuru karısına vermeliydi.” (HÇ. s.145)

„თავი რეშიდისკენ შეაბრუნა, კისერი მოედრიცა და სახე დაემანჭა-ლამის ატირებულიყო. რეშიდს კი თვალები სიხარულით უელავდა. ადგილზე ვერ ჩერდებოდა, ვერც წავლას ბედავდა, რომ მისი ძვალტყავა ვერ ჩერდებოდა, ვერც წასვლას ბედავდა, რომ მისი ძვალტყავა ცოლისთვის ეს ამბავი ეხარებინა“ (ქალბატონის მამული, გვ.109)

ქართული და თურქული ტექსტების შედარებისას ფრაზეოლოგიზმები სიტყვასიტყვით ერთნაირია. მაგრამ ცოტა განსხვავება არის, იმიტომ რომ



თურქულ ტექსტში „*gözleri cin gibi parlıyordu*” ფრაზეოლოგიზმი ნიშნავს სიხარულისაგან თვალების გაბრწყინებას.

**Ateş püskürmek:** თურქულსა და ქართულში კომპონენტური შემადგენლობით და მნიშვნელობით ერთნაირია ფრაზეოლოგიზმი „ცეცხლს აფრქვევს“; რაც ნიშნავს: განრისხებულობა, გაცოფებულობა, ჭკუა არ მოეკითხება; მისი შესატყვისია ქართულში „ცოფებს ყრის, თვალებიდან ცეცხლს აკვესებს“

*“Dayısı bildiği gibi değildi. Ateş püskürüyordu. Kalbi çarpa çarpa geldi, komutanı karşısında bir er disipliniyle, çakıldı kaldı.”(HC. s.155)*

*„მუზაფერ- ბეის მისი ნათქვამისა არაფერი გაუგია, ცეცხლს აფრქვევდა პირიდან... რამაზანი ჯარისკაცივით სმენაზე იდგა“ (ქალბატონის მამული, გვ.116)*

ზემოაღნიშნული ორიგინალ ტექსტში გამოყენებული ფრაზეოლოგიზმის „*Ateş püskürüyordu*„ ქართულ თარგმანი „*ცეცხლს აფრქვევდა პირიდან*“ თურქულსა და ქართულში კომპონენტური შემადგენლობით და მნიშვნელობით ერთნაირია. (ნანა ცეცხლაძე, ლილე თანდილავა, კულტურული დიალოგი, იზმირ, 2014)

ორიგინალი და თარგმნილი ტექსტების შედარებისას მსგავსი სურათი გამოიკვეთა „უცხო ქალშიც“:

*“Beyninden vurulmuşa dönme,” - “თავში ტყვია მომხვედროდა,, , (უცხო ქალი, გვ.136)*

*İki ayağını bir pabuca sokmak -ორივე ფეხი ცალ ფეხსაცმელში მაქვს ჩადებულნი... (უცხო ქალი, გვ. 352)*

**Kaş yapayım derken göz çıkarmak:** ქართული შესატყვისია „ნაზან წყალს ბავშვი გადააყოლესო“

*“Kendini koltuğa bıraktı. Şaşırmişti. Ne türlü davranacağını kestiremiyordu, kaş yapayım derken göz çıkarmaktan korkuyordu. Ne olursa olsun, kaybolan yüzüğü bulmuştu ya!”(EK. s.193)*

„ნაზანი სავარძელზე ჩამოჯდა. ქალი გაცეცხლებული იყო. რა ექნა არ იცოდა. წარბი გავიკეთო და თვალი კი არ გამოვითხაროო, შიშოდა. თუმცა, რაც მოხდება, მოდეს. დაკარგული ბეჭედი ხომ იპოვა!“ (უცხო ქალი, გვ.156)

ორიგინალი და თარგმნილი ტექსტების შედარებისას თურქული ფრაზეოლოგიზმის *“Kaş yapayım derken göz çıkarmak,”* ქართული თარგმანი *“წარბი გავიკეთო და თვალი კი არ გამოვითხაროო,”* სიტყვასიტყვითაა ნათარგმნი, უმჯობესი იყო შესაბამისი ქართული ეკვივალენტი: „ნაზან წყალს ბავშვი გადააყოლესო“

**Kulağını bükmek:** ყურის აწევა, გაფრთხილება.

*“Kocanın kulağını bükmüşler, ayağını denk al! dedi.” (EK. s.104)*

„შენი ქმრისთვის ყური აუწევიათ და ჭკუა უსწავლებიათ... ფხიზლად იყავი“ (უცხო ქალი, გვ.84)

ორიგინალი და თარგმნილი ტექსტების შედარებისას თურქული ფრაზეოლოგიზმის *“Kulağını bükmek,”* სიტყვასიტყვითაა თარგმნილი.

**(birinin) bir sözünü (dediğini) iki etmemek:** ყოველგვარი სურვილის შესრულება

*“Hacer yeni kocasıyla mesuttu. Genç adam da karısının üstüne titriyor, bir dediğini iki etmiyordu.” (EK. s.32)*

„ჰაჯერი ახალ ქმართან ბედნიერი იყო. არტილერიის ოფიცერი თავს ევლებოდა მეუღლეს. ყოველგვარი სურვილს უთქმელად უსრულებდა“ (უცხო ქალი, გვ. 27)

ორიგინალი და თარგმნილი ტექსტების შედარებისას თურქული ფრაზეოლოგიზმის *“bir sözünü iki etmemek,”* ქართული თარგმანი *“ყოველგვარი სურვილს უთქმელად უსრულებდა“* სიტყვასიტყვითაა თარგმნილი.

**Gözlerine inanmamak:** არ დაჯერება.

*“Bir sabah daire kapısında eski karısını gören zabıt, **gözlerine inanamadı ilkin.**”(EK. s.33)*

*„სასამართლოს სხდომის მდივანმა ისმაილმა საკუთარ თვალებს არ დაუჯერა.“(უცხო ქალი, გვ.28)*

ორიგინალი და თარგმნილი ტექსტების შედარებისას თურქული ფრაზეოლოგიზმის „**gözlerine inanamadı**“ ქართული თარგმანი „**თვალებს არ დაუჯერა**“ სიტყვასიტყვითაა თარგმნილი.

**Kulaklarına kadar kızarmak:** ყურებამდე გაწითლება, ან ძალიან შერცხვენა

*“Çocuk **kulaklarına kadar kızarmıştı.**”(EK. s. 38)*

*„ბავშვი ყურებამდე გაწითლდა და ძლივს ამოილულულა“(უცხო ქალი, გვ.31)*

ორიგინალი და თარგმნილი ტექსტების შედარებისას თურქული ფრაზეოლოგიზმის „**kulaklarına kadar kızarmak**“ სიტყვასიტყვითაა თარგმნილი, „**ყურებამდე გაწითლდა,**“

**(bir şeye) kulak vermek:** ყურის დაგდება

*“Nazan **kulak verdi.**”(EK. s. 39)*

*„ნაზანმა ბავშვის ღიღინს ყური დაუდგო“(უცხო ქალი, გვ.32)*

ორიგინალი და თარგმნილი ტექსტების შედარებისას თურქული ფრაზეოლოგიზმის „**kulak vermek,**“ ქართული თარგმანია „**ყური დაუდგო,**“ რაც აზრობრივად მსგავსია თურქული ტექსტისა.

**Kabak (birinin) başına (başında) patlamak:** თავს უბედურების დატყდომა.

*“Kabağın kendi başına patlayacağına, eninde sonunda suçlunun kendisi olacağına şüphesi yoktu.”(EK. s.39)*

„ქალი გრძნობდა, ადრე თუ გვიან, უბედურება უნდა დასტყდომოდა თავს, ყველფერში თვითონ უნდა გამოსულიყო დამნაშავე...“ (უცხო ქალი, გვ.33)

ორიგინალი და თარგმნილი ტექსტების შედარებისას თურქული ფრაზეოლოგიზმის *“kabak başına patlamak,”* ქართული თარგმანია *“უბედურება უნდა დასტყდომოდა თავს,”* შინაარსობრივად ჰგავს ერთმანეთს.

**Gözleri parlamak (parıldamak):** თვალების გაბრწყინება

“*Gözleri parladı.*” (EK. s.42)

„თვალები გაუბრწყინდა.“ (უცხო ქალი, გვ. 35)

ორიგინალი და თარგმნილი ტექსტების შედარებისას თურქული ფრაზეოლოგიზმის *“gözleri parlamak,”* ქართული თარგმანია *“თვალები გაუბრწყინდა,”* სიტყვასიტყვითაა თარგმნილი.

**Başından aşağı kaynar sular dökülmek:** თავზე მდულარე წყლის გადასხმა

“*Nazan’ın tepesinden kaynar sular döküldü.*” (EK. s.44)

„ნაზანს თითქოს თავზე მდულარე წყალი გადაასხესო.“ (უცხო ქალი, გვ.36)

ორიგინალი და თარგმნილი ტექსტების შედარებისას თურქული ფრაზეოლოგიზმის *“kafasından kaynar sular dökülmek,”* ქართული ეკვივალენტი („თავზე მდულარე წყალი გადაასხესო“) გამოიყენება.

**Top gibi patlamak:** ზარბაზანივით გასკდომა.

“*Müthiş bir dalga kıyının keskin kayalarında top gibi patladı.*” (EK. s.6)

„სანაპიროს კლდეებზე მოხეთქებისას ზღვის ტალღები ზარბაზანივით გრუხუნებდნენ“ (უცხო ქალი, გვ.6)

ორიგინალი და თარგმნილი ტექსტების შედარებისას თურქული ფრაზეოლოგიზმის „*top gibi patladı*“ ქართული თარგმანია „ზარბაზანივით გრუხუნებდნენ“ აზრობრივად ჰგავს ერთმანეთს. ????

**Gözü dalmak:** თვალის მიშტერება

“*Gözleri daldı.*” (EK. s.47)

“*ერთ წერტილს შიაშტერა თვალეზი.*” (უცხო ქალი, გვ.39)

ორიგინალი და თარგმნილი ტექსტების შედარებისას თურქული ფრაზეოლოგიზმის “*gözleri dalmak*,” ქართული თარგმანია “*ერთ წერტილს შიაშტერა თვალეზი*” სიტყვასიტყვითაა თარგმნილი.???

**İncir çekirdeği doldurmamak:** ძალიან ცოტა და უმნიშვნელო

“*Mazhar donmuş kalmıştı. Annesinin şu oçukça, yaşıyla başıyla hiç de uygun düşmiyen hafif haline hayretle bakıyor, sadece bakıyordu. Ne vardı? Kim ne demişti? Onlar incir çekirdeğini doldurur muydu?*”(EK. s.53)

„მაზჰარი გაოცდა დედის ბავშვური საქციელით. ასეთი ქცევა სულ არ შეეფერებოდა იმ ხნის ქალს. იგი გაშტერებული უცქერდა დედის მოქმედებას. რა მოხდა ნეტავი? ვინ რა უთხრა ისეთი? რაც ჩვენ შორის ითქვა. იმ სიტყვებით გამოწვეული წყენა თხილის ნაჭუჭსაც არ აავსებდა!“ (უცხო ქალი, გვ.44)

ორიგინალი და თარგმნილი ტექსტების შედარებისას თურქული ფრაზეოლოგიზმის „*incir çekirdeği doldurmamak*“ ქართული თარგმანი აზრობრივად მსგავსია ორიგინალი ტექსტისა “*იმ სიტყვებით გამოწვეული წყენა თხილის ნაჭუჭსაც არ აავსებდა!*”

**Aklına yatmak:** სწორად მიჩნევა

*“Hacer’in aklına yattı.”(EK. s.61)*

*„ჰაჯერს ეს აზრი სარწმუნოდ მოეჩვენა“ (უცხო ქალი, გვ.50)*

ორიგინალი და თარგმნილი ტექსტების შედარებისას თურქული ფრაზეოლოგიზმის **“aklına yatmak,”** ქართული თარგმანი **„აზრი სარწმუნოდ მოეჩვენა.“** შინაარსობრივად იდენტურია.

**Yüreği hop etmek (hoplamak veya oynamak):** გულის აძგერება, შეშინება

*“Sami’yi hatırlayınca yüreği hop etti.”(EK. s.298)*

*„სამის გახსენებაზე ნაზანს გული აუძგერდა!“ (უცხო ქალი, გვ.246)*

ორიგინალი და თარგმნილი ტექსტების შედარებისას თურქული ფრაზეოლოგიზმის **„yüreği hop etti“** ქართული თარგმანია **„გული აუძგერდა“** იმავე აზრს გადმოსცემს, რასაც ორიგინალი ტექსტი.

**(birini) defterden (defterinden) silmek:** გულიდან ამოღება, დავიწყება

*“Demek annesini yavaş yavaş defterden siliyordu?,”(EK. s.60)*

*„ესე იგი, დედას ნელ-ნელა იშორებს გულიდან“ (უცხო ქალი, გვ. 49)*

ორიგინალი და თარგმნილი ტექსტების შედარებისას თურქული ფრაზეოლოგიზმის **„defterden siliyordu“**, ქართული თარგმანია **„იშორებს გულიდან“** იმავე აზრს გადმოსცემს, რასაც ორიგინალი ტექსტი.

მიუხედავად ზემოთმოტანილი მაგალითებისა, უფრო მეტია შემთხვევა, როდესაც ფრაზეოლოგიზმი დარღვეულია და ხშირად შინაარსის შენარჩუნებაც კი პრობლემურია. თუმცა აქაც გვაქვს სახესხვაობები, თანაც განსხვავებულ მთარგმნელებთან განსხვავებული დოზით, ამიტომ უმჯობესია კონკრეტული მაგალითები განვიხილოთ:

**Kan tere batmak:** ოფლში გაწურვა, ოფლად დაღვრა: ქანცის გამოცლა

*“Daha sonra kızgın güneşi; tarlalarındakan tere bata çıka, karıncalar gibi çalışılıp didinilen, dört karısı, dört karıdan sayısız çocukları...”(VV. s.15)*

*“ჩუქუროვას ბამბის უსაზღვრო ველებზე დაცხუხებული მზე და მის ქვეშ წელში მოხრილი საბრალო ადამიანები... უცებ ჭიანჭველებით აირივნენ... ჯემშირი გამოფხიზლდა... ახლა ოთხი ცოლი და მათგან უთვალავი შვილი ჰყავს...”(უბედური შემთხვევა, გვ.12-13)*

თურქულ ტექსტში ფრაზეოლოგიზმი „*Kan tere batmak*“ ქართულ თარგმანში გვხვდება, როგორც: „*ველებზე დაცხუხებული მზე და მის ქვეშ წელში მოხრილი საბრალო ადამიანები*“ და შეიძლება ითქვას, შინაარსობრივად ახლოსაც არაა ორიგინალ ტექსტთან.

**Dile düşmek:** (სიტყვა-სიტყვითი თარგმანია “ენაზე ეცემა“, ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობა: „სხვისი საჭორაო(სალაპარაკო) ხდება“. მისი შესატყვისი ქართულშიც გვაქვს:“ ხალხის ყბაში ვარდება...”

*“Makine dairesindeki yağcı Keml'i seviyordu. Aravuşağı Kemal boylu poslu, yirmi ikisinde var yok... Yalnız annesi biliyordu şimdilik bunu. Ona kalsa hemencik memlekette düdük olur, dile düşerdi. Olsun düdük olursa olsun. Korkmuyordu ki!”(VV. s.21)*

*“გულუს, საამქროს მანქანების მზეთავი მუშა, არაბი ბიჭი-ქემალი უყვარდა. შინაურებიდან ეს მხოლოდ დედამ იცოდა. გულუსათვის რომ უფლება მიეცათ- დუდუკსაც კარგად დაუკრავდა და თავის სიყვარულს ყველას გაანდობდა, განა ვინმეს დიდი რიდი და შიში ჰქონდა?...”(უბედური შემთხვევა, გვ.17)*

როგორც ვხედავთ, თურქული ფრაზეოლოგიზმი *“Dile düşmek,”* და ქართული თარგმანი ერთმანეთს არ შეესატყვისება.

**(Bir şeye) Kulak vermek:** თურქულსა და ქართულში გვხვდება კომპონენტური შემადგენლობით და მნიშვნელობით ერთნაირი ფრაზეოლოგიზმი: „ყურის მიცემა“, „(ვისიმე) ჭკუაზე დადის“, ფრაზეოლოგიური შესატყვისი ქართულში კი: “ყურს უგდებს, ყური იქითკენ უწევს.

*“Naraya uyanan Güllü, kulak verdi: Tamam ağabeyiydi.”( VV. s.47)*

*“გულუსაც გაეღვიძა. ააბეის ხმა იცნო და საშინლად შეწუხდა...”(უბედური შემთხვევა, გვ.31)*

ორიგინალ ტექსტში ფრაზეოლოგიზმი *„kulak verdi“* ქართულ ტექსტში კი *“ხმა იცნო,”* ასეა გადათარგმნილია. ასევე სხვაგვარადაა გამოყენებული.

**‘Kırk tarakta bezi olmak.’**-ის მნიშვნელობაა: “ნებისმიერი საქმე ეხერხება“, მისი ქართული შესატყვისია “მარჯვე ხელი აქვს, ხელიდან ყველაფერი გამოსდის;

*“Kim bilir’ dedi birisi,’Reşit Emmi bu. Kırk tarakta bezi var.”(...)(HÇ. s.62)*

*„რეშიდ ბიძას ათასი საქმე აქვს, ვინ იცის რა უნდოდა!“ (ქალბატონის მამული, გვ.51)*

თურქული და ქართული ტექსტების შედარებისას ჩანს, რომ ფრაზეოლოგიზმი *“Kırk tarakta bezi olmak”* მთარგმნელს უთარგმნია, როგორც *„ათასი საქმე აქვს”* რაც უკვე ფაქტობრივი შეცდომაა.

**Bıyık altından gülmek:** თურქულსა და ქართულში კომპონენტური შემადგენლობით და მნიშვნელობით ერთნაირია ფრაზეოლოგიზმი “ულვაშებში ჩაცინება”;რაც იგივეა, რაც “ჩუმად ეცინება“.

**Yan gözle bakmak** ნიშნავს, აღმაცერად ყურებას, განზე შეხედვას

*“Döndü. Soyтары mı? Yan gözle şoföre baktı, bıyık altından gülüyordu.”(HÇ. s.9)*



*„ცალი თვალით მბლოლს გადახედა, რომელიც ულვაშებში  
ქვეშევემ ილიმებოდა“ (ქალბატონის მამული, გვ.8)*

ქართული და თურქული ტექსტების შედარებისას ფრაზეოლოგიზმები აზრობრივად მსგავსია. ორიგინალ ტექსტში გამოყენებული ფრაზეოლოგიზმი „*Yan gözle bakmak*“ ქართულ თარგმანში ნათარგმნია, როგორც *„ცალი თვალით გადახედა“* და სიტყვასიტყვით თარგმანს არ წარმოადგენს.

ქართული თარგმანი არ არის შესატყვისი ორიგინალთან

**Dağdan gelip bağdakini kovmak:** ქართული შესატყვისია „გარეულმა შინაური გააგდო...“

*“Düşündü, uzun uzun düşündü, annesinin niçin, neye içerlediğine cevap bulamadı.*

*Tek cevap, olsa olsa, gelinini kıskanmasıydı. Hemen hemen bütün kaynakalar gibi, ‘Dağdaki gelmiş, bağdakini kovuyor!’ gibilerden, el kızının oğlunu çekip almasına içerliyordu.” (EK. s.41)*

*„მაზჰარმა ბევრი იფიქრა, ბევრი იმსჯელა, მაგრამ დედის განაწყენების მიზეზი მაინც ვერ გაიგო.*

*თუმცა მიზეზი ალბათ ის გახლდათ, რომ დედამთილი ვერ იტანდა რძალს. სხვა დედამთილებივით მასაც ის აწუხებდა, გარედან მოსული რძალი შვილს მაცლის ხელიდანაო...“ (უცხო ქალი, გვ.34)*

ორიგინალი და თარგმნილი ტექსტების შედარებისას თურქული ფრაზეოლოგიზმი *“Dağdan gelip bağdakini kovmak,”* ქართულად აზრობრივად მსგავსია *“გარედან მოსული რძალი შვილს მაცლის ხელიდანაო „*

პირდაპირი თარგმანი არ გადმოუცია, მაგრამ ტექსტში მნიშვნელობა შენარჩუნებულია.

**Yüreği çarpmak:** თურქულსა და ქართულში კომპონენტური შემადგენლობით და მნიშვნელობით ერთნაირია ფრაზეოლოგიზმი: “გული აუფანცქალდა,, მისი მნიშვნელობაა: აღელდა, აფორიაქდა, შეშფოთდა, შეშინდა; ქართულში ამ ფრაზეოლოგიზმის შესატყვისი გვაქვს: გული აუკანკალდა, გული ბუდიდან ამოუვარდა.

*“Biletleri aldı, hayranlıkla bakmaya başladı. Bunlarla gireceklerdi içeri işte. Üçüncü girişi olacaktı sinemaya. Yüreği öyle çarpıyordu ki. Kemal'in elini aldı, çarpan yere götürdü.”(VV. s.33)*

*“როგორც იქნა, ბილეთები აიღო, ხალხის ტალღა მკერდით გაარღვია და წუთში გულუსთან გაჩნდა. ქემალი და გულუ დარბაზში შევიდნენ და უკან დასხდნენ. ქალიშვილი ამაღამ ვაჟთან ერთად კინოსურათს მესამეჯერ ნახულობდა, გული სიხარულისგან ჩიტვიით უფართხალებდა„(უბედური შემთხვევა, გვ.22)*

თურქული ტექსტის ფრაზეოლოგიზმი „**Yüreği öyle çarpıyordu ki**“ ქართულ ტექსტში ადეკვატურ შინაარსობრივად ატვირთვას ატარებს: მ„**გული სიხარულისგან ჩიტვიით უფართხალებდა**“, მაგრამ ფრაზეოლოგიზმის მომყოლი წინადადება საერთოდ არაა თარგმნილი.

**(birinin) ekmeğiyle oynamak:** ნიშნავს: შემოსავლის წყაროს შეზღუდვას ან ვინმესთვის საარსებო საშუალების მოპოვებაში პრობლემების შექმნას.

*“Ramazan Bey, ekmeğimle oynayacaksınız...”(VV. s.42)*

*„რამაზან-ბეი, პურ-მარილზე ფეხს ნუ დამიდგამ“ (უბედური შემთხვევა, გვ.28)*

თურქულ ტექსტში და ქართულ თარგმანში ფრაზეოლოგიზმი ერთი და იგივე მნიშვნელობითაა გამოყენებული, თუმცა ქართული თარგმანი სიტყვასიტყვით არ ეხამება ორიგინალ ტექსტში არსებულ ფრაზეოლოგიზმს.

**Kolu kanadı kırılmak:** სიტყვასიტყვითი თარგმანია: „ფრთა მოსტყდა“; რაც ნიშნავს: „უიმედოდ დარჩა“; ამის შესატყვისი ქართულშიც გვაქვს: „ფრთების შეკვეცა“.

*“Güllü'nün kolu kanadı kırılmıştı. Günlerden beri yarı baygın yatıyor, boyuna Kemal'i sayıklıyordu.”(VV. s.396)*

*„გულუს ყველას იმედი გაცრუებოდა. იგი რამდენიმე დღე ფრთამოტეხილ ჩიტვით ფარდაგზე ეგდო და ქემალს უხმობდა“(უბედური შემთხვევა, გვ.236)*

როგორც ვხედავთ, მთარგმნელი არ იყენებს თურქული ფრაზეოლოგიზმის ქართულ ეკვივალენტს („ფრები ეკვეცა“), ა. ქალბატონის მამული

**Küplere binmek:** სიტყვასიტყვითი თარგმნება: „დოქებზე დაჯდომა“, რაც ნიშნავს: „ცოფდება, ბრაზდება, მრისხანებს“; ფრაზეოლოგიური შესატყვისი ქართულში „ტოვებს აფრქვევს“

*“Bilinen şeydi. Çiftçibaşı Yasin Ağa küplere biner, “Tövbe estağfurullah, tövbe estağfurullah... Sen taksiratını affet Yarabbi! Nedir bu adamın azlığı...”derdi.”(HÇ. s.3)*

*„ეს კარგად იცოდა გულიზარმა. მეურნეობის მმართველი იასინ-აღა ბატონის ასეთ საქციელს ვერ ურიგდებოდა: “ღმერთო შენ დაგვიფარე, ვინ გაიგონა კაცი ასე ატეხილიყოს,... იცოდა ხოლმე იგი“(ქალბატონის მამული, გვ.5)*

ქართული და თურქული ტექსტების შედარებისას ფრაზეოლოგიზმი „**Küplere binmek**„ ქართულად ასე უთარგმნია მთარგმნელს „ვერ ურიგდებოდა“ აზრობრივად მიმსგავსებულია, თუმცა არაზუსტია.

**İçi içine sığmamak:** თურქულსა და ქართულში კომპონენტური შემადგენლობით და მნიშვნელობით ერთნაირი ფრაზეოლოგიზმი “გული საგულეში არ ეტევა“; ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის მიხედვით “ხარობს, დაფრინავს“; “ფრაზეოლოგიური შესატყვისი ქართულში: “მეცხრე ცაზეა, ფრთებს შლის“.

“Uçuyordu. *İçi içine sığmıyor*, taksinin daha, çok daha hızlı gitmesini istiyordu. Çiftliğe çabuk varsaydılar! Yasin Ağa, “Şer’i şerif üzere nikah kıyılmadan kızın yanına yanaşmak yok ha Ramazan! Demişti. Demişti ama ne haberi olcaktı onun?” (HÇ. s.7)

„*გული უღელავს*, უნდოდა მანქანას უფრო ჩქარა ევლო და ბატონის სახლში გამზადებული ოთახში მალე შესულიყო. ამის შემხედვარე იასინ-ალა უთუოდ წამოიძახებს: “*ისლამური წესის დაუცველად ქალს ვერ გაეკარები, რამაზან!*“ (ქალბატონი ბატონის, გვ.7)

ქართული და თურქული ტექსტების შედარებისას ფრაზეოლოგიზმები აზრობრივად და შინაარსობრივად მსგავსია. თურქულ ტექსტში „*İçi içine sığmıyor*„ ასეა გადათარგმნილი. ქართულ ტექსტში კი „*გული უღელავს*“

**İçini çekmek:**ღრმად ამოიხვრა

“*İçini çekti*. “Ah bıyıkları da olsaydı şimdi!” (HÇ.s.7)

„*დაჯავრიანებულმა რამაზანმა ღრმად ამოიხვრა*. “*ულვაშები რომ მქონდეს...*“ (ქალბატონის მამული, გვ.8)

ქართული და თურქული ტექსტების შედარებისას ფრაზეოლოგიზმები აზრობრივად მსგავსია. თურქულ ტექსტში „*İçini çekti*“ ასეა გადათარგმნილი. ქართულ ტექსტში კი „*ღრმად ამოიხვრა*“.

‘*Açtı ağzını, yumdu gözünü.*’ ლანძღვა- გინება.

“*Açtı ağzını yumdu gözünü, sesimi çıkarıp tek kelime söylemedim. Niyetin gene bozuksa, hiç zahmet etme, basıp gideyim!*” (EK. s.227)

„*აკი საყვედურებით ამავსე, იმდენი მლანძღე და მაგინე. მე კი შენთვის საპასუხოდ არაფერი მითქვამს... თუ ისევ აპირებ ჩემს შეჩვენებას, ნუ გაირჯები... ახლავე ავდგები და წავალ!*“ (უცხო ქალი, გვ.185)

თურქული ანდაზა *“Açtı ağzını yumdu gözünü,”* ქართულად ასეა თარგმნილი *“აკი საყვედურებით ამავსე, იმდენი მლანძღე და მაგინე,”* აზრობრივად მსგავსია ორიგინალ ტექსტში არსებული ანდაზისა.?

*‘Köprüden (köprüyü) geçinceye kadar ayıya dayı derler’* ქართული შესატყვისია „დათვი რომ მოგერევა ბაბაი დაუძახეო“

*“Aliye ananın kafasından Nazan geçti. Köprüyü geçene kadar ayıya dayı demeli, sakalına göre tarak vurmalydı. Hani hiç te yüzüne güldüğü yok...” (EK. s.250)*

*„ალიე ანა დაფიქრდა. ქალს ისევ ნაზანი დაუდგა თვალწინ. როგორ მივუდგე? სანამ ხიდზე გახვიდოდე დათვს ბიძა უნდა დაუძახო და მიეფერო. სავარცხელიც კაცს წვერის მიხედვით უნდა შეურჩიო... არა, ასე არ ივარგებს... დისშვილისთვის ერთხელაც არ გამიღიშია და გული არ გადამიშლია“ (უცხო ქალი, გვ.23)*

ორიგინალი და თარგმნილი ტექსტების შედარებისას თურქული ანდაზა *„Köprüden (köprüyü) geçinceye kadar ayıya dayı derler“* ქართულ თარგმანში აზრობრივად მსგავსია. *„სანამ ხიდზე გახვიდოდე, დათვს ბიძა უნდა დაუძახო და მიეფერო“, თუმცა ბაბა შეცვლილია ბიძით.*

*“Kara gün kararır kalmaz.”* ქართული შესატყვისია *„უბედურებასაც დასასრული აქვს“*

*“Allah gümüş kapıyı kaparsa altın kapıyı açar.”* atasözü işi bozulan kişi umutsuzluğa düşmemeli, Tanrı'nın onu daha iyi bir işe kavuşturacağına inanmalıdır anlamına gelmektedir.

*“Allah gafururrahimdir oğlum, düşünme. Bir kapıyı kaparsa, bir kapıyı açar. Karagün kararır gider mi?” (EK. s.479)*

*„ღმერთი მოწყალეა, შვილო, ნუ ჯავრობ. ერთ კარს თუ დაგიკეტავს, მეორეს ღიად დაგიტოვებს, გაჭირვება ვის არ უნახავს“*(უცხო ქალი, გვ.390)

ორიგინალი და თარგმნილი ტექსტების შედარებისას თურქული ანდაზა „*Kara gün kararır kalmaz.*“ შესაძლებელია ითქვას რომ სიტყვასიტყვითაა არა თარგმნილი. „*გაჭირვებავის არ უნახავს*“ მეორე მონაკვეთში არსებული ანდაზა კი „*Allah gümüş kapıyı kaparsa altın kapıyı açar.*“ ქართულად ასე უთარგმნია „*ერთ კარს თუ დაგიკეტავს, მეორეს ღიად დაგიტოვებს*“.

**Etekleri zil (ıslık veya çalpara) çalmak:** ძალიან გახარება.

*“Oğlumla aram açıldı eteklerin zil çalıyordu!..”(EK. s.103)*

*„შვილთან ჩხუბი ექნებაო, იფიქრედა გიხაროდა!„*(უცხო ქალი, გვ. 83)

ორიგინალი და თარგმნილი ტექსტების შედარებისას თურქული ფრაზეოლოგიზმის ქართული თარგმანი იმავე აზრს გადმოსცემს, რასაც ორიგინალი ტექსტი.თურქული „*eteklerin zil çalıyordu*“ ქართულად „*გიხაროდა!*“ ისე გადათარგმნილია და შინაარსობრივად ერთი და იგივეა.

**Dünya gözü ile görmek:** სიკვდილამდე დანახვა.

*“Dünya gözüyle göreyim!..”(EK. s.118)*

*“ღღის სინათლეზე შეავლო თვალი!„*(უცხო ქალი, გვ.95)

ორიგინალი და თარგმნილი ტექსტების შედარებისას თურქული ფრაზეოლოგიზმის „*Dünya gözüyle göreyim*“ ქართული თარგმანია „*ღღის სინათლეზე შეავლო თვალი!*“, იმავე აზრს გადმოსცემს, რასაც ორიგინალი ტექსტი.

**Canını cehenneme göndermek (yollamak):** მოკვლა(ქარგონი)

*“Öyle kaynanam olsa, vallahi girtlağını sıkar canını cehenneme yollardım..”(EK. s.108)*

*„ასეთი დედამთილი რომ მყავდეს, ღმერთმანი, ჩემი ხელით  
დავახრჩობდი და მის სულს ჯოჯობეთში ეშმაკებთან  
გავამგ ზავრებდი“ (უცხო ქალი, გვ.88)*

ორიგინალი და თარგმნილი ტექსტების შედარებისას თურქული ფრაზეოლოგიზმის „*canını cehenneme yollardım*“ ქართული თარგმანია *ჯოჯობეთში ეშმაკებთან გავამგ ზავრებდი*“ სიტყვასიტყვითა შესრულებული.

#### 4.6. ლოცვის, წყევლის, ფიცის ფორმულები

მყარი შესიტყვებები, ფორმულები, ასევე მყარი მნიშვნელობებით, მთარგმნელისათვის ასევე „საჯილდაო ქვაა“. მათ, როგორც ენის ღრმად სპეციფიკურ ფორმებს, მთარგმნელმა უნდა მოუნახოს ქართული შესატყვისი. ვნახოთ, როგორ ახერხებენ ამას ჩვენი მთარგმნელები.

ლოცვის ფორმულები სიტყვა სიტყვით არის ნათარგმნი, მნიშვნელობა შენარჩუნებულია

*„Ooooh,‘ dedi. ‘Allah senden razı olsun yavrım. Biraz kendime geldim. İnşallah ağladığımnan kalırım...’”(VV. s.384)*

*“ღმერთმა გიშველოს, შვილო, როგორც შენ ახლა მე მიშველე, და ალაჰმა მაკმაროს ეს ცრემლები, ამინ!,(უბედური შემთხვევა. გვ.229)*

ორიგინალი ტექსტის პირველი წინადადება „*Allah senden razı olsun yavrım*“ ქართულად ნათარგმნია, როგორც: *„ღმერთმა გიშველოს, შვილო“*. ამასთანავე, თურქული ტექსტის მეორე წინადადება „*İnşallah ağladığımnan kalırım*“ ქართულ ტექსტში გვხვდება: *“ალაჰმა მაკმაროს ეს ცრემლები, ამინ!,”* ასევე ვხედავთ, რომ ორ წინადადებაში გამოყენებული ლოცვები ქართულში სხვაგვარად გვხვდება. მკითხველისთვის უფრო გასაგებ ენაზე საუბრობს მთარგმნელი.

*“İstanbul’a ayak bastıklarının ertesı günü, Sirkeci’den Bahçekapı’ya inerlerken, çarşafılı kadınlara rastlamışlardı. İçlerinden biri peçesini kaldırıp Cemşir’e hayranlıkla baktıktan sonra, kendini tutamamış, “Maşallah,” demişti, “kırk bir kere... Seni yaradana kurban olayım!””(VV. s.4)*

*“სტამბოლში ჩასვლის მეორე დღეს, როცა სირქეჯიდან ბაჰჩექაფიაში მიმავალ გზას მიჰყვებოდნენ, შუახნის ჩადრიან ქალებს გადაეყარნენ. ერთმა მათგანმა ველარ მოითმინა, ფეჩე აიწია და ჯემშირის სილამაზით მოხიბლულმა*



მოურიდეზლად მიაძახა: *“მაშჲალლაჲ!... შენს მშობელ დედას ვენაცვალე...”*(*უბედური შემთხვევა. გვ. 5*)

თურქულ ტექსტში დალოცვა *“Maşallah” demişti, ... Seni yaradana kurban olayım!* მთარგმნელს *„მაშჲალლაჲ!... შენს მშობელ დედას ვენაცვალე...“*-დ აქვს გადმოტანილი, რაც სიტყვა სიტყვით შეესაბამება ორიგინალ ტექსტს.

*“Mübarek olsun bacı, İnşallah mesut olurlar. Madem iki gönül birbirlerini sevmiş...”*(*VV. s.249*)

*“რახან ერთმანეთი ჰყვარებიათ და ასე სურვებიათ, ღმერთმა აბედნიეროთ!*(*უბედური შემთხვევა. გვ.152*)

ზემოხსენებულ ტექსტში დალოცვა *„İnşallah mesut olurlar“* მთარგმნელს სრული სიზუსტით აქვს გადმოტანილი *„ღმერთმა აბედნიეროთ!“*

*“Allah razı olsun senden, benim iyi huylu kızım. Allah gönlüne göre versin...”*(*VV. s.381*)

*“ღმერთმა გაგახაროს, შვილო, რა კეთილი ხარ, ალაჲს ვთხოვ ისე გიწყალოზოს, როგორც შენი სათნო გულია.”*(*უბედური შემთხვევა. გვ.227*)

ორიგინალი ტექსტი და ნათარგმნი სრული სიზუსტითაა გადმოცემული.

*“Allah senden razı olsun,” dedi. “Yüreğime su serptin...”*(*VV. s.385*)

*“ღმერთმა გიშველოს! გული გამიმავრე...”*(*უბედური შემთხვევა. გვ.230*)

ორიგინალ ტექსტში *„Allah senden razı olsun“* ქართულ თარგმანში გვხვდება ასე *“ღმერთმა გიშველოს!,”* რაც სიტყვა სიტყვით თარგმანს წარმოადგენს.

*“Allah daha ziyade etsin beyim. Bir yerine bin versin. Kesene Halil İbrahim bereketi versin...”*(*HÇ. s.228*)

*„ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ბატონო, ერთის მაგიერ ათასი მოგცეს! საფულეს ბაქარა არ მოკლებოდეს!“*(ქალბატონის მამული, გვ.174)

ორიგინალ ტექსტში გამოყენებული ლოცვა *„Allah daha ziyade etsin beyim. Bir yerine bin versin. Kesene Halil İbrahim bereketi versin,“* ქართულ თარგმანში, *„ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ბატონო, ერთის მაგიერ ათასი მოგცეს! საფულეს ბაქარა არ მოკლებოდეს!“* ასე სიტყვასიტყვითაა გადმოტანილი, რომელთა მნიშვნელობა ერთნაირია.

*“Güllü uzatmamak için, “Allah yardımcın olsun!” dedi. Odadan çıktı.(HÇ. s.38)*

*„გულუმ მოკლედ მოუჭრა: “ღმერთმა ხელი მოგიმართოს!-ოთახიდან გავიდა“*(ქალბატონის მამული, გვ.33)

ორიგინალ ტექსტში გამოყენებული ლოცვა *„Allah yardımcın olsun“* ქართულ თარგმანში *„ღმერთმა ხელი მოგიმართოს!“* სიტყვასიტყვითაა თარგმნილი.

*“Diline sağlık.” (HÇ. s.143)*

*„თქვენ ენას შაქარი, რეშიდ ალა!“*(ქალბატონის მამული, გვ.107)

ორიგინალ ტექსტში გამოყენებული ლოცვა *„Diline sağlık“* ქართულ თარგმანში *„თქვენ ენას შაქარი“* სიტყვასიტყვითაა თარგმნილი.

*“Hem de diyormuş ki, Reşit Emmi'mnen avradını çütlüğe mücerret isterim diyormuş. Kurban olayım o Allah'. Ben üryasını görüp duruyordum zati.”(HÇ. s.150)*

*„რა უთქვამს, იცი, რეშიდ ბიძა და მისი ცოლი საჩქაროს აქ მომიყვანეთო. ვენაცვალე ღმერთს!... ყოველ დღე სიზმრებს ვნახულობდი!“*(ქალბატონის მამული, გვ.112)

ორიგინალ ტექსტში გამოყენებული ლოცვა *„Kurban olayım o Allah“* ქართულ თარგმანში *„ვენაცვალე ღმერთს!“* სიტყვასიტყვითაა თარგმნილი.

*“Allah selamet versin!”*

*“Amin. Amin amma, neyse... Epey kahrımızı çektiydi...” (HÇ. s.191)*

**„ღმერთმა ხელი მოგიმართოს!„**

*“ამინ... კაი კი იყო, კარგი მასპინძლობა იცოდა...” (ქალბატონის მამული, გვ.145)*

ორიგინალ ტექსტში გამოყენებული ლოცვა *„Allah selamet versin“* ქართულ თარგმანში **„ღმერთმა ხელი მოგიმართოს!“** სიტყვასიტყვითაა თარგმნილი.

*“Kemal sözü ağzından çıkarıvermişti. Durdu. Gözleri daldı. Pakize de anlamıştı. Bir zaman, konuşmadan bakıştılar. Sonra Pakize, “Allah rahmet eylesin,” dedi.” (HÇ. s.244)*

*„ქემალის ხსენებაზე გაჩერდა, თვალიერთ წერტილს შეაჩერა და ფიქრს მიეცა. ფაქიზე მიხვდა, ერთხანს უსიტყვოდ უცქირა, მერე თქვა: “ღმერთმა აცხონოს!“ (ქალბატონის მამული, გვ.187)*

ორიგინალ ტექსტში გამოყენებული ლოცვა *„Allah rahmet eylesin“* ქართულ თარგმანში **„ღმერთმა აცხონოს!“** სიტყვასიტყვითაა თარგმნილი.

*“Muzaffer Bey hemen elini çekti:*

**“ Allah göstermesin!” (HÇ. s.265)**

*„მუზაფერ-ბეიმ ხელი უკან წაიღო.*

**“ღმერთმა ნუ ქნას!“ (ქალბატონის მამული, გვ.202)**

ორიგინალ ტექსტში გამოყენებული ლოცვა *„Allah göstermesin!“* ქართულ თარგმანში **„ღმერთმა ნუ ქნას!“** სიტყვასიტყვითაა თარგმნილი.

*“Ne var sıkılacak? Az bulur az yeriz, çok bulur çok. Allah ölüm kederi vermesin, bes. Can sağlığı olduktan sonra, her şeye çare bulunur!” (HÇ. s.293)*

*„რატომ ნერვიულობ?! ცოტა გვექნება- ცოტას ვჭამთ, ბევრი გვექნება ბევრს ვჭამთ! ღმერთმა ოღონდ სიკვდილი გვაშოროს.*

ოღონდ ჯანმრთელი ვიყოთ და ყველაფერი  
იქნება“ (ქალბატონის მამული, გვ.224)

ორიგინალ ტექსტში გამოყენებული ლოცვა „Allah ölüm kederi vermesin“  
ქართულ თარგმანში „ღმერთმა ოღონდ სიკვდილი გვაშოროს“ სიტყვასიტყვითაა  
თარგმნილი.

ლოცვები

“Allah taksiratını affetsin, dedi babacan komser.” (EK. s.11)

“იქნებ შეუნდოს ღმერთმა ავხორცობა,- ჩაილაპარაკა  
კომისერმა„ (უცხო ქალი, გვ.10)

თურქულ ტექსტში დალოცვა „Allah taksiratını affetsin“ მთარგმნელს “იქნებ  
შეუნდოს ღმერთმა ავხორცობა„ ამგვარად აქვს გადმოტანილი, რაც სიტყვა  
სიტყვით შეესაბამება ორიგინალ ტექსტს.

“Allah insanı şaşirtmasın...”

“Amin.” (EK. s.11)

“ღმერთმა ნუ შეშალოს ადამიანი...„

“ამინ!„ (უცხო ქალი, გვ.10)

თურქულ ტექსტში დალოცვა „Allah insanı şaşirtmasın“ მთარგმნელს “ღმერთმა ნუ  
შეშალოს ადამიანი“ ამგვარად აქვს გადმოტანილი, რაც სიტყვა სიტყვით  
შეესაბამება ორიგინალ ტექსტს.

“İhtiyar kadın “kadere rıza” göstererek, boyun eğdi: “Peki oğlum,  
dedi. Allah sizi mesut etsin!” (EK. s.32)

“მოხუცი დედამთილი შვილს ქალიშვილთან ჩასვლაზე  
დაეთანხმა. -კარგი, წავალ, შვილო. ღმერთმა თქვენ გამოყოფოდ  
ნეტარებაში და მე არაფერი მიჭირსო, -უთხრა„ (უცხო  
ქალი, გვ.27)

თურქულ ტექსტში დალოცვა „Allah sizi mesut etsin” მთარგმნელს „ღმერთმა თქვენ გამყოფოდ ნეტარებაში“ ამგვარად აქვს გადმოტანილი, რაც სიტყვა სიტყვით შეესაბამება ორიგინალ ტექსტს.

*“Allah razı olsun, Allah ömrü muazzezlerini Müjdat eylesin! Eve alınıp götürülecek bir şey varsa emredin beyefendi!”(EK. s.42)*

*„მადლობელი ვარ, ღმერთმა ჯანმრთელობა და დიდ ხანს სიცოცხლე მოგცეს! სახლში გასაგზავნი თუ რამე გაქვთ, მიბრძანეთ, ჩემო ალა.“(უცხო ქალი, გვ.35)*

თურქულ ტექსტში დალოცვა „Allah razı olsun, Allah ömrü muazzezlerini Müjdat eylesin” მთარგმნელს „ღმერთმა ჯანმრთელობა და დიდ ხანს სიცოცხლე მოგცეს!“ ამგვარად აქვს გადმოტანილი, რაც სიტყვა სიტყვით შეესაბამება ორიგინალ ტექსტს.

*“Seni doğuran, bu boya getiren onlar. Git yanlarına. Allah sizi birbirinize mübarek etsin!”(EK. s.54)*

*“შენი მშობელი და ამ დონემდე მომყვანნი ხომ ისინი არიან. ჰოდა, მიდი მათთან. ღმერთმა ერთმანეთით გაზედნიეროთ!„  
(უცხო ქალი, გვ.45)*

თურქულ ტექსტში დალოცვა „Allah sizi birbirinize mübarek etsin!” მთარგმნელს „ღმერთმა ერთმანეთით გაზედნიეროთ!“ ამგვარად აქვს გადმოტანილი, რაც სიტყვა სიტყვით შეესაბამება ორიგინალ ტექსტს.

*“Güle güle beyefendi, Allah çoluk çocuğunuzu bağışlasın, Allah taş diye tuttuğunuzu...”(EK. s.90)*

*“ღმერთმა კარგად გამყოფოთ... ცოლ-შვილი გაგიზედნიეროთ გამჩენმა. ხელში აღებული ქვა ოქროდ გექცეთ, ჩემო ალა....”  
(უცხო ქალი, გვ.72)*

პირდაპირი თარგმანია.

*“İşiniz oldu mu?”*

*“Oldu efendim. Akşam başlıyorum... Allah beyefendiyi size bağışlasın. Allah taş diye tuttuğunu altın etsin!”(EK. s.112)*

*“რიზა, თქვენი საქმე მოგვარდა?”*

*“მოეწყო, ხანუმ. ამ საღამოს მოშაობას ვიწყებ... ღმერთმა ხელი მოგიმართოთ თქვენ და თქვენს აღას...” (უცხო ქალი, გვ.90-91)*

თურქულ ტექსტში დალოცვა „*Allah beyefendiyi size bağışlasın*“ ქართულ თარგმანში „*ღმერთმა ხელი მოგიმართოთ თქვენ და თქვენს აღას*“ პირდაპირ თარგმანია, მაგრამ არასრული. თურქულ თარგმნის შემდეგი ფრაზა აკლია. (*Allah taş diye tuttuğunu altın etsin*)

Sonra seccadesine diz çöküp rabbine el açtı:

*“Ya rabbi! Sana sığındım. Sen oğlumun yüreğine benden yana merhamet ver. Kötülerin sözüne uydurma. Hizmetçi yapılı gelinimi cehennemine esfelessafiline yolla, ama bar kızını da onun yerine getirme. Sen küllü şeylere kadirsin. Şurda, evlatçamızın yanibaşında, torunumla birlikte, gelin gölgesinden uzak bir hayat ihsan eyle yarabbi! Sana sığınyorum. Sen gafurrahimsin. Senden gizli hiçbir şeyim yok. Arada ibadetimde kusur ediyor, beş vakit namazımı kaçırdığım oluyorsa da, sen günahlarımı affedersin ya rabbi.....”(EK. s.148)*

*“ზოლოს იგი მუხლებით დაეყრდნო საჯადეს და ღმერთს შეევედრა:*

*“ღმერთო, ჩემო! გვედრები, ნუ გამწირავ, ასწავლე ჩემს შვილს დედისადმი მოკრძალებდა და ცუდი ადამიანების სიტყვას ნუ ააყოლებ. ჩემი უვარგისი რძალი ჯოჯოხეთს იქით გაისტუმრე და მის ადგილას “ზარის ქალს, ნუ დამისვამ! ყოვლის შემძლეო და ყოვლადძლიერო, გვედრები, დამატკბე შვილთან და*

შვილიშვილთან ცხოვრებით, გაგვიქრე რძლის აჩრდილი.  
შემინდა, ყოვლადძლიერო და მწყალობელო, შენგან  
საიდუმლო არაფერი მაქვს. ზოგჯერ თუ ლოცვებს ვაცდებ  
ხოლმე და ყოველდღე ვე ვახერხებ ხუთჯერ ჩატარებას, ესეც  
მაპატიე, დიდო მწყალობელო...”(უცხო ქალი. გვ.119)

პირდაპირი თარგმანია.

*“Desem ki: Erkeğin elinin kınasıdır Yavrum. İyi ediyorsun. Böyle  
sünepe karıya müstahak, desem bir iki demez Nazan’ı silker atar.  
Ama demem. Allah göstermesin. Çocuğu var..”(EK. s.154)*

“რომ ვუთხრა, უსუფთაოა, კარგს იზამ ასეთ სულელსა და  
უვარგის ქალს თუ მოიშორებ-მეთქი, მაშინვე დამიჯერებს და  
ნაზანს ოჯახიდან სულ კინწისკვრით გააგდებს. მაგრამ ამას  
როგორ ვიკადრებ, ღმერთმა დამიფაროს, მაინც ბავშვი ჰყავს...”,  
(უცხო ქალი, გვ.124)

პირდაპირი თარგმანია.

*“Allah insanı kötü kişilere akraba değil, komşu bile etmesin.”(EK.  
s.245)*

“ისიც სწორია, რომ ამბობენ, ცუდი ნათესავისა და ბოროტი  
მეზობლისაგან კაცს ღმერთი ვერ დაიხსნისო.. (უცხო ქალი,  
გვ.199-200)

აზრობრივი თარგმანია..

*“Yaaa, Allah beterinden saklasın.” (EK. s.273)*

“ჰოოოო... უარესი ღმერთმა გაშოროთ, ეუბნებოდა მეორე..,  
(უცხო ქალი, გვ.224)

პირდაპირი თარგმანია.

*“Allah razı olsun. Allah seni iki cihanda aziz etsin yavrum.”(EK. s.343)*

*“ღმერთმა სიკეთე მოგცეს, შვილო. საიქიოსაც ბედნიერად გამოყოფოს ყოვლადღლიერმა...” (უცხო ქალი, გვ.283)*

პირდაპირი თარგმანია.

*“Allah seni iki cihanda aziz etsin yavrum, Allah taş diye tuttuğunu altın etsin.”(EK. s.388)*

*“ღმერთმა აქაც გაგახაროს და საქიოშიც გაცხონოს, შვილო, ხალში აღებული ქვა ოქროდ გაიქციოს...” (უცხო ქალი, გვ.320)*

პირდაპირი თარგმანია.

პირდაპირი თარგმანი არ გადმოუცია, მაგრამ ტექსტში მნიშვნელობა შენარჩუნებულია:

*“Yaksın, helal olsun ona her şey. Tu tu tu... Kırk bir kere maşallah!”(VV. s.9)*

*„რასერჩით, ქალები, ენას კბილი დაადგით, ღმერთის ნუ სცოდავთ, ჯავარი ფაშასავით კაცია!“ (უბედური შემთხვევა, გვ.8)*

ორიგინალი ტექსტის პირველი წინადადება „*Kırk bir kere maşallah!*“ ქართულ თარგმანში „*ენას კბილი დაადგით, ღმერთის ნუ სცოდავთ*“-სეა გადათარგმნილი. ასევე ორიგინალი ტექსტი ქართულ თარგმანში სხვაგვარად გვხვდება. მკითხველისთვის უფრო გასაგებ ენაზე საუბრობს მთარგმნელი.

*“Babasını dişsiz ağzıyla güler bırakıp koşarak çıkmıştı huğdan. Kızının ardından uzun uzun bakan babaysa, “Allah gönlüne göre verir inşallah yavrum,” diye geçirmişti.”(VV. s.146)*



“მამამ თვალი გააყოლა და გულში გაივლო“

„ღმერთსა ვთხოვ, გაუმართლოს დაბედნიერი იყოს, მისი ცუდი ალაჰმა ნუ მომასწროს...“(უბედური შემთხვევა, გვ.91)

ორიგინალ ტექსტში „*Allah gönlüne göre verir inşallah yavrum*“ მთარგმნელს გადმოუტანია, როგორც: „ღმერთსა ვთხოვ, გაუმართლოს და ბედნიერი იყოს, მისი ცუდი ალაჰმა ნუ მომასწროს“. სიტყვასიტყვით არ თარგმნის, მაგრამ შინაარსობრივად მსგავსია ორიგინალი ტექსტისა.

“*Meryem, oğlunun gelip gelmediğini tam soracaktı ki Şişko Diyar geniş kenarlı fötr şapkasını çıkarıp, “Başın sağ olsun Meryem,” dedi. “Allah başka keder vermesin!”(VV. s.395)*

“დიაპის სქელი ტურები ცივად ამოდრავდნენ:

„მწუხარების მონაწილე ვარ, მერიემ, რასიზამ... ღმერთმა სიმწარე გაკმაროს...“(უბედური შემთხვევა, გვ.235)

“*Allah başka keder vermesin!*” ორიგინალ ტექსტში და ქართულ თარგმანში „ღმერთმა სიმწარე გაკმაროს“ ასეა. ასევე ერთი და იგივე სიტყვებითაა გადმოცემული.

“*Baban, deden... Nur içinde yatsınlar.Ne Avrupa bilirdi ne Amerika. Onlar da ağaydı, onlar da beydi.”(VV. s.110)*

“*ცხონებულმა მამაშენმა არც ევროპა იცოდა და არც ამერიკას და ეძებდა, მაგრამ ერთი ღირსეული ბეი იყო...“(უბედური შემთხვევა, გვ.69)*

თურქულ ტექსტში „*Nur içinde yatsınlar*“ ქართულად „*ცხონებულმა*“ ასეა თარგმნილი.

“*Kurban olsun. Senin adamlığın sana yeter de, artar da...”(HÇ. s.18)*

*“შენი ჭირი წაუღია, შენი ადამიანობა შენ ყოველთვის გაქვს!” (ქალბატონის მამული. გვ.16)*

ორიგინალ ტექსტში გამოყენებული ლოცვა *“Kurban olsun,,* შინაარსობრივად მსგავსია ქართული თარგმანისა *„შენი ჭირი წაუღია,,*

*“Sen bu işi görür misin?”*

*“A teyze, elbette. Sen hiç meraklanma, bu işi olmuş bil!”*

*“Eksik olma Naciye. Ben de tanımak isterdim o ebe Hüsne’yi...” (EK. s.65)*

*“შენ მომიგვარებ ამ საქმეს?,,*

*“კი, დეიდა, როგორ არა. მაგის ჯავრი ნუ გექნება. შეგიძლია ეს საქმე მოგვარებულად ჩათვალო...,,*

*“გმადლობთ, ჩემო ნაჯიე. ისე, მეც მინდოდა გამეცნო ის ბებიქალი ჰუსნე...,, (უცხო ქალი, გვ.54)*

თურქულ ტექსტში დალოცვა *„Eksik olma Naciye”* მთარგმნელს *„გმადლობთ, ჩემო ნაჯიე,,* ამგვარად აქვს გადმოტანილი, რაც აზრობრივი შეესაბამება ორიგინალ ტექსტს.

*“İstanbul’da olsa ben de isterdim ama, burada... Allah göstermesin! Şu konturatım bitsin de...” (EK. s.79)*

*“სტამბოლში რომ იყოს, მეც ვისურვებდი, აქ კი ვინ გაჩერდება? ღმერთმა ნუ ქნას! ერთი ეს კონტრაქტი დამიმთავრდეს და...,, (უცხო ქალი, გვ.63)*

თურქულ ტექსტში დალოცვა *„Allah göstermesin!”* მთარგმნელს *„ღმერთმა უქნას!,,* ამგვარად აქვს გადმოტანილი, რაც სიტყვა-სიტყვითი არ შეესაბამება ორიგინალ ტექსტს, მაგრამ აზრობრივად კარგია.

*“Estağfurullah beyefendi, haşa...”*

*“Git bar sahibini gör. İşin oldu!”*

*“Oldu mu? Allah razı olsun beyefendi. Allah taş deyî tuttuğunu altın etsin. Allah...”(EK. s.89)*

*“რის შეწუხება, ჩემო ალა? როგორ გეკადრებათ! ისევ ლელავდა რიზა..”*

*“დილით მიდი ბარის პატრონთან... შენი საქმე მოგვარებულია!..”*

*“მოგვარებულია? უღრმესი მადლობა..”(უცხო ქალი. გვ.72)*

თურქულ ტექსტში დალოცვა *“Allah razı olsun beyefendi. Allah taş deyî tuttuğunu altın etsin. Allah,”* მთარგმნელს *“უღრმესი მადლობა,”* ამგვარად აქვს გადმოტანილი, რაც აზრობრივი თარგმანია.

*“Çocuğu var. Benim kalbim temiz, yüreğimde Allah korkusu var. Başka kaynakalar gibi müfsit değilim. Beş vakit namazımda oturur kalkar dua ederim ki, Cenabı Allah dirlik düzenlik versin, ağzlarının tadını kaçırmayın...”(EK. s.153)*

*“ბავშვი ჰყავს და ვერ გავიმეტე! არავის წინაშე ბრალი არ მიმიძღვის. ღმერთი მწამს და სხვა დედამთილებივით დამსმენი და წამქეზებელი არა ვარ. დღეში ხუთჯერ ნამაზს ვკითხულობ და ყოვლადძლიერს სულ იმასა ვთხოვ, ეს ქალი შეინდოს და შეიწყალოს, მის ოჯახს სიკეთე და ბედნიერება არ მოუშალოს...” (უცხო ქალი, გვ.123)*

აზრობრივი თარგმანია.

თარგმანი არ არის

*“Hoş geldiniz Hafız Efendi Amca!”*

*“Hoş bulduk yavrum, hoş bulduk... Nasılsın?”*

“Teşekkür ederim, iyiyim.”

“Allah daha iyi etsin!”(VV. s.80)

ქართული

-----*(უბედური შემთხვევა, გვ.51)*

თურქულ ტექსტში „Allah daha iyi etsin“ ქართულ თარგმანში არ არის.

“Dedesinin babası öyle yapmamış mıydı? Yasin Ağa bunun iyisini biliyordu, kaç sefer anlatmıştı. “Herifte tövbe mide yoktu, Allah rahmet eylesin. Hanım hanım avratlarının üstüne tuttu aptal kızını nikaladı çıktı!”(HÇ. s.99)

„მუზაფერ-ბეის ბაბუა უარესი მსუნაგი ყოფილა. მისი ცოდვები იასინ-ალა კარგად იცოდა. ბევრჯერ უთქვამს კიდევ-ოთხი მშვენიერი ცოლი ჰყავდა და ბოლოს ერთი ნახევრადსულელი მოცეკვავე ქალი შეირთო... (ქალბატონის მამული, გვ.75)

ორიგინალ ტექსტში გამოყენებული ლოცვა „Allah rahmet eylesin“ ქართულ თარგმანში არ გვხვდება.

წყევლები

სიტყვა სიტყვით არის ნათარგმნი მნიშვნელობა შენარჩუნებულია

“Güllü’nün anası, “Kalkamazsın inşallah!” diye geçirdi. Reşit alev alev gözlerini kırıştıtararak, ‘Sen hiç merak etme,’ dedi. İşi bana bırak. Yol yoluyunan, orman baltaynan. Sen hiç keder etme.”(VV. s.58)

“არამც აგაყენა ღმერთმა, გაიფიქრა გულუს დედას. რეშიდმა ანთებული თვალებით გადახედა გულუს მშობლებს. “შენ ნუ სწუხარ, ამ საქმეს მე ისე მოვაგვარებ, როგორც წესი და რიგია. ოღონდ არ იჯავრო, მე ვიცი რაც უნდა გავაკეთო...”(უბედური შემთხვევა. გვ.49)

მთარგმნელს თურქული ტექსტიდან წყევლა სიტყვასიტყვით გადმოუტანია. თურქულ ტექსტში **„Kalkamazsın inşallah!“** ქართულ თარგმანშიც **„არამც აგაყენა ღმერთმა,** ასეა გადათარგმნილი.

*“Güllü nefretle, “Adı batsın!” dedi. Durdu*

*“Adı batsın mı?”*

*“Adı batsın tabii...”*

*“Niye?”*

*“Niye olacak, öyle babanın Allah iki gözünü kör etsinde sürüm sürüm süründürsün!” (HÇ. s.94)*

*„გულუმ ზიზილით უპასუხა: „არ გამაგონო მაგის სახელი!„*

*“მუზაფერ-ბეის გაუკვირდა.*

*“რატომ? მისი სახელი არ გამაგონოო?„*

*“ხო! მასეთ მამას ღმერთი ორივე თვალს დაუფსებს და გლახად, დააგდებს!” (ქალბატონის მამული, გვ.71)*

ორიგინალ დიალოგის პირველში გამოყენებული წყევლა **„Adı batsın“** ქართულ თარგმანში **„არ გამაგონო მაგის სახელი!“** ასეა გადათარგმნილი. ასევე შინაარსობრივად და აზრობრივად მსგავსია. ორიგინალ ტექსტის ბოლოს გამოყენებული წყევლა კი **„Allah iki gözünü kör etsinde sürüm sürüm süründürsün!“** ქართულ თარგმანში **„ღმერთი ორივე თვალს დაუფსებს და გლახად, დააგდებს!„** ასეა გადათარგმნილი და სიტყვასიტყვითაა თარგმნილია.

*“İşte nihayet, baba, dede yurdundan çok daha yakın bildiği yerlerden kovulmuştu. Elinde büyüyen, omzunda gezdirdiği Muzaffer, “Cehennem dibine kadar yolun var!” demişti!” (HÇ. s.107)*

*„იგი მშობლიურ კარ-მიდამოზე უფრო საყვარელ ადგილიდან გააძევეს. მის ხელში გაზრდილმა მუზაფერ-ბეიმ ჰკადრა: ჯოჯოხეთს იქით გზა ჰქონნიაო“ (ქალბატონის მამული, გვ.82)*

ორიგინალ ტექსტში გამოყენებული წყევლა, „*Cehennemine dibine kadar yolun var!*“ ქართულ თარგმანში სიტყვასიტყვითაა თარგმნილი „*ჯოჯობხეთს იქით გზა ჰქონნიაო.*“

*“Efendiliği batsın boynuzlunun... Ben şurda yedi kat yabancıyken, dayanamadım yürüdüm de, o geyik...” (HÇ. s.140)*

*„დაიღუპოს მისი ეფენდობა, რქიანი! მე გარეშე კაცმა ვერ მოვითმინე ასეთი უმსგავსობა და წამოვვდი. იგი კი...“ (ქალბატონის მამული, გვ.106)*

ორიგინალ ტექსტში გამოყენებული წყევლა „*Efendiliği batsın boynuzlunun*“ ქართულ თარგმანში გვხვდება, როგორც „*დაიღუპოს მისი ეფენდობა, რქიანი!*“ წყევლა სიტყვასიტყვითაა თარგმნილი.

*“Allah iki gözünü kör etsin, sürüm sürüm süründürsün. Allah belanı versin! Cami kapılarına avuç aç. Emeklerim gözlerine dizlerine dursun. Allahkahhar ismiyle kahretsin!...” (EK. s.94)*

*“ღმერთმა თვალები დაგივსოს, ქუჩაში ხელით სათრევი და ქვეყნის მაწანწალა გაგხადოს, უბედურება არ გამოგილიოს, მე კი მეჩეთის კართან ხელოაწვდილს მათხოვრებაში ამომხადოს სული. ღმერთმა წა, გამწაროს ჩემი ამაგი და პატივისცემა...ღმერთმა დაგწყევლოს და შეგაჩვენოს!,, (უცხოქალი,გვ.76)*

პირდაპირი თარგმანია.

*“Kahrolasıca! Oğlu yanına gitmiş de kıskanmışım. Duyanlar da sahi beller..” (EK. s.114)*

*“შე მოსასპობელო! შვილი შენთან შემოსულა და მე ვერ ამიტანია?,, (უცხო ქალი,გვ.92)*

პირდაპირი თარგმანია.

*Bıçak tutan elini boşlukta hınçla sallıyor, söyleniyordu:*

*“Al, al gözü kör olasıca! Al!”(EK. s.116)*

*“იგი დანიან ხელს ზიზღით იქნევდა ჰაერში და თან მთელი ხმით გაჰკვიოდა:*

*“აჰა... აი, ესეც შენ... აჰა, მიიღე!... შე თვალეზდასავსებო!,”  
(უცხოქალი, გვ.93)*

პირდაპირი თარგმანია.

*“Allah hepinizn belasını versin! Bıktım, usandım sizden, illallah!*

*Odadan öfkeyle çıktı gitti.”(EK. s.137)*

*“ღმერთმა შეგაჩვენოთ ყველა! მომწყინდა, მომბეზრდა, დავიტანჯე თქვენს ხელში, ღმერთო!...- იყვირა მაზჰარმა, მერე ხელი ჩაიქნია და გაცეცხლებული ოთახიდან გავიდა...  
(უცხო ქალი, გვ.110)*

პირდაპირი თარგმანია.

*“Annem nerde?”*

*Tepesi attı.:*

*“Gözü çıksın annenin. Çobanı değilim ya!”(EK. s.148)*

*„დედა სადაა?„*

*„თვალი დაეცოს დედაშენს,-გაბრაზდა დედაბერი,- მე მისი მწყემსი ხომ არა ვარ“  
(უცხო ქალი, გვ.120)*

პირდაპირი თარგმანია.

*“Gözü çıksın annenin, unut diyorum sana!”(EK. s.234)*

*„დედასადაა?„*

*“თვალი დაეხსოს დედაშენს,- გაბრაზდა დედაბერი,- მე მისი მწყემსი ხომ არა ვარ..” (უცხო ქალი, გვ.120)*

პირდაპირი თარგმანია.

*“Yeni gelinin bu tavrını işitince “Oh olsun!” diye yürek ağutacaklarına şüphe mi vardı?”(EK. s.273)*

*“როცა გაიგეს, რა ამბავი გადახდა თავს ჰაჯერს, რა თქმა უნდა, იტყოდნენ, ოოჰ, რა კარგი დაგმართნიაო და... გულს გაიხარებდნენ..”(უცხო ქალი, გვ.224)*

პირდაპირი თარგმანია.

*“Naciye aklına Hacer hanım taşınırken kocasının Hacer hanıma ettiği yardım gelinde, yüzü buruştu:*

*“Gözü çıksın!”(EK. s.365)*

*“ნაჯიეს გაახსენდა, როგორ ფაციფუცობდა მისი ქმარი, როცა ჰაჯერ ხანუმს ახალ ბინაზე ეხმარებოდა და სახე მოეღრუბლა.*

*“თვალიც დავსებია!”(უცხო ქალი, გვ.301)*

პირდაპირი თარგმანია.

პირდაპირი თარგმანი არ გადმოუცია, მაგრამ ტექსტში მნიშვნელობა შენარჩუნებულია

*“Allah belasını versin şehrinde, şehirlinin de, Kızlarının da! Bütün bunlar hep onların yüzünden değil mi? Bu saatlere kadar niye kolaydı benim evladım? Sürtükler! Ben yavrularımı onlar için mi doğurdum? Bu boylara onlar için mi getirdim? **Boyunları altlarında kalasicalar. Lanet olsun.** Benim kız gibi oğlumı baştan çıkardılar da. Aaaah ne*



deyim babasına... başına bir iş gelirse yavrumun, deli olur dağlara düşerim gayri. Yavrum benim, canım, ciğerim, Kemal'im!"(VV. s.383-384)

*“ღმერთმა ამოაგდოს ქალაქიცა და მისი ოხერი გოგოებიც, ყველაფერი მაგათი ბრალია, ამ შუალაღმეში ჩემს ბიჭს მასთან რა უნდა, იმ ნათრევთან რა საქმე აქვს? განა შვილები მაგათთვის ვზარდე. მაგენი გადაშენდა! ქალივით მორცხვი ჩემი ქემალიც კი აიყოლიეს. მე რა ვუთხარი მამამისს! ეს რა იყო, ბიჭს რომ რამე მოუვიდეს, მე ჭკუას დავკარგავ, დედა ენაცვალოს ჩემს ქემალს!”(უბედური შემთხვევა. გვ.229)*

თურქულ ტექსტში წყევლა **“Allah belasını versin,,** ქართულ ტექსტში თარგმნილია, როგორც **“ღმერთმა ამოაგდოს,,** რაც შინაარსობრივად მსგავსია. კიდევ თურქულ ტექსტში გამოყენებული წყევლა **„Boyunları altlarında kalasicalar. Lanet olsun.,,** ქართულ თარგმანში **„მაგენი გადაშენდა!,,** ასეა გადათარგმნილი. ეს წინადადება სიტყვა-სიტყვით ნათარგმნი არ არის. მაგრამ შინაარსობრივად მსგავსია.

*“Bir mesele daha vardı. Koca Muzaffer Bey, Elçi Cemir’in, beş paralık işçi kızını, yeğenine nikahlayıp da, el aleme, “Tuu lanet olsun. Bula bula yeğenine bir işçi kız bulmuş...” dedirtir miydi?”(VV. s.155)*

*“ასე საქვეყნოდ ცნობილი მუზაფერ-ბეი ვილაც ჯემშირირს ხუთკაპიკიან გოგო, ისიც ფაბრიკის ბიჭებში გათამამებულს, ცხადია, რძლად არ მოისურვებს. რად ათქმევინებს ხალხს: “ფუი მაგას, ეს რა გააკეთაო? ეძება, ეძება და ეს რა გოგო მოუძებნა თავის დისწულსო,... ნამდვილად ამისი თქმის საბაბს არავის მისცემს...”(უბედური შემთხვევა. გვ.95)*

თურქულ ტექსტში წყევლა **“Tuu lanet olsun,,** ქართულ ტექსტში **“ფუი მაგას, ეს რა გააკეთაო?”** ისეა გადმოცემული რომ მკითხველი მიხვდეს ნამდვილ აზრს, თუმცა სიტყვა სიტყვით თარგმნილს ვერ ვხვდებით.

**“Geliyordu Allahın belası gene. Belkide babası, Reşit Emmi’si falan da birlikteydi. Zilzurna, cıvık mı cıvık...”Allah kahretsin böyle insanları!”(VV.s.212)**

*“ჰამზა ჩვეულებრივ ნასვამი იყო, ვიღაცები ბანს აძლევდნენ. ღმერთო როდის წავა ამ სახლიდან, რომ დაისვენოს! რატომ არ ჩასკდებიან ეს საზიზღრები! უფალო, შენ გებვეწები, რა იქნება, მოკალი ისინი და გულუ ამით იხსენი...” (უბედური შემთხვევა გვ. 212)*

ორიგინალ ტექსტში არსებული წყევლები **“Allah kahretsin böyle insanları,, „Geliyordu Allahın belası gene“** ქართულ თარგმამი **„უფალო, შენ გებვეწები, რა იქნება, მოკალი ისინი და გულუ ამით იხსენი...“** ასეა გადათარგმნილი. სხვაგვარად გვხვდება, მკითხველისთვის უკეთ გასაგები რომ იყოს.

*“Kanuna göre babana, anana aitsin!”*

**“Değilim, İstemiyorum anamı da babamı da, kardaşımı da. Allah hepsinin belasını versin!”(VV. s.260)**

*“კაცო, კანონით მამას ეკუთვნის!,,*

*“არა, არა-მეთქი, მაგისტანა მამა ღმერთმა შეაჩვენოს!,,*

**(უბედური შემთხვევა გვ.160)**

მთარგმნელს ორიგინალი ტექსტის შინაარსი აქვს გადმოცემული. ორიგინალი ტექსტში **„Allah hepsinin belasını versin!”** ქართულ ტექსტში კი **„ღმერთმა შეაჩვენოს!,,** ასეა გადათარგმნილი.

*“Dışarı çıktı, kapıyı çarparak kapadı.”*

**“Gelmez olsun, Allah belasını versindi!”(HÇ. s.6)**

*„გარეთ გამოვარდა და კარი ბრაზით მიხურა...”*

*„ღმერთმა არ მოიყვანოს, ორივე ფეხი მოსტეხოდეს!”*

**(ქალბატონის მამული, გვ.6)**

ორიგინალ ტექსტში გამოყენებული წყევლა „*Allah belasını versindi*“ ქართულ თარგმანში „*ღმერთმა არ მოიყვანოს*“ შინაარსობრივად ჰგავს ნათარგმნს.

“*Güllü mü adı?*”

“*Adı batsın! Bağır, çağır, yüz verme. Senden korkp, seni saymalı.*(*HÇ. s.89*)

“*გულუ ჰქვია?*”

„*ჯანდაბას მაგის სახელი*“ გაუჯავრდეთ ხოლმე, არ მოეფერო, შენი უნდა ეშინოდეს, ერიდებოდეს“ (*ქალბატონის მამული, გვ.67*)

ორიგინალ ტექსტში გამოყენებული წყევლა „*Adı batsın*“ ქართულ თარგმანში „*ჯანდაბას მაგის სახელი*“ შინაარსობრივად ჰგავს ნათარგმნს.

“*Yere indirdiği yatak dengini tekrardan omuzladıktan sonra, “Nerde kasızlıklar, adaletsizler, ırz düşmanları varsa, Allah hepsini kahhar ismiyle kahretsin!” dedi, yolu tuttu.*”(*HÇ. s.108*)

„თავისი ბარგიბარხანა კვლავ ზურგზე აიკიდა და დასძინა,- სადაც ამდენი უსამართლობაა და დამნაშავეები არიან, *ღმერთმა კარგს არაფერს მოასწრონ!*- და გზა გაუდგა“ (*ქალბატონის მამული, გვ.83*)

ორიგინალ ტექსტში წყევლა „*Allah hepsini kahhar ismiyle kahretsin!*“ ქართულ თარგმანში შინაარსობრივად მსგავსია „*ღმერთმა კარგს არაფერს მოასწრონ!*“

“*Pakize gene de, “Cehennem beri, o daha öte,” dedi. “Şeytanlar görsün yüzünü...*”(*HÇ. s.245*)

„*ფაქიზემ დაუმატა: “მასეთი კაცი ჯოჯობეთს იქით წასულა!,”* „*ღმერთმა გაგიგონოს, მაგრამ ახლა გვჭირდება. არჩევნების შემდეგ ევროპაში მივდივართ!*“(*ქალბატონის მამული, გვ.187*)

ორიგინალ ტექსტში გამოყენებული წყევლა „*Cehennem beri, o daha öte*“ ქართულ თარგმანში კი „*მასეთი კაცი ჯოჯობეთს იქით წასულა!*“ შინაარსობრივად

თარგმანი არ არის

*“Anamın donu başına mı?”*

*“Ölmüş anamı karıştırma!”*

*“İki gözün kör olsun mu?”*

*“Kıyma bana Ramazan!”(VV. s.74)*

ქართული

-----*(უბედური შემთხვევა, გვ.47)*

ორიგინალ ტექსტში გამოყენებული წყევლა „*İki gözün kör olsun mu?*“ ეს წყევლა არ არის თარგმნილი. მაგრამ ქართულშიც „*ორივე თვალით დაბრმავდი?*“ შეიძლება და ასე უფრო ჯობია.

ფიცები

სიტყვა სიტყვით არის ნათარგმნი მნიშვნელობა შენარჩუნებულია

*“Vallaha bilmiyorum Reşit Emmi, Billaha bilmiyorum...”(VV. s.238)*

*„ვალლაი, არ გამიგია, ბილლაი, არ გამიგია!“*(უბედური შემთხვევა, გვ.145)**

ქართულ თარგმანში ფიცის სიტყვები თურქული ენიდან იდენტურად არის გადმოტანილი. თურქულ ტექსტში გამოყენებული ფიცი „*Vallaha*“ ქართულ თარგმანში „*ვალლაი*“ ასეა გადათარგმნილი. კიდევ თურქულ ტექსტში გამოყენებული ფიცი „*ბილლაი*“ ასეა გადათარგმნილი

სიტყვა სიტყვით არის ნათარგმნი მნიშვნელობა შენარჩუნებულია

*“Vallaha billaha boynuzları takarsın bu yaştan sonra!”(HC. s.16)*

*„ღმერთმანი, რქები დამედგმება ამხნის კაცს!“*(ქალბატონის მამული, გვ.14)**

ორიგინალ ტექსტში გამოყენებული ფიცი „*Vallaha billaha*“ ქართულად თარგმნილია „**ღმერთმანი**“ ფიცი სიტყვასიტყვითაა თარგმნილი.

*“Yemini basacaktı babasına bile. “Valla billa haberim yok baba, Allah gözümü kör etsin ki yok! Senden gizli neyim var... Filan fıstık.”(HÇ. s.295)*

*„მამასთანაც დაიფიცებდა: ღმერთმანი, მე არაფერი ვიციო. ღმერთმა თვალი დამიფსოს,თუ რამე ვიცოდე, შენთან რას ამალავი მაქვსო“(ქალბატონის მამული, გვ.225)*

